იურიდიული კინოს საგანმანათლებლო გზამკვლევი

სარედაქციო კოლეგია:

ილია გუჩმანიძე, ლევან ჯაყელი, გიორგი მასალკინი, მალხაზ ჭკადუა, ციალა ქათამიძე

ზათუმი
2021

გზამკვლევი მომზადდა პროექტის - „იურიდიული კინოს საგანმანათლებლო პლატფორმა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ორგანიზაცია „მწვანე სექტორი“-ს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასში განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

სარჩევი

კინო და სამართალი - მეთოდოლოგიური მიმოხილვა....3

1. საკითხის ინოვაცია, აქტუალობა და სარგებლიანობა იურიდიული განათლებისთვის....3

2. კინოხელოვნება (კინოქეისი) და იურისტის პროფესიული მომზადების თავსებადობა. ფილმების სასწავლო პროცესში გამოყენების და კონკრეტულ სამართლებრივ თემატიკასთან დაკავშირების სპეციფიკის მიმოხილვა....4

3. „იურიდიული კინო" - კონცეფცია და იურისტის პროფესია კინოფილმში....6

4. იურისტის მომზადების ძირითადი მეთოდები....8

5. კინოფილმებით სამართლის სწავლების კონცეფცია....9

6. კინო ქეისით სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, შეფასების მეთოდები, აქტივობები, ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები....11

7. სამართლებრივი ფილმების იდენტიფიკაცია, შერჩევა და კლასიფიკაცია....15

წინამდებარე თემატური ნაწილის მომზადებისას გამოყენებული წყაროები:....17

სამართალი კინოში - რატომ და როგორ უნდა დავახმაროთ კინემატოგრაფიული ნამუშევრები სამართლის სწავლებას უნივერსიტეტში....18

რატომ კინო და სამართალი?....19

სარკისა და სანათის ეფექტი....22

როგორ წავიკითხოთ ფილმები, როგორც „სამართლებრივი ტექსტები"....23

სასარგებლო რესურსები....26

ცალკეული წიგნები და კვლევები....27

კინოლექტორიუმი....28

მხატვრული ფილმებით განსახილველი თემატური სპექტრი....28

თემა I. კრიმინალური სამყაროს გაშუქება ქართულ კინემატოგრაფში. კონოტაციების საკითხი....29

თემა II. სიკვდილით დასჯა. უდანაშაულობის პრეზუმცია....32

თემა III. რელიგიის, რელიგიური მორალისა და კანონის, სამართლის ურთიერთობა....38

თემა IV. მასმედია, საზოგადოებრივი აზრი და მართლმსაჯულება....39

თემა V. მართლმსაჯულება და სამართალი ტერორიზმის ეპოქაში. პოლიტიკური მართლმსაჯულება. მართლმსაჯულება ომის პირობებში....42

თემა VI. ადვოკატი, პროკურორი და მართლმსაჯულების სისტემა....45

თემა VII. ლინჩის სასამართლო. შურისძიება და კანონი....47

თემა VIII. იშვიათი და საინტერესო, სადისკუსიო კეისები....48

დანართი....51

ფილმების ჩამონათვალი „კინოსა და სამართლის" ინტერდისციპლინური დარგის სწავლებისთვის....51

თანამედროვე აქტუალური თემატიკა და სოციალური გამოწვევების კონტექსტი....54

ფილმები ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე....54

მშვიდობა და კონფლიქტები....55

LGBT უფლებები....56

შშმ პირები....58

კინო და სამართალი - მეთოდოლოგიური მიმოხილვა

1. საკითხის ინოვაცია, აქტუალობა და სარგებლიანობა იურიდიული განათლებისთვის

უმაღლესი განათლების სფეროში სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს შემოქმედებითი სწავლების მეთოდები, რომლებიც კლასიკურთან ერთად, აუდიტორიის ინტერესებზე, სტუდენტთა სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის და მოტივაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული და გამორიცხავს სავალდებულო, შაბლონურ და ერთფეროვან სწავლებას. უკანასკნელი პერიოდის სააუდიტორიო სწავლების მონიტორინგის შედეგები ცხადყოფენ, რომ შემოქმედებითი, მრავალფეროვანი და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და მაღალია განათლების მიღების, პროფესიის დაუფლების მოტივაცია. სწავლა-სწავლების კლასიკური მეთოდები (ლექცია, სემინარი, გამოკითხვა და სხვ.) თავისი შეზღუდული, არაადაპტირებული აქტივობებით, ინსტრუმენტებით და ფარგლებით, მოკლებული არიან შესაძლებლობას, უზრუნველყონ დასაქმებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება/განვითარება. თანამედროვე შრომის ბაზარი, დასაქმებულისგან მოითხოვს მულტიკომპეტენტურობას, რაც ინტერდისციპლინურ და შემოქმედებითი, მრავალკომპონენტიანი სწავლის მეთოდით მიიღწევა. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა პირებზე, რომლებიც ფლობენ კომპლექსური, რთული, ინტერდისციპლინური გამოწვევების მიმართ ადეკვატური რეაგირებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია სწავლებისას ადეკვატური, არაერთგვაროვანი, ინტენსიურ მოქმედებაზე, გარდაუვალ ჩართულობაზე ორიენტირებული მეთოდების, აქტივობების და ინსტრუმენტების დანერგვით და გამოყენებით. ერთ-ერთ ასეთი სწავლა-სწავლების მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო დანიშნულებით მხატვრული ფილმების გამოყენება.

უმაღლესი განათლების მკვლევრები, მეთოდისტები, ბოლო წლეებია, სულ უფრო ინტესიურად საუბრობენ და ამტკიცებენ მხატვრული ფილმების სასწავლო-შემეცნებითი ფუნქციისა და დანიშნულების აქტუალობაზე, რელევანტურობასა და გამოწვევებზე. თუმცა აღნიშნული იდეა სათავეს გაცილებით ადრე იღებს. ფილმების საგანმანათლებლო დანიშნულებით გამოყენების ისტორიის საკვირველი პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადად ფილმები თავიდანვე შემეცნებითი/საგანმანათლებლო მიზნებისთვის იქმნებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში ეს მიზანი შთანთქა კომერციული ექსპლუატაციის ტალღამ. ფილმების მიმართ საგანმანათლებლო ინტერესი განახლდა მხოლოდ ერთი თაობის შემდეგ, როგორც „განათლების ახალი საოცარი ინსტრუმენტი“ (Godfrey M. Elliot, Film *and Education* (2007). პირველ ფილმად, რომლის სიუჟეტი შეიცავს სასამართლო პროცესს და სამართლებრივ ელემენტებს, შესაძლოა მიჩნეული იქნას ჟორჟ მელესომის რეჟისორობით 1899 წელს გადაღებული, მოკლემეტრაჟიანი უხმო ფილმი „დრეიფუსის საქმე“. არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, 1920-იან წლებში იწყება საგანმანათლებლო, დოკუმენტური ფილმების და მოგვიანებით სერიალების გამოყენება, როგორც ჰიპოთეტური შემთხვევების წარმოდგენის და პრობლემების

გადაწყვეტის სასწავლო მექანიზმი. ეს განსაკუთრებით შეინიშნება აშშ-ს იურიდიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.[1]

საგანმანათლებლო და მეთოდურ ლიტერატურაში კინოფილმი სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც სწავლა-სწავლების მძლავრი ინსტრუმენტი. მისი მეშვეობით აუდიტორია ეცნობა ისეთ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და სხვა რეალიებს, რომელიც სწრაფად ცვალებად გარემოში, შესაძლოა, მიუწვდომელი აღმოჩნდეს.[2] ძირითადად, ასეთი კინოფილმების შინაარსი ქმნის სამართლებრივი გარემოს გაგებისა და განხილვისთვის უნიკალურ პლატფორმას. კინოფილმების გამოყენებით სწავლება, უკვე დიდი ხანია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადრეული, სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლებაში. მისი გამოყენება იურიდიული განათლების გაუმჯობესების მიზნით საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში ჯერ კიდევ იშვითად გვხდება, თუმცა არის გამონაკლისებიც, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის ცალკეულ იურიდიულ სკოლებში, კინო და აუდიოვიზუალური მასალები უკვე ინტეგრირებულია სასწავლო წყაროებში და ინტენსიურად გამოიყენება. უფრო მეტიც, გვხვდება ლიტერატურა, რომელშიც აუდიო-ვიზუალური სწავლების მეთოდები უფრო ვიწრო სფეროსთვის განიხილება, როგორც ეფექტიანი საშუალება (მაგ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალში იანის დენონქორტი).

ტექნოლოგიების განვითარებით, უნივერსიტეტებში ტექნიკური აღჭურვილობის განახლების ტემპის გათვალისწინებით, კინომატოგრაფიას გააჩნია დიდი პოტენციალი გახდეს სიცოცხლისუნარიანი სწავლების მეთოდი იურიდიული განათლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს რთულ, სწრაფად ცვალებად სამყაროში ადეკვატურად მოქმედი პრაქტიკოსი იურისტების მომზადებას.

2. კინოხელოვნება (კინოქეისი) და იურისტის პროფესიული მომზადების თავსებადობა. ფილმების სასწავლო პროცესში გამოყენების და კონკრეტულ სამართლებრივ თემატიკასთან დაკავშირების სპეციფიკის მიმოხილვა

კინოქეისის*[3] სასწავლო პროცესში გამოყენების ყველაზე სადავო საკითხი, რომელიც შეიძლება იურიდიული განათლებით დაინტერესებულ პირს გაუჩნდეს, არის გარემოება, თუ რამდენად უზრუნველყოფს ასეთი მეთოდი კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი იურისტისთვის საჭირო ცოდნის მიღებას და უნარების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით, იმ უნარების განვითარებას, რომლებიც საშუალებას მისცემსიურისტს, იმოქმედოს სამართლებრივი ურთიერთობების, წარმოებისა და ზოგადად, გარემოებების შესაბამისადდა გადაწყვიტოს რთული და კომპლექსური სამართლებრივი ამოცანები. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ზემოთ დასმულ კითხვას პასუხს გასცემს: იურიდიული განათლების კერებში სწავლების კლასიკური მიდგომებთან (ლექცია, სემინარი, პრეზენტაციები და საშანაო/სააუდიტორიო წერითი თემატური დავალებები) ერთად, სულ უფრო ხშირად იყენებენ ექსპერიმენტებს ახალი ეფექტიანი მეთოდების გამოვლენისა და დანერგვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ საერთო ერთგვაროვანი პოზიციის ჩამოყალიბება ახალ სასწავლო მეთოდებთან დაკავშირებით კვალავაც ვერ ხერხდება, სხვადასხვა სკოლა განსხვავებულ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას, - სტაბილურობა ამ კუთხით, ჯერ კიდევ სასურველ

პერსპექტივად რჩება. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ გრძელდება უფრო ეფექტიანი სწავლების მეთოდების კვლევა, იდენტიფიკაცია, ექსპერიმენტირება და გენერირება.

სწრაფად ცვალებად გარემოში, სოციალური პროცესებისა და დასაქმების ბაზრის გამოწვევების გათვალისწინებით, უპირატესობას ფლობენ კურსდამთავრებულები, რომლებსაც გარდა დარგობრივი ცოდნისა, გააჩნიათ ადაპტაციის, კომუნიკაციის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ინტერდისციპლინური, ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი, კომპლექსური, რთული ფაქტების, არასრული მონაცემების ფონზე ადეკვატური მოქმედების უნარები. იმისთვის, რომ სტუდენტი მომზადებული იყოს, ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, აუცილებელია, ფორმირების პერიოდი გაიაროს, საკუთარ ნება-სურვილზე, პრიორიტეტებზე დაფუძნებული მრავალფეროვანი მეთოდების, აქტივობებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს კინოქეისებით სწავლება.

ამგვარი სწავლების სასარგებლოდ შეიძლება დასახელდეს შემდეგი ფაქტორები:

- მსოფლიოში, მათ შორის ქართულ კინომატოგრაფიაში საკმარისად არის წარმოჩენილი სამართლებრივი ელემენტები. ის სთავაზობს საგანმანათლებლო საზოგადოებას მდიდარ რეალურ და ჰიპოთეტურ სამართლებრივ სიუჟეტებს, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესს შეუფერხებელი და ყოველმხრივი სასწავლო მასალებით მომარაგებაგებაში;

- ის მოიცავს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ორატორული მონაცემების, ყურადღების კონცენტრირების, ანალიტიკური აზროვნების, საპრეზენტაციო და თანმიმდევრული მოქმედებების დამახასიათებელი კომპლექსური უნარების განმავითარებელ აქტივობებს;

- სახალისო ფორმატის გამო იზიდავს და აკავებს ახალგაზრდებს/სტუდენტებს სასწავლო პროცესში;

- ფილმი შეიძლება გამოყენებული იქნას უნივერსალური დანიშნულებით მთელ პროგრამაში. მისი მეშვეობით პედაგოგებს შესაძლებლობა ეძლევათ, აამაღლონ მათ მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსის მნიშვნელობა და დაინტერესება;

- სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ და განავითარონ ძირითადი ტრანსფერული უნარები, ეზიარონ საზოგადოებრივ ღირებულებებს, გაიმრავალფეროვნონ მსოფლმხედველობა, გაიღრმავონ აზროვნება, შეიქმნან წარმოდგენა ობიექტურ და სუბიექტურ რეალობებზე და სხვ.;

- ფლობს დიდ პოტენციალს, გააძლიეროს სტუდენტის წარმოსახვითი შესაძლებლობები, წარმოიდგინოს საკუთარი თავი გარკვეულ როლსა და პირობებში;

- იძლევა შესაძლებლობას, დაინახოს პრობლემები სხვადასხვა რაკურსით, მოახდინოს რთული ვითარების, პრობლემების გადაჭრის გზების იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემების ანალიზი და შეფასება.[4]

- Ø სტუდენტს ეხმარება სამართლის სფეროში მულტიკულტურული, სპეციფიკური მახასიათებლებისა და სამართლებრივი სისტემების ფარგლების, განსხვავებულობისა და ერთიანობის გაცნობიერებაში.

იურიდიული განათლების კონტექსტში ერთფეროვანი და მკაცრად ჩარჩოში მოქცეული, კლასიკური მეთოდების გამოყენების ფონზე, კინოფილმების მეშვეობით (კინოქეისებით) სტუდენტების იურიდიული პრაქტიკისთვის მომზადება სარგებლობს გარკვეული უპირატესობებით. ის ეხმიანება ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი სტუდენტების ფსიქო-მორალურ თავისებურებებს და პასუხობს მათ ინტერესს, უმაღლებს მოტივაციას, უმყარებს პროფესიის სწორი შერჩევისრწმენას, რაც თავის მხრივ, წარმატების წინაპირობაა. გარდა ამისა, ის გამოირჩევა კოპლექსურობით. შეუძლებელია კინოქეისის მეშვეობით სწავლებისას შემოიფარგლო ლექცია-სემინარებით, ვინაიდან ის მოითხოვს მუდმივ ინტერაქციას, კვლევა-ძიებას, დაკვირვებას, აღრიცხვას, იდენტიფიკაციას, დაგეგმარებას, განსხვავებული აზრის მოსმენას, გაბათილებას და პატივისცემას, ანალიზს, შეფასებას, საკუთარი აზრის ფორმირებას, გაზიარებას, ოპონირებას, მტკიცება-დარწმუნებას და შედეგებთან შეგუებას. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს მყარ საფუძველს დავასკვნათ, რომ კინოქეისებით იურიდიული განათლების გამრავალფეროვნება არ შეუქმნის საფრთხეს კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი იურისტების მომზადებას, აამაღლებს სტუდენტის ინტერესს სასწავლო პროცესისა და აკადემიური ვალდებულებების მიმართ, გაუმყარებს სტუდენტს პროფესიის არჩევანს და გაარკვევს მას პროფესიის რეალურ და მითოლოგიურ ასპექტებში.

3. „იურიდიული კინო“ - კონცეფცია და იურისტის პროფესია კინოფილმში

კინოხელოვნების ისტორიის სათავეებიდან საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და საინტერესო მიმართულებას იურიდიული/სამართლებრივი ელემენტებით გაჯერებული ფილმები წარმოადგენენ. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რთულია ფილმის პოვნა, რომელშიც თუნდაც ერთი სამართლებრივი ელემენტი არ მოიპოვება. მართალია, ფილმებში მნიშვნელოვანი ნაწილი აგებულია და ეფუძნება ჰიპოთეტურ, ადამიანის ფანტაზიაზე, მითებსა და სიუჟეტის საჭიროებებზე დაფუძნებულ გარემოებებს, თუმცა საკმარისზე მეტად არის რეალურ და ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული ფილმებიც, რომელშიც, კვალიფიციურად არის წარმოდგენილი იურისპრუდენციის პროფესიული თავისებურებები, დარგის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ცხადია, რომ ახალგაზრდობაზე კინოინდუსტრია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროფესიის შერჩევის საკითხში. მიუხედავად კინოსა და სამართლის შესახებ დოქტრინალური შესწავლის სიმწირისა, გვხდება საინტერესო მოსაზრებები. ქართულად ნათარგმნ ესპანურ მონოგრაფიაში „სამართალი და კინო” ავტორები ბენიამინ რივაია და პაბლო დე სიმა ცდილობენ წარმოაჩინონ სამართლისა და კინოს სოციოლოგიური ინდიკატორები. მათი აზრით, „სამართლისა და კინოს შესწავლამ შეიძლება მიგვიყვანოს სამართლის სოციოლოგიამდე, სამართლის ზოგად სოციოლოგიამდე.“[5] როგორც ისინი აღნიშნავენ, „მართალია, მეტად თუ ნაკლებად ირიბი ფორმით კინოს შეუძლია ასახოს სამართალი და ხალხის შეხედულებები სამართალზე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და მონაწილეობს კიდეც იმ შეხედულებათა

ჩამოყალიბებაში, რომლებიც გვექმნება იურიდიული რეალობის შესახებ. ხალხის იურიდიული წარმოდგენა დიდად საზრდოობს სამართლის ხატოვნურობიდან და, თავის მხრივ, შეუძლია წვლილი შეიტანოს იურიდიული სამყაროს აგებაში. თუ სამართალი სამყაროს შემქმნელი, რეალობის მშენებელია, იგივე შეიძლება ითქვას კინოზე, რადგანაც იგი მონაწილეობს იურიდიული სამყაროს, სამართლის რეალობის შექმნაში."[6]

საზოგადოებაზე, ადამიანის ცნობიერებაზე, ღირებულებით და ქცევით მოდელზე კინოსა და სამართლის გავლენების, ფუნქციებისა და როლის შესახებ მოსაზრებებს სხვა ავტორებიც ინტენსიურად ავითარებენ თავიანთ ნაშრომებში. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიმყოფებით იმ რეალობის მიჯნაზე, სადაც მხატვრული, დოკუმენტური თუ სხვა ჟანრის ფილმები აღიქმებიან არა მხოლოდ აზრის ან იდეების გამოხატვის ინსტრუმენტად/საშუალებად, არამედ ისინი მიიჩნევიან, როგორც პრაქტიკის დიდი რეზერვუარი, საიდანაც ხდება გამოცდილების, მიღწევების ამოღება და გაზიარება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავეთანხმოთ პროფესორ ამნონ რაიხმანს,[7] რომ კინო შეიძლება განხილული იქნას, როგორც კანონი, რომელიც კინომატოგრაფიულად წარმოდგენილ პრაქტიკას განიხილავს განსაკუთრებული ტიპის, კანონშემოქმედებითი და სამოსამართლო ფუნქციის უზრუნველმყოფელ ტიპს.[8] ამგვარად დასავლეთის ზოგიერთი ავტორი, კინოს სამართლის გვერდით, ერთ სიბრტყეზე ათავსებს და მას ფანჯრის ფუნქციას ანიჭებს, რაც საშუალებას გვაძლევს აბსტრაქტულადშევხედოთ ადამიანის ცხოვრების პირობებს.[9] კინო და სამართალი (სხვა გამოხატულებითი სოციალური პრაქტიკის პარალელურად) მონაწილეობს კულტურის ფორმირებისთვის საჭირო/აუცილებელი ბლოკების აღდგენა/შექმნაში, ორგანიზებასა და კომუნიკაციაში. უკანასკნელი პერიოდის პუბლიკაციებში, სულ უფრო მზარდი ყურადღება ეპყრობა საკითხის კვლევებს, რომლებიც ეხება კინოინდუსტრიის მეშვეობით სამართლის თუ კანონის გაგებას და ორივე მათგანის გამოყენებით თანამედროვე სოციალური ცხოვრების არსებითი ასპექტების აღქმა-გაგება-გაცნობიერებას.[10]

კინოსა და სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ უკვე მოიპოვება ქართულენოვანი ლიტერატურაც, რომელიც სათანადო აკადემიურ და მეთოდურ საფუძველს ქმნის სამართლის სკოლებში სწავლების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და განხორციელებისთვის. აღნიშნული წიგნში[11], თანმიმდევრობით და ღრმა აკადემიური შინაარსით წარმოდგენილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამართალი კინოს შესახებ და პირიქით, იურიდიული ჟანრი ფილმში, იურიდიული სიუჟეტი კინოში, სხვადასხვა დარგები კინოში, სამართლისა და კინოს კვლევის სხვა პერსპექტივები, კინოს და სამართლის თეორიები, სამართლისა და კინოს შესწავლის სიკეთე და კინო კატალოგი 100 სხვადასხვა ეპოქის ფილმზე.

იურისტის პროფესია კინოფილმში, თავისი მასშტაბით შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა დოზით და ფორმით, კერძოდ:

- ზოგადად სამართალზე, სამართლებრივ რეფორმებზე, სამართლებრივ ღირებულებებზე, განათლებაზე სამართლის ფილოსოფიასა და პერსპექტივებზე მიმართული ფილმები;
- ცალკეულ სამართლებრივ პრობლემაზე კონცენტრირებული სპეციალიზებული ფილმები;
- კინო სამართლის ცალკეული დარგების თავისებურებების და დეტალების გარშემო (სისხლის სამართალი, კერძო სამართალი და საჯარო სამართალი). ფილმში, შესაძლოა, ქვედარგების

სიღრმისეული ნიუანსების გარშემოც განვითარდეს სიუჟეტი, მაგ., სამოქალაქო სამართლის სადაზღვევო რეგულაციებისა და მის შედეგების საკითხებზე;

- Ø სამართლებრივი სერვისის განმახორციელებელი პირების მეშვეობით, დარგის თავისებურებების წარმოჩენაზე ორიენტირებული ფილმები;
- Ø სხვადასხვა ჟანრის ფილმები სამართლებრივი ელემენტებით. ფილმი შეიძლება მთლიანობაში იყოს ემოციურ და ღირებულებით კომპონენტებზე დაფუძნებული, თუმცა მასში სიუჟეტურად, მოკლედ შეიძლება განვითარდეს სამართლებრივი პროცესები;
- Ø ფილმები, რომლებშიც სიუჟეტი დაუსრულებელია და ტოვებს მოვლენების სხვადასხვაგვარად განვითარების საშუალებას.

წარმოდგენილი ჩამონათვალი არ წარმოადგენს ფილმების დაჯგუფების სრულ სიას და შესაძლოა, იდენტიფიცირებული იქნას სხვა დაჯგუფებაც, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელონ დაინტერესებულმა პირებმა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფილმში სამართლებრივი ელემენტების სწორ იდენტიფიკაციას და სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებას.

„კინო და სამართალი“, როგორც ზოგადი შინაარსის სასწავლო კურსი, მისაღები და ადეკვატურია დამწყები ეტაპის სტუდენტებისთვის, რომლის ძირითადი ფუნქცია სამართლის პროფესიაში შესვლის ინფორმაციული უზრუნველყოფაა. თუმცა, დროთა განმავლობაში კინოფილმების მეშვეობით სამართლის სწავლების შედეგების განზოგადების გათვალისწინებით დასაშვებია სასწავლო კურსის დარგებად (სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის) დიფერენცირება და მაღალ კურსებზე სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს დარგების თავისებურებების გამარტივებული გზებით გაცნობას და ათვისებას. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დარგის ცალკეული პედაგოგი გადამზადებული იქნას სწავლების შესაბამის მეთოდებში.

4. იურისტის მომზადების ძირითადი მეთოდები

დღემდე, სამართლის სკოლების უმრავლესობა, იურისტის მომზადების მეთოდებად ინარჩუნებენ კლასიკურ სწავლა/სწავლების მეთოდებს, ვერბალურ კომუნიკაციას, წერით მუშაობას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, პრეზენტაციას, იმიტირებულ და სიმულაციურ პროცესებს და სხვ. გვხდება გარკვეული ინოვაციური მეთოდებიც, თუმცა, როგორც წესი, ისინი კლასიკურ მეთოდებთან ტანდემში ან სინთეზური კომბინაციის სახით გამოიყენება. მულტიდისციპლინური, არაერთგვაროვანი, კომპლექსური ამოცანებით გაჯერებული შრომის ბაზრისთვის, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი იურისტის იმგვარად მომზადება, რომ მას შეეძლოს არამარტო შაბლონური და ჩარჩოში, პროტოკოლური ტიპის მოქმედებების შესრულება, არამედ შესწევდეს უნარი, შემოქმედებითად შეაფასოს და დაგეგმოს დადებითი, მდგრადი სამართლებრივი შედეგის მიღებაზე ორიენტირებული ეფექტიანი მოქმედებები. ერთი ცხადია, ასეთ პირობებში საქმიანობისთვის ადაპტირებული სპეციალისტი ერთი ან რამდენიმე მეთოდის მეშვეობით ვერ მომზადდება და უკიდურესად აუცილებელია რეალური შრომის პირობებზე ადაპტირებული სწავლების არაორდინალური მეთოდების გენერირება და დანერგვა. შესაბამისად აუდიტორიაში პასიური, თეორიული მეთოდები საჭიროებენ დამატებას და გამრავალფეროვნებას. როგორც დაკვირვება

ცხადყოფს, პოსტსაბჭოთა საგანმანათლებლო სივრცეში, მათ შორის საქართველოში, ბოლო პერიოდამდე დომინირებდა თეორიული და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის სწავლებაზე მიმართული მეთოდები (ლექცია, სემინარები, პრაქტიკული სწავლება), რაც უზრუნველყოფს შაბლონური, შეზღუდული პრაქტიკული უნარების მქონე იურისტის მომზადებას.

შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები, თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობები/პროცესები მოითხოვენ შემოქმედებითად, პერსპექტიულად მოაზროვნე, ჩარჩოებისგან თავისუფალი, ძლიერი ინტელექტუალური წარმოსახვის, კომბინაციურად მოაზროვნე იურისტების წინა პლანზე გადმოყვანას. მაღალი კონკურენციის პირობებში, მულტიდისციპლინური სამართლებრივი დავების სირთულის და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით ლოგიკურია, რომ მოთხოვნა შეზღუდული, ჩარჩოში მოქცეული, პრაქტიკული შესაძლებლობების იურისტზე დღითიდღე მცირდება და შესაბამისად ინტერესი იზრდება მულტიკომპეტენციის მქონე, შემოქმედებითი, პერსპექტიულად, კომბინაციურად მოაზროვნე იურისტების მიმართ. აქედან გამომდინარე, ცხადია, იურისტის მომზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს შემოქმედებითი, არაორდინალური უნარების განმავითარებელმა მეთოდებმა და ინსტრუმენტებმა.[12]

5. კინოფილმებით სამართლის სწავლების კონცეფცია

მართალია, რომ „გამოკვლევები, რომელთა მიზანია კინოს მიერ სამართლის ასახვის შესწავლა და ამ თვალაზრისით, იურიდიული ფენომენის კინომატოგრაფიულთან დაკავშირება აშკარად ფუფუნებაა, არ წარმოადგენს აუცილებელ საქმეს და შეიძლება მასზე უარიც ითქვას“,[13] თუმცა გამოსაყენებელი რესურსების, პერსპექტივების, გამოწვევებისა და შედეგების გათვალისწინებით სიკეთე იმდენად დიდია, რომ უარის თქმა, შესაძლოა, პროფესიულ განვითარებაზე, პერსონალური პოტენციალის განვითარებაზე უარის თქმას გაუთანაბრდეს. გასათვალსიწინებელია ის გარემოებაც, რომ არ მიდის საუბარი იურისტის მხოლოდ შემოქმედებითი მეთოდებით (მხატვრული ლიტერატურით თუ კინოფილმებით) მომზადებაზე და მოცემულ ეტაპზე გონივრულია მხოლოდ გარკვეული წილი დაეთმოს არაორდინალური, არაკლასიკური საშუალებებით მომავალი იურისტების პროფესიული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული განათლებისთვის უმაღლესი სასწავლებლები კვლავინდებურად კლასიკურ მეთოდებს ენდობიან და იყენებენ, სამართლის სკოლების ნაწილმა სხვადასხვა სახით უკვე დანერგა ფილმების მეშვეობით სწავლების ინოვაციური მეთოდი. განსხვავებულია ინტეგრირების ფორმა და მოცულობაც, კერძოდ, სკოლების ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის დანერგვას, ხოლო მეორე ნაწილმა ჩააშენა სასწავლო კურსებში კინოზე ან მის სიუჟეტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და ინსტუმენტები.

წარმოდგენილი მეთოდის სარგებლიანობის შეფასებისთვის დაწესებულებას, სიმარტივიდან გამომდინარე, შეუძლია სამართლის ცალკეულ დარგებში ჩაშენებული სახით,

ექსპერიმენტულად გამოსცადოს კინოფილმების მეშვეობით სწავლების მეთოდი. ამ შემთხვევაში მთავარია პროფესორ/მასწავლებელმა სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას სწორად განსაზღვროს აუდიტორიის მზაობა, შესაბამისი აქტივობის განხორციელების დრო, თემატური თავსებადობა და თანმიმდევრობა, საშინაო მუშაობის მოცულობა, სააუდიტორიო აქტივობის ფორმები, ინსტრუმენტები, შინაარსი, რაოდენობა, ფილმის ან სიუჟეტის შერჩევა, შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები. აღნიშნული ფორმით სწავლების ორგანიზების უპირატესობა მდგომარეობს პროცესის მოქნილად მართვაში. პროფესორ/მასწავლებელს შეუძლია აუდიტორიის ინტერესებიდან გამომდინარე გაზარდოს ან შეამციროს აქტივობები, მარტივად აბალანსოს სხვა მეთოდების, ინსტრუმენტების გამოყენების ინტენსივობა, ადეკვატურად გადაანაწილოს სასწავლო კომპონენტებს შორის შეფასების წილი.

გაცილებით რთულია და შრომატევად მუშაობასთან არის დაკავშირებული „სამართალი და კინოს“ დამოუკიდებელი სასწავლო კურსის შემუშავება და კურიკულუმში გათვალისწინება. საქართველოს შემთხვევაში, დარგის რეგულირებადი ხასიათიდან გამომდინარე, სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მოცულობის გათვალისწინებით, უპრიანია ვისაუბროთ არჩევითი ან თავისუფალი სტატუსის მქონე სასწავლო კურსზე. ახალი სასწავლო კურსის დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვგვარად ხდება. საქართველოში აღნიშნული პროცესი რამდენიმე სავალდებულო სტადიით ხასიათდება:

1. კომპეტენტური პირის მოძიება ან გადამზადება;
2. სილაბუსის შემუშავება;
3. სილაბუსის შეფასება და საგანამანთლებლო პროგრამასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
4. საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია (კორექტირება და განახლება);
5. სასწავლო წყაროების მოძიება და ბიბლიოთეკაში განთავსება;
6. სასწავლო კურსის პოპულარიზაცია, არჩევითობისთვის წინაპირობის შექმნა;
7. სასწავლო გარემოს მოწყობა, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მზად უნდა იყოს, შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად და რესურსების მობილიზებისთვის. ეს უკანასკნელი გარემოებები მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად, სრულფასოვნად და შედეგზე ორიენტირებული მაღალი მოტივაციის შენარჩუნებით განხორციელებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომპონენტი არ/ვერ იქნება სათანადო დონეზე ორგანიზებული და უზრუნველყოფილი სასწავლო კურსი აღმოჩნდება დისკრედიტირებული და მისი საჭიროება ეჭვის ქვეშ დადგება. აქედან გამომდინარე, ვიდრე დაწესებულება გადაწყვეტს ფილმების მეშვეობით სამართლის სწავლება დამოუკიდებელი სასწავლო კურსის მეშვეობით განახორციელოს, უნდა ჩაატაროს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, შეაფასოს თითოეული სტადიის მზაობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვას მისი იმპლემენტაცია პროგრამასა და სასწავლო პროცესში.

6. კინო ქეისით სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, შეფასების მეთოდები, აქტივობები, ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები

სააუდიტორიო და საშინაო დატირთვების შესაბამისად, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებზე „სამართალი და კინოს“ დამოუკიდებელი სასწავლო კურსის მოცულობა სასურველია იყოს არანაკლებ 5 ECTS (ევროპული კრედიტის ტრანსფერის სისტემა), სსიპ - ბათუმს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში 1 ECTS უდრის 25 აკადემიურ საათს. შესაბამისად დატვირთვა 5 ECTS შეთხვევაში შეადგენს 125 აკადემიურ საათს, რომელთაგან არანაკლებ 60 საათი უნდა იყოს საკონტაქტო/სააუდიტორიო, ხოლო 65 საათი დამოუკიდებელი სამუშაო დატვირთვა.

სტუდენტი სასწავლო კურსის შესახებ ძირითად ინფორმაციას იღებსსილაბუსიდან, შესაბამისად, სილაბუსის თითოეული შემადგენელი სტრუქტურული კომპონენტი უნდა იყოს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სილაბუსს გააჩნია გარკვეული საერთო მახასიათებლები, რომელთან მიმართებაშიც, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ზოგადი რეკომენდაციები. სილაბუსის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებად ითვლება სასწავლო კურსის მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათობრივი დატვირთვა, მიზანი, შედეგები, შინაარსი/თემატიკა, სწავლა/სწავლების მეთოდები, აქტივობები, სტუდენტის შეფასება და სასწავლო წყაროები (მოცემული საგნის შემთხვევაში სარეკომენდაციო ფილმების სათანადო ფორმით შედგენილი კატალოგიც). თითოეული კომპონენტის მიმართ სასწავლო კურსის განმახორციელებელმა პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს მინიმალური მოთხოვნები.

ა) საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათობრივი დატვირთვა - საკონტაქტო საათების გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნას 15 კვირიანი სასწავლო პერიოდი და თითოეულ კვირაზე საერთო დატვირთვიდან გამოყოფილი წილი (მიზანშეწონილია საკონტაქტო დათვირთვა 15-ის ჯერადი იყოს). გარდა ამისა, მხედველობაში მიღებული უნდა იქნას დაგეგმილი აქტივობის სპეციფიკა, ფილმის ერთობლივად ყურების საჭიროება, თემატიკის, განხილვის დისკუსიისა და დებატების სიღრმე;

ბ) მიზანი - იმგვარად უნდა იყოს ფორმირებული, რომ სტუდენტს სრული და მკაფიო წარმოდგენა შეექმნას სასწავლო კურსის შინაარსზე, ფუნქციებსა და სარგებლიანობაზე. მოცემული სასწავლო კურსის მიმართ აუცილებელია მიზანში აღწერილი იყოს, ასევე, რა სფეროს და დარგებს მიიცავს იგი;

გ) შედეგები - კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, უნდა ჩამოყალიბდეს სამი ძირითადი ჯგუფის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ვინაიდან სასწავლო კურსი არ ითვალსიწინებს პირველადი ცოდნის შეძენას და მოიცავს სამართლებრივ შემთხვევებთან დაკავშირებულ ანალიტიკურ და შემოქმედებით ინტერაქციას, სწავლის ძირითადი დარგობრივი შედეგები, შესაძლოა, განისაზღვროს მხოლოდ მეორე - უნარების და მესამე - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში. მნიშვნელოვანია შესაბამისი ზმნების (ამოიცნობს, აფასებს, ასაბუთებს, ადგენს და სხვ.)

გამოყენებით ზუსტად, პუნქტობრივად ჩამოყალიბდეს, რა შედეგს მიიღებს სტუდენტი კურსის წარმატებით გავლის შედეგად, რაც ასევე კავშირში უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან, იმ განსხვავებით, რომ უნდა იყოს უფრო კონკრეტული და დეტალური.

დ) შინაარსი/თემატიკა - ცოდნის თანმიმდევრული დაშენების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კურსის შინააარსი/თემატიკა ჩამოყალიბდეს ზოგადიდან კერძოსაკენ სტრუქტურით. დასაწყისისთვის სტუდენტს აუცილებლად უნდა განემარტოს შესასწავლი საკითხების წინაპირობები, რა მიზნებისთვის რა მოქმედებები უნდა შესრულდეს. ყოველ სასწავლო კვირაში უნდა დაიგეგმოს სალექციო/საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის თემატიკა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს და უკავშირდებოდეს ერთმანეთს. გარდა ამისა თემატიკა თანაბრად უნდა მოიცავდეს სამართლის ძირითადი დარგების საკითხებს. სასურველია თემატიკა დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: სამართალი, როგორც მარეგულირებელი საშუალება, მისი როლი და ფუნქცია საზოგადოების ცხოვრებაში (აქვე შეიძლება გაერთიანებული იქნას სამართლის ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ინსტიტუციური საკითხები); საჯარო სამართალი; კერძო სამართალი და სისხლის სამართალი.

დარგის სრულფასოვნად აღქმისა და სტუდენტის მიერ მომავალი მიმართულების გააზრებული არჩევანისთვის, მნიშვნელოვანია ფილმები და საკითხები შერჩეული და განხილული იქნას დაბალანსებულად, იმგვარად, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული ჯგუფის საკითხი მაქსიმალურად გათვალსიწინებული იქნას სასწავლო აქტივობებში. რასაკვირველია, ჯგუფების დაყოფა უფრო დეტალურ სფეროებადაც შეიძლება, თუმცა ზოგადი კურსის ფარგლებში, მნიშვნელოვანია სამართლის ყველა ძირითადი დარგი თანაბრად იყოს განაწილებული და გათვალისწინებული სასწავლო პროცესში. ეტაპობრივად შესაძლებელია ცალკეული დარგების (საჯარო, სისხლის, კერძო და სხვ.) მიხედვით განცალკევებული სასწავლო კურსის შექმნა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაშენება.

შინაარსის/თემატიკის ფორმულირება არ არის აუცილებელი ემთხვეოდეს კლასიკური გაგებით სალექციო ფორმატს, მიზანშეწონილია განსხვავებულადაც კი იყოს ეს საკითხი გადაწყვეტილი. მაგ.: „დანაშუალის გამოძიების მითი და რეალობა ფელიქს გერი გრეის 2009 წლის ფილმში „კანონმორჩილი მოქალაქე“. მთავარია სილაბუსით განმარტებული იყოს ის ვალდებულებები, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს სააუდიტორიო მუშაობის დაწყებამდე (ანუ მოსამზადებელ ეტაპზე) და სასწავლო აქტივობის დროს.

თემატიკაში, შესაძლოა, გათვალისწინებული იქნას განსახილველი ფილმების არჩევანი, რომელიც პრევენციულად უზრუნველყოფს კონკრეტული აუდიტორიის ინტერესისა და აკადემიური დონის დაკმაყოფილებას.

ე) სწავლა/სწავლების მეთოდები და სასწავლო აქტივობები - სილაბუსი სრულად უნდა ჩამოთვლიდეს და აღწერდეს იმ მეთოდებს და აქტივობებს, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. კინოფილმების მეშვეობით, ზოგადად, სამართლის თუ ცაკეული დარგის ფარგლებში, მხოლოდ ლექცია და სემინარი, როგორც სწავლების მეთოდი არ იქნება რელევნატური. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინტერაქტიულ და დამოუკიდებელ მუშაობაზე ორიენტირებულ მეთოდებს, კერძოდ, იდენტიფიცირების, შეფასებისა და მსჯელობის უნარების

განმავითარებელ მეთოდებსა და აქტივობებს. რელევანტურ სწავლა/სწავლების მეთოდებად შეიძლება მივიჩნიოთ: ლექცია/კონსულტაცია/ინსტრუქტირება, ჯგუფში მუშაობა პრეზენტაცია და საშინაო დავალება, დამოუკიდებელი მუშაობა. აქტივობების სახით რელევანტურად მიიჩნევა: სიტყვის მომზადება და საჯარო გამოსვლა, დისკუსია, დებატები, შემთხვევის განხილვა/ანალიზი, ბლიცკითხვები, ბრეინშტორმინგი, ალტერნატიული რეალობის განვითარება, შეცდომის იდენტიფიცირება და გასწორება.

სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფაქტობრივი (თუნდაც ჰიპოთეტური) მონაცემებისა და მარეგულირებელი წყაროების ურთიერთმიმართების, გავლენისა და დამოკიდებულების საკითხის გარკვევას, მითებისა და რეალობის იდენტიფიცირების პრობლემებს.

მეტი სიცხადისა და მარტივი გამოყენებადობის მიზნით, სასურველია თემატიკა მიბმული იყოს კონკრეტულ აქტივობებზე.

3) სტუდენტის შეფასება - მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად შეფასება არ შეიძლება იყოს ერთჯერადი. სასწავლო კურსის ინტერაქციული და შემოქმედებითი თავისებირებებიდან გამომდინარე, შეფასება უნდა ხორციელდებოდეს უწყვეტად, ყოველი სააუდიტორიო და საშიანო დავალების დასრულებისთანავე, რაც, თავის მხრივ, განმავითარებელი შეფასების პრინციპიდან გამომდინარეობს.

შეფასების მეთოდები, ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები უნდა ესადაგებოდეს სასწავლო კურსის შედეგებს. ამავე დროს სასწავლო კურსის თავისებურებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, შეფასების რელევნატური ფორმების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევას და გამოყენებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს აქტივობები, რომლებიც ექვემდებარება შეფასებას და ლოგიკურად უნდა შეირჩეს მათი შეფასების ფორმები (ზეპირად, წერილობით, სიმულაციურად, მოდელირებულად თუ სხვა სახის პერფორმანსით), კომპონენტები (ზეპირი გამოკითხვა, დებატი, ტესტი, კაზუსის ამოხსნა, ესსე, პრეზენტაცია, წერითი თემატური დავალება და სხვ.), კრიტერიუმები (ინდიკატორები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს დავალება ან პასუხი რა ხარვეზებს შეიცავს).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სარეკომენდაციო სქემად შეიძლება აღებული იქნას შემდეგი მოდელი:

N	ფორმა	კომპონენტი	კრიტერიუმი	ქულა
			კაზუსი ამოხსნილია სწორად, სრულად და დასაბუთებულია ჯეროვნად, უნაკლოდ	4

1	წერილობითი დავალება	კაზუსის განხილვა/ამოხსნა	კაზუსი ამოხსნილია ნაწილობრივ ან სრულად, თუმცა დასაბუთებულია არაჯეროვნად	3
			პასუხი არსებითად მცდარია თუმცა სახეზეა მცდელობა და სტუდენტი თავს არ არიდებს შეფასებით ვალდებულებას.	2
			პასუხი მცდარია ან არ არის წარმოდგნილი საერთოდ, დასაბუთება საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან აცდენილია შინაარსობრივად.	0-1
2	ზეპირი გამოკითხვა	დებატი	მსჯელობა გამართულია, თანმიმდევრული, ლოგიკური და დამაჯერებელი, არ იწვევს კითხვის დასმის აუცილებლობას; ტერმინოლოგია სწორია, კითხვა პასუხის დროს ავლენს კორექტულობას და პატივს სცემს განსხვავებულ აზრს	4
			მსჯელობა უმეტესწილად სწორია, ნაწილობრივ ფრაგმენტული, საუბრობს გასაგებად, შეიცავს ზოგად ელემენტებს და საჭიროებს კითხვებით დაზუსტების აუცილებლობას. ტერმინოლოგიაში დაშვებულია მცირე შეცდომები ან გამოიყენება მწირად.	3
			მონაწილეობს პასიურად, მსჯელობა ფრაგმენტული ან დაუსრულებელია, არ ცდილობს ინტენსიურად პორცესში მონაწილეობას, ზედაპირულია, მსჯელობს დარგობრივი ტერმინოლოგიის გარეშე.	2
			არ მონაწილებს დებატებში, პასიურია, მონაწილეობს მხოლოდ შემფასებლის დავალებით, მსჯელობა მცდარია და ზედაპირული, ზოგადი, არ აქვს დარგობრივი ცოდნა, არ იცნობს ტერმინოლოგიას.	0-1

წარმოდგენილი მოდელი ესადაგება მიმდინარე აქტივობებისთვის გამოსაყენებელ შეფასებებს. ასეთივე სქემით შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებები, რომლებშიც კომპონენტების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შესაძლოა განსაზღვრული იქნას განსხვავებული ქულები (კომპონენტების მიხედვით). სასწავლო კურსის განმახორციელებელს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი შეფასების მოდელი და სქემა.

ზ) სასწავლო წყაროები (ფილმების სათანადო ფორმით შედგენილი კატალოგი) – სასწავლო წყაროები, ლიტერატურა, როგორც წესი სილაბუსში წარმოდგენილია სავალდებულო და დამხმარე წაყროების სახით. სავალდებულო ლიტერატურა სრულად უნდა ფარავდეს სილაბუსის შინაარს და იძებნებოოდეს (ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტისთვის) საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ან ელექტრონული ფორმით. კინოფილმებზე დაფუძნებული სწავლება გამორიცხავს მხოლოდ ბეჭდურ წყაროებზე დაფუძნებულ სწავლებას, შესაბამისად, სასწავლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას თვალსაჩინო, აუდიო-ვიზუალური მასალები, მეთოდური სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები. სასწავლო კურსის ხელმძღვანელ პროფესორ/მასწავლებელს წინასწარ მომზადებული და კატალოგიზირებული უნდა ქონდეს სასწავლო მიზნებისთვის ვალიდური თვალსაჩინო, აუდიო-ვიზუალური წყაროები (სქემები, ჩანახატები, აუდიო ჩანაწერები, კინოფილმები, როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული და ჰიპოთეტური).

დამხმარე წყაროების ნაწილში პროფესორ/მასწავლებელი სარგებლობს სრული თავისუფლებით და უფლებამოსილია სტუდენტებს შესთავაზოს საკუთარი შეხედულებით ვალიდური აკადემიური თუ ინფორმაციული წყარო. დამხმარე წყაროები არ არის სავალდებულო მოიპოვებოდეს და ხელმისაწვდომი იყოს დაწესებულების ბიბლიოთეკაში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, თვით პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტები აღნიშნული წყაროებით.

ზემოთ აღწერილი სქემა საჭიროების მიხედვით შეიძლება გამოყენებული იქნას ჩაშენებული სახით კინოფილმების გამოყენებით სასწავლო აქტივობების შემთხვევაშიც.

7. სამართლებრივი ფილმების იდენტიფიკაცია, შერჩევა და კლასიფიკაცია

სასწავლო მიზნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რელევანტური კინოფილმის შერჩევას. მართალია, მოცემულ ეტაპზე ეს საკითხი ნაწილობრივ გადაწყვეტილია, ხელმისაწვდომია მოცემული გზამკვლევი (ბიბლიოგრაფიული დანართით), რომელშიც წარმოდგენილია იურიდიული კონტექსტის ფილმების ფართო არჩევანი, თუმცა მუდმივი განახლების ფონზე, მიზანშეწონილია, თანამედროვე ყოფითი გარემოებების, საზოგადოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების, მარეგულირებელი მექანიზმების, ზოგადად მართლწესრიგის ამსახველი კინოფილმები რეგულარულად ახლდებოდეს. აღნიშნული ვალდებულება სასწავლო კურსის განმხორციელებელ პირს ეკისრება. გასათვალისწინებელია, რომ სამართლებრივი კონტექსტის შემცველი კინოფილმების გამოქვეყნებული სიები და კატალოგები, რომელშიც წარმოდგენილია სასწავლო მიზნებისთვის რელევანტური ფილმები, არ წარმოადგენს იმპერატიულ წყაროს და სასწავლო კურსის პედაგოგს შეუძლია საკუთარი

შეხედულებით და კომპეტენციით მოიძიოს, შეარჩიოს და სააუდიტორიო სწავლებისას გამოიყენოს ესა თუ ის კინოფილმი, აუდიო-ვიზუალური მასალა და სხვ.

მიზანშეწონილია, რომ სასწავლო მიზნებისთვის კინოფილმის შერჩევისას პედაგოგებმა იხელმძღვანელოს კრიტერიუმებით, რომელიც გამორიცხავს არა რელევანტური არჩევანის გაკეთებას. კერძოდ, პედაგოგი ვიდრე კინოფილმს შეიტანს სასწავლო პროგრამაში და სტუდენტებს შესთავაზებს განსახილველად, ვალდებულია იგი შეაფასოს შემდეგი კრიტერიუმებით: 1) შეიცავს თუ არა იგი სამართლებრივ ელემენტს და რა მოცულობით (ფილმის მთელი სიუჟეტი სამართლებრივია თუ ნაწილობრივ, მხოლოდ ცალკეული ფაქტები და შემთხვევებია წარმოჩენილი); 2) ფილმი იდენტიფიცირებადი და ხელმისაწვდომია (ფილმის მოპოვება და ყურება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს); 3) ფილმის ჟანრი და შინაარსი უნდა იყოს სანდო, სააზროვნო, სერიოზული და არ იყოს აბსურდული, მხოლოდ ემოციურ რეფლექსიაზე ორიენტირებული; 4) სტუდენტთა სამოქალაქო პასუხისმგებლობისცნობიერებასთან თავსებადი სიუჟეტი (აღნიშნული ეხება უცხოურ კინემატოგრაფიას. ხშირად კინოფილმები გამოხატავენ ვიწრო ეთნიკური თუ სხვა ჯგუფის თავისებურებებს, რაც საყურებლად საინტერესოა, თუმცა სასწავლო მიზნებისთვის არ წარმოადგენს ინტერესს და პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნია); 5) ფილმის შინაარსის აქტუალობა. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგებისთვის რელევანტური შინაარსის მქონე ფილმების შერჩევა და ფილმში განვითარებული სიუჟეტი არ უნდა იყოს მოძველებული ან შესაბამის სასწავლო აქტივობას ადეკვატურად უნდა მიესადაგოს.

პედაგოგმა, სასურველია, ფილმების კატალოგი შეადგინოს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული და უცხოური წარმოების სახით. მნიშვნელოვანია თანაბარწილად იქნას გამოყენებული როგორც ეროვნული, ისე უცხოური კინოფილმები. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს შედარებითი უნარების განვითარებას. სასწავლო მიზნებისთვის შერჩეული ფილმები, შესაძლოა, ჟანრების მიხედვით დაჯგუფდეს (დოკუმენტური, მხატვრული, ისტორიული, ბიოგრაფიული, დრამატული, დეტექტიური, ტრილერი, ნეორეალისტური და სხვ.). სასურველია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი არარეალისტური ხასიათის, წარმოსახვითი სამართლებრივი ასპექტების მქონე ჟანრის ფილმები (ფანტასტიკა, მისტიკა, საშინელებათა, სათავგადასავლო, ბლოკბასტერი, ანიმაციური და სხვ.). დასაშვებია სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს ჰქონდეს საკუთარი მეთოდოლოგია სასწავლო მიზნებისთვის კინოფილმების, აუდიო-ვიზუალური მასალების მოძიების, შერჩევის, დალაგების და შეფასებისთვის.

წინამდებარე თემატური ნაწილის მომზადებისას გამოყენებული წყაროები:

1. ბენიამინ რივაია, პაბლო დე სიმა. სამართალი და კინო (100 ფილმი). საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2007;
2. Janice Denoncourt, J., 'Using Film to Enhance Intellectual Property Law Education: Getting the Message Across', European Journal of Law and Technology, Vol. 4, No. 1, 2013;
3. Stefan Machura. An analysis Scheme for law films. University of Baltimore Law Review. Volume 36, Issue 3, Article 4, spring, 2007;
4. Edward Mussawir, The Cinematics of Jurisprudence: Scenes of Law's Moving Image, Law and Literature, Volume 17, 2005;
5. Shepherd, S. (Ed.) The History of Legal Education in the US: Commentaries and Primary Sources. (199) Vol 1 Salem Press, Inc. California, USA;
6. Amnon Reichman. The Production of law (and Cinema): Preliminary Comments on an Emerging Discourse. Southern California Interdisciplinary Law Journal. Vol. 17:457, 2008;
7. Shulamit Almog & Ely Aharonson, Law as Film—Representing Justice in the Age of Moving.

სამართალი კინოში - რატომ და როგორ უნდა დავახმაროთ კინემატოგრაფიული ნამუშევრები სამართლის სწავლებას უნივერსიტეტში

(საერთაშორისო კვლევითი მიდგომის ანალიზი)

წინამდებარე თემატური ნაწილის მიზანია ევროპული და ამერიკული გამოცდილების მიმოხილვით, სპეციფიკური მიდგომებისა და მეტ-ნაკლებად ახალი ინტერდისციპლინური დარგის, „კინო და სამართლის" მოშველიებით, სამართლის ფაკულტეტებში სწავლების პროცესში კინემატოგრაფიული ნამუშევრების ჩართვისას, ყურადღება გამახვილდეს ახალ შესაძლებლობებზე, სწავლების ახლებურ მეთოდზე, ანალიზის წარმოებისა და თეორიული ცოდნის გაღრმავების ინოვაციურ ფორმებზე.

დოკუმენტი ეფუძნება სტენფორდის (აშშ), მიჩიგანის (აშშ), ბერკლის (აშშ), ჩრდილოეთ ილინოისის (აშშ), ბერგონის (დიდი ბრიტანეთი), სტრატკლაიდის (შოტლანდია), იერუსალიმის, ჰაიფას (ისრაელი) უნივერსიტეტების მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებს, მიმოხილვებსა და სტატიებს, რომლებიც გამოქვეყნდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

ავტორები ამნონ რაიხმანი[14], ორით კამირი[15], მაიკლ აზიმოვი[16] კვლევებში მიმოიხილავენ შედარებით ახალი ინტერდისციპლინური დარგის „კინო და სამართლის" გამოყენების საჭიროებას, უპირატესობებს, ფორმებსა და რისკებს. მათი სტატიები, გარდა დარგის თეორიული და სამეცნიერო მიმოხილვისა, ღირებულია იმითაც, რომ მკითხველებს უზიარებენ დარგის სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლების პრაქტიკულ მხარეებს, აწვდიან რეკომენდაციებს სწავლების პროცესში ჩართულ და საკითხით დაინტერესებულ პირებს.

ცხადია, წინამდებარე დოკუმენტი ვერ გასცემს ყველა არსებულ კითხვაზე პასუხს ინტერდისციპლინურ მიდგომასთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ ზემოდასახელებული მიმოხილვები ეფუძნება ძირითადად, აშშ-ში წარმოებულ კინემატოგრაფიული ნამუშევრების განხილვას, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ეს მცდელობა ადგილობრივ აკადემიურ წრეებში მნიშვნელოვანი კვლევების მომზადების კატალიზატორი გახდება.

მოცემულ თემატურ კომპონენტში, წარმოვადგენთ მსჯელობას, თუ რატომ და როგორ შეიძლება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამართალმცოდნეობის მიმართულების სწავლებებში დაამკვიდროს კინემატოგრაფიული ნამუშევრების ჩვენება-განხილვისა და პროფესიული რეფლექსიის პრაქტიკა. ასევე განვიხილავთ იმას, თუ რას ეფუძნებოდა დასავლური აკადემიური სივრცე, როცა ფაკულტატურ პროცესში კინო, როგორც დამხმარე საშუალება, შემოიტანა; რისი საშუალება მისცა სწავლულსა და აუდიტორიას კინონამუშევრების ხილვამ და განხილვამ სამართლის კონკრეტული მიმართულებების გავლის დროს; რა საერთოს პოულობენ პროფესორები კინოსა და სამართალს შორის და რატომ ეძებენ არა მხოლოდ სამართალს კინოში, არამედ პირიქითაც, კინოს - სამართალში.

აღნიშნული პროფესორების ნაშრომებს ახლავს მცირე ჩამონათვალი იმ აკადემიური წყაროებისა, რომელსაც თავად იყენებდნენ და ეყრდნობოდნენ კვლევის პროცესში. ამასთან, დოკუმენტი შეიცავს საჯაროდ ხელმისაწვდომი ტექსტური რესურსების ჩამონათვალს

(სტატიების, მიმოხილვებისა და ბიბლიოგრაფიული სიის), რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში იქმნებოდა ინტერდისციპლინური დარგის განვითარებით დაინტერესებული მეცნიერების, სამართლის პროფესორებისა და სამართალწარმოებაში ჩართული პირების მიერ. თანდართულია ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მიერ ყველა დროის საუკეთესო სამართლებრივ და კრიმინალურ დრამებად შეფასებული ფილმების ჩამონათვალი შესაბამისი აღწერილობებით. ეს აღწერილობა არამხოლოდ სამართლის, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერებების ნებისმიერი მიმართულების კათედრას და შესაბამის აუდიტორიას გამოადგება.

რატომ კინო და სამართალი?

დოკუმენტის შესავალში მოხსენიებული მეცნიერები სამართლის ფაკულტეტზე კინო ნამუშევრების ჩვენების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას უსვამენ ხაზს. მათ შორის, ერთი-ერთი უპირველესი საკითხი გარკვეული კავშირებისა და მსგავსებების ძიებაა ორივე მიმართულებას შორის.

ორით კამირი აღნიშნავს, რომ კინოსა და სამართლის, როგორც ინტერდისციპლინური დარგის სწავლება შეიძლება განხილული იქნას, როგორც გარკვეული განშტოება სამეცნიერო წრეებში გაცილებით ადრე დამკვიდრებული დარგისა, რომელიც მხატვრული ლიტერატურის მოშველიებით სამართლის საკითხების გააზრებას და მიმოხილვას გულისხმობს[17]. ამნონ რაიხმანი სამართლის კინოსა და ლიტერატურასთან მიმართების გაანალიზებისას შენიშნავს, რომ არ არის აუცილებელი კინო სამართალთან მიმართებაში განვიხილოთ, როგორც ლიტერატურის კინოსთან ურთიერთქმედების გაგრძელება ან სახესხვაობა და საამისოდ შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: კინოს, სულ მცირე, ორი იმგვარი მდგენელი აქვს, რაც რადიკალურად განასხვავებს მას ლიტერატურისგან - ამ მდგენელებში მეცნიერი *გამოსახულებასა* და *წარმოდგენას* მოიაზრებს. კინოში გამოსახულების აუცილებლობის გამო რაიხმანი მას ფოგოგრაფიასთან, წარმოდგენის გამო კი ხელოვნების კიდევ ერთ დარგთან, თეატრთან გაცილებით ახლოს მდგარად მოიაზრებს, ვიდრე ლიტერატურასთან. ევერესტზე მომზადებული დოკუმენტური ფილმი სრულიად განსხვავებულია მისი ტექსტობრივი აღწერილობისაგან, რადგან მოძრავი გამოსახულება უკვე თავისთავად ღირებულებაა, სიტყვების გარეშეც, - შენიშნავს მეცნიერი[18].

სტრატკლაიდის (შოტლანდია) უნივერსიტეტის პროფესორი, პიტერ რობსონი და ბოსტონის (აშშ) უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი ჯესიკა სილბი წიგნში „სამართალი და სამართლიანობა მცირეეკრანებზე" აღნიშნავენ, რომ კინოსა და სამართლის დარგის აღმოცენება და შესწავლა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ადრეულ პერიოდს უკავშირდება, როცა აკადემიურ წრეებში აქტიურად დაიწყო სამართლისა და პოპულარული (პოპ) კულტურის ურთიერთმიმართების კვლევა, განსაკუთრებული აქცენტი ამ დროს სწორედ კინოსა და ტელევიზიაზე გაკეთდა[19]. ავტორები აღნიშნავენ, რომ შემდგომი 20 წლის განმავლობაში სამართლისა და პოპ კულტურის ურთიერთქმედებაზე მომზადებული სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემული წიგნები ტალღასავით დაატყდა თავს აკადემიურ წრეებს, მათი უმრავლესობა კი სწორედ კინოსა და სამართალს ეხებოდა. რობსონი და სილბი აღნიშნავენ, რომ 1996-2012 წლებში 16 მონოგრაფია მომზადდა და გამოიცა ამ ინტერდისციპლინურ დარგში.

ორით კამირი ჩამოთვლის იმ სამეცნიერო კონფერენციებს და სიმპოზიუმებს, რომლებიც ამ ახალი დარგის შესწავლის შედეგების გაზიარებას და სამეცნიერო ანალიზს დაეთმო მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში. კამირი მოიხმობს 1999 წელს, ამერიკის სამართლისა და საზოგადოების ასოციაციის პრეზიდენტის, ოსტინ სარატის საპრეზიდენტო მიმართვას ასოციაციის შეკრებაზე, სადაც მან რეჟისორ ატომ ეგოიანის 1997 წლის დრამის, The Sweet Hereafter[20] სამართლებრივი კრიტიკული ანალიზი წარმოადგინა.

მიუხედავად დარგის ამგვარი განვითარებისა, ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ბევრი იურისტისთვის, სამართლის მკვლევარისთვის და სტუდენტისთვის სამართლისა და კინოს ამგვარად დაკავშირება უამრავ ფუნდამენტურ კითხვას აჩენს: რა არის კინო და სამართალი, როგორც ინტერდისციპლინური დარგი? რის გაგებას ცდილობს დარგის მკვლევარი? რა სახის კავშირები და მსგავსებებია ფილმსა და სამართალს შორის, რომლებიც დაამტკიცებენ ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური ხედვის აუცილებლობას? რატომ უნდა ვიკითხოთ ფილმები, როგორც სამართლებრივი ტექსტები?

ორით კამირი თავად ცდილობს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას საკუთარ კვლევასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამართლის პროფესორი წერს, რომ როგორც სოციო-კულტურული ფორმები, სამართალიც და კინოც მნიშვნელობას იძენენ თხრობის, წარმოდგენისა და გარკვეული რიტუალური ჩარჩოების გამოყენებით, რა დროსაც რთავენ ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს, ინდივიდებსა და სფეროებს. ორივე იწვევს მონაწილეობისთვის მაყურებლებს, სამართალმცოდნეებს, სამართალწარმოების მხარეებს ან/და საზოგადოების წევრებს, რათა გაიზიარონ კინოსა და სამართლის მიერ შეთავაზებული ხედვა, ლოგიკა და ღირებულებები. ორით კამირი იშველიებს პოლიტიკის მეცნიერისა და ისტორიკოსის, ბენედიქტ ანდერსონის განსაზღვრებას, რომ კინო და სამართალი - ორივე აყალიბებს „წარმოსახვით თემს"[21]. კამირი აგრძელებს, რომ ორივე დარგი მოითხოვს წესებისა და ნორმებისადმი ერთგულებას წესრიგის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების სანაცვლოდ. კინოც და სამართალიც საჭიროებს პერსონალური და კოლექტიური იდენტობის, ენის, მეხსიერების, ისტორიის, მითოლოგიის, სოციალური როლების და საზიარო მომავლის თანხმლებ და განგრძობად შექმნას.

ამნონ რაიხმანი აღნიშნავს, რომ სამართლისა და კინოს ინტერდისციპლინური დარგის შესწავლის საჭიროება განაპირობა იმ მოცემულობამ, რომ თანამედროვე საზოგადოება იმ ეპოქაშია, სადაც მხატვრული, დოკუმენტური კინო აღიქმება არამხოლოდ რეფლექსიებისა და გამოხატვის ინსტრუმენტად, არამედ, როგორც უსაზღვროდ მდიდარ პრაქტიკად, რომლითაც შესაძლებელია სხვა პრაქტიკებზე, განსაკუთრებით კი სამართალზე ბევრი რამე ვისწავლოთ. ამის საილუსტრაციოდ რაიხმანი ასახელებს კიდევ ერთი ავტორის, მაიკლ აზიმოვის კურსს ბერკლის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. აზიმოვი სწავლების დროს იყენებს შენონ მეიდერის თანაავტორობით 2004 წელს გამოცემულ წიგნს „სამართალი და პოპულარული კულტურა"[22]. აღნიშნული კურსი ისწავლება როგორც აშშ-ს ჩრდილოეთ შტატების, ასევე კანადის რამდენიმე უნივერსიტეტში. აზიმოვი და მეიდერი ინტერდისციპლინური კურსის პრაქტიკული გამოყენების სარგებელზე ამახვილებენ ყურადღებას. *ამ კურსზე მეორე თავში ვისაუბრებთ.*

ავტორები კინოსა და კინემატოგრაფიაზე საუბრისას ხაზს უსვამენ განმასხვავებელ მახასიათებლებსაც. აღნიშნავენ, რომ სამართალი ორგანიზებული ძალაუფლების სისტემაა, კინო კი სიამოვნების ეკონომიკის მიერ შექმნილი ინდუსტრიაა; სამართალი ნორმატიული, ცენტრალიზებული, იძულების სისტემაა, კინო კი გასართობი, პოპულარულ-კულტურული არტეფაქტების სამყაროა, თუმცა იქვე შენიშნავენ, რომ ორივე თანამედროვე საზოგადოების დომინანტური კულტურული ფორმებია, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება ქმნის საკუთარ თავს და ჰყვება საკუთარ თავზე. ორით კამირი თვლის, რომ სწორედ ამის გამოა სამართლისა და კინოს ინტერდისციპლინური დარგი არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდგომი აკადემიური კვლევებისა და აქტიური სწავლებისთვის. ეყრდნობა რა სამართლისა და კინოს ურთიერთმიმართებაზე ჯონ დენვირის მიერ 1996 წელს დაწერილ წიგნს Legal Reelism: Movies as Legal Texts[23], კამირი ხაზს უსვამს, რომ ფილმების ყურებით ჩვენ სამართალზე ბევრ რამეს ვიგებთ. თავად დენვირი კი, რომელმაც ზემოხსენებულ წიგნში ფილმებში სამართლის აღქმასა და როლზე 14 ესსეს მოუყარა თავი, ფრენკ კაპას ფილმზე "ცხოვრება მშვენიერია" წერს: „ჩვენ შეგვიძლია წიგნები, როგორც „სამართლებრივი ტექსტები" შევისწავლოთ… „ცხოვრება მშვენიერია"[24] გვაწვდის მნიშვნელოვან წყებას, გნებავთ, ანტიდოტს მოსამართლე უილიამ რენქუისტის სამართლებრივი დისკუსიის სახით იმ ურთიერთვალდებულებებზე, რომლებიც როგორც მოქალაქეებს გვაკისრია". კამირი მიმოიხილავს რა კოლეგების მოსაზრებებს სამართლისა და კინოს ურთიერთმიმართების შესწავლის აუცილებლობაზე, ყურადღებას ამახვილებს კინონამუშევრებში სამართალწარმოებაში ჩართული აქტორების მახასიათებლების ცვლილებაზე, როგორც ერთგვარ რეფლექსიაზე, თუ როგორ აღიქვამდა და აღიქვამს საზოგადოება პოლიციას, სასამართლოს და ა.შ. გასულ ათწლეულებში და ახლა, თანამედროვეობაში. ციტირებს კიდევ ერთი მეცნიერის, ტიმოტი ო. ლენცის მონოგრაფიის მონაკვეთს, სადაც ზემონახსენები ცვლილება ამგვარად არის ასახული: „კრიმინალური ისტორიები (ჰოლივუდის) მხატვრულ ნაწარმოებებში გვაწვდის შესანიშნავ წყაროს სამართლის (სამართალწარმოების), სამართლიანობის, ინდივიდუალური უფლებებისა და სამართლის ადმინისტრირების (პოლიციის, პროკურატურის, მოსამართლეების და პრობაციის ოფიცრების) პოპულარული სახე-ხატების ცვლილების გასაგებად[25].

და მაინც რატომ უნდა დამკვიდრდეს სამართალი და კინო, როგორც ინტერდისციპლინური დარგი უნივერსიტეტებში? კალიფორნიისა და სტანფორდის უნივერსიტეტების პროფესორი, მაიკლ აზიმოვი საკუთარ პედაგოგიურ და აკადემიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ როცა სტუდენტები სწავლისას ეხებიან პოპ კულტურის ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა კინო და ტელევიზია, შედეგი განსხვავდება იმ ვითარებისგან, როცა მათ სწავლებისას მხოლოდ ე.წ. ტრადიციულ მეთოდებს სთავაზობენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მსმენელებს სილაბუსში ფილმების ჩართვა-განხილვის შედეგად აღარ უწევთ პასიურ მდგომარეობაში ყოფნა, რადგან მათ კარგად იციან კინო და სატელევიზიო ენა: ამაში ისინი მას შემდეგ იწვრთნებოდნენ, რაც საუბარი დაიწყეს და იმაზე ადრე, ვიდრე კითხვა ისწავლეს. ყოველ მათგანს ასეულობით ფილმი აქვს ნანახი და ბევრ შემთხვევაში, იმაზე უკეთ ესმით პოპულარული კულტურის, ვიდრე ეს შეიძლება ლექტორს ესმოდეს.

აზიმოვს ზემოხსენებული მოსაზრების საილუსტრაციოდ მოაქვს ორი ფილმის „ნუ მოკლავ ჯაფარას" და „ფილადელფიის" ჩვენება-განხილვის მაგალითი: „ისინი იდეებით,

არგუმენტებით და ინტერპრეტაციებით სავსენი არიან. საუბრობენ აუდიტორიაში. კამათობენ ერთმანეთთან და ლექტორთან. ისინი არ არის ლექტორის ინტერპრეტაციის მოსმენის გამო გაჩუმებულები, რადგან თავად აქვთ ინტერპრეტაციები. ინტერაქციის დონე კლასში საუკეთესო მაჩვენებელს აღწევს"[26].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აზიმოვი ერთმანეთისგან ჰყოფს პოპულარულ (პოპ) კულტურას და პოპულარულ სამართლებრივ კულტურას. ორივე მათგანს, მისივე მოსაზრებით, ფართო და ვიწრო გაგება აქვს. პოპულარულ კულტურას ფართო გაგებით ხალხის რწმენა-წარმოდგენებებად და დამოკიდებულებებად მოიხსენიებს, პოპულარული სამართლებრივი კულტურა კი აერთიანებს ხალხის წარმოდგენებსა და რწმენას სამართალსა და სამართალმცოდნეებზე. პოპკულტურის ვიწრო გაგება, აზიმოვის თქმით, მოიაზრებს მედიას - ფილმებს, ტელევიზიას ისევე, როგორც მუსიკას, კომპიუტერულ თამაშებს, სასცენო წარმოდგენებს, რომანებს და ა.შ. სამართლებრივი პოპულარული კულტურის ვიწრო გაგება კი, მეცნიერის მტკიცებით, აერთიანებს მედიას სამართლებრივ საკითხებზე, ისეთს, როგორიცაა ფილმები ან სატელევიზიო შოუები იურისტებზე.

სარკისა და სანათის ეფექტი

მეცნიერი შენიშნავს, რომ სამართალი და პოპკულტურა მნიშვნელოვნად ახდენენ გავლენას ერთმანეთზე. ამიტომაც ორივე ირეკლავს, თუ როგორ აღიქვამს ხალხი სამართალს და სამართალმცოდნეებს (აქ იგულისხმება პოპულარული სამართლებრივი კულტურა ფართო გაგებით) და ქმნის გარკვეულ წარმოდგენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოპ კულტურა ერთდროულად *სარკეც* არის და *სანათიც*.

სარკის ეფექტის მიმოხილვისას აზიმოვი აღნიშნავს, რომ პოპკულტურა ვიწრო გაგებით (მედია, კინო, ტელევიზია და ა.შ.) ხალხში არსებულ წარმოდგენებს ირეკლავს, ასახავს საზოგადოების ძირითად იდეოლოგიას, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ თავს მოიაზრებს, ასეთებად კი კონსიუმერულ (სამომხმარებლო) კაპიტალიზმს, გენდერულ როლებს და ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპებს ასახელებს - ეს კი უკვე ფართო გაგებით მოაზრებული პოპულარული კულტურაა. ამის მსგავსად, პოპულარული სამართლებრივი კულტურა ასახავს, თუ რას ფიქრობს ხალხი სამართალზე, იურისტებზე, პოლიციაზე, მოსამართლეებზე, სამართლებრივ ინსტიტუტებზე - ეს კი უკვე ფართო გაგებით მოაზრებული პოპულარული სამართლებრივი კულტურაა.

მკვლევარი შენიშნავს, რომ ცხადია, პოპ კულტურა არასდროს ასახავს სამყაროს ზედმიწევნითი სიზუსტით, რადგან მისი მიზანი ეკონომიკური სარგებლის მოტანაა და მასზე გავლენას ახდენენ იმ ადამიანთა ჯგუფების კომერციული ინტერესები, რომლებიც დგანან ამა თუ იმ მედიის უკან. თუმცა ვიწრო გაგებით მოაზრებულ პოპ კულტურას მაინც შეუძლია მოგვაწოდოს განზოგადებული წარმოდგენა რეალურ სამყაროზე. მაგალითისთვის, თუ ფილმებში სამართალწარმოებაში ჩართული პირები და ინსტიტუტები არაკეთილსინდისიერად არიან წარმოჩენილები, ეს იმის მტკიცებულება იქნება, რომ ბევრი იზიარებს ასეთ წარმოდგენას, სულ მცირე, ფილმის შემქმნელები ფიქრობენ ამგვარად. ასევეა ძველ ფილმებთან მიმართებაშიც -

მათ მნიშვნელოვანი ინფორმაცის მოწოდება შეუძლიათ იმდროინდელი სოციალური ურთიერთობების შესახებ.

სანათის ეფექტის განხილვისას კი აზიმოვი წერს, რომ ვიწრო გაგებით მოაზრებული პოპ კულტურა ხალხის წარმოდგენებს (შესაბამისად, ფართო გაგების პოპულარულ კულტურას) აყალიბებს. შესაბამისად, პოპ კულტურის მედია (პოპ კულტურა ვიწრო გაგებით), შესაძლოა, იყოს სწავლების, განათლების ყველაზე ეფექტიანი საშუალება ადამიანთა მოდგმაში. მაგალითისთვის, სარეკლამო რგოლები ცვლიან მომხმარებელთა ქცევას ახალ პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდებით ისევე, როგორც პოლიტიკური რეკლამები მანიპულირებენ ამომრჩეველთა გემოვნებით. ამგვარად, აუდიტორიის დიდი ნაწილი სწორედ პოპულარული სამართლებრივი კულტურიდან სწავლობს იმას, რაც იცის სამართალსა და სამართალმცოდნეებზე (ან ფიქრობენ, რომ იციან).

აზიმოვი შენიშნავს, რომ სამართლებრივი ლეგალური კულტურა ხშირად უბიძგებს აუდიტორიას, წარმოიდგინოს საკუთარი თავი პოლიციელის, ნაფიცი მსაჯულის, კრიმინალისტების, მოსამართლეების და იურისტების როლში, ასე ვთქვათ, შიგნიდან გაიცნოს სისტემა. ამ მედიაპროდუქტებში (ფილმებში განსაკუთრებით) განვითარებულ სიუჟეტებს მაყურებლები უმეტესად პასიურად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღებენ, საბოლოოდ კი სწორედ ამგვარად უყალიბდებათ ზოგადი წარმოდგენა სამართალზე და სამართწარმოებაში ჩართულ ინსტიტუტებსა და პირებზე. სწორედ ამიტომ იურისტებს სჭირდებათ ცოდნა იმაზე, თუ რას ასწავლის მედია აუდიტორიას მათზე. მედიის მიერ საზოგადოების „სწავლება" არის *სანათის* ეფექტი.

პროფესორი აღნიშნავს, რომ მედია (კინო) ეფექტებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აუდიტორია უმეტესად უაღრესად არასანდო, გამოგონილი წყაროებისგან სწავლობს; პოპკულტურა მეტწილად დაშორებულია რეალობას.

გამომდინარე აქედან, აზიმოვი მიიჩნევს, რომ კინოსა და სამართლის ინტერდისციპლინური კურსი აუცილებელია სამართლის სკოლებისთვის: *მისი შეხედულებით, ფილმები და სატელევიზიო შოუები სამართლებრივ თემებზე განხილულ უნდა იქნას, როგორც სამართლებრივი ტექსტები ისევე, როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.* ფილმების ამგვარად „წაკითხვით" ვიგებთ, თუ რითი არიან დაკავებულები მოსამართლეები და იურისტები, თუმცა ვსწავლობთ კინემატოგრაფიის ტექნიკის, კინოწარმოების პრაქტიკისა და ეკონომიკის, კინოისტორიის შესახებაც. აუდიტორია, - დასძენს აზიმოვი, - სვამს კითხვას პოპ კულტურის მიერ არასწორად აღწერილ რეალურ სამართლებრივ მოვლენებზე - ეს არის *სარკის* ეფექტი, ხოლო ის, თუ როგორ შეჰყავს შეცდომაში მედიაპროდუქტს აუდიტორია და აყალიბებს არასწორ წარმოდგენას პროდუქტის მომხმარებლებში - ეს უკვე *სანათის* ეფექტია.

როგორ წავიკითხოთ ფილმები, როგორც „სამართლებრივი ტექსტები"

ამ თავში შევეცდებით მიმოვიხილოთ ორით კამირის მიერ შემუშავებული ფილმების კლასიფიკაცია კინოსა და სამართლის ინტერდისციპლინური დარგის უკეთ შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ თავად ავტორის შეფასებით, ქვემომოცემული კლასიფიკაცია არ ემყარება

თემატურ ან მეთოდოლოგიურ კატეგორიზაციას. კლასიფიკაციის ამოსავალი წერტილი არის სამართლის კინოში ასახვის აღქმა, რომელიც უპირველესად, მაყურებელს შეიძლება გაუჩნდეს კინემატოგრაფიული ნამუშევრის ნახვის დროს. ასევე, ეს არის მცდელობა, გამოიკვეთოს სამართლისა და კინოს ურთიერთობის ტიპები ინტერდისციპლინური დარგის უკეთ გასაგებად და სასწავლებლად.

ორით კამირი გამოყოფს სამ ფუნდამენტურ წანამძღვარს ფილმების, როგორც „სამართლებრივი ტექსტების" წასაკითხად: პირველი - *ზოგი ფილმი მიყვება სამართლისა და საკანონმდებლო სისტემას*; მეორე - *ზოგი აქცენტებს მაყურებელს განსჯისკენ*; მესამე - *ამ რანგში მოაზრებული ფილმები იურისპრუდენციას პოპულარულს ხდის.*

პირველი წანამძღვარი გულისხმობს დებულებას, რომ როგორც სამართალი, ისე კინემატოგრაფია ეხება ფუნდამენტურ ღირებულებებს, სახეებს, იდენტობის, ცხოვრების სტილის, საზოგადოებებისა და კულტურების კრიზისებს და ამის გამო ორივე დარგი კორელაციურია ერთმანეთთან. სამართალიც და კინოც, კამირის თქმით, წამყვანი სფეროებია იდეის, თემის, იდენტობის, მეხსიერების, სამართალიანობის და სიმართლის ჩამოსაყალიბებლად. ორივე მათგანი საზოგადოებას სთავაზობს სოციო-კულტურულ არენას, სადაც ჩანს ინდივიდუალური და კოლექტიური იმედები, ოცნებები, წარმოდგენები და იმედგაცრუებები.

ავტორი ამ რანგში განიხილავს რომან პოლანსკის 1994 წელს გადაღებულ ფილმს „სიკვდილი და ქალწული"[27]. მოქმედება ხდება რომელიღაც სამხრეთ ამერიკულ ქვეყანაში, სადაც ცოტა ხნის დიქტატურა დასრულდა და ახალმა მთავრობამ წინა რეჟიმის დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტები უნდა გამოიძიოს. ფილმის მთავარი პერსონაჟის, პაულინას იურისტი მეუღლე უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ დანაშაულებების გამოძიების კომისიას. პაულინას მეუღლეს წვიმიან საღამოს დიქტატურის პირობებში პაულინას მწამებელი და გამაუპატიურებელი ექიმი მოიყვანს (როგორც ფილმიდან ჩანს, ექიმი ოჯახს უთვალთვალებდა მას შემდეგ, რაც კლასიკური მუსიკის კონცერტზე საკუთარი მსხვერპლი ამოიცნო პაულინაში, კონცერტზე პაულინა მეუღლესთან ერთად იყო). პაულინა გადაწყვეტს, რომ ერთგვარი სასამართლო მოუწყოს მის მწამებელს. მეუღლეს კი ეჭვი შეეპარება პაულინას სიმართლეში და მას პრაქტიკულად კიდევ ერთხელ მოუწევს გადაიტანოს ის საშინელი განცდა, რაც დიქტატორული რეჟიმის დროს გადახდა თავს. მას მხოლოდ დამნაშავის გულწრფელი აღიარება სჭირდებოდა, რაც ფილმის დასასრულამდე, მოძალადის მიერ მოსალოდნელი სიკვდილის სრულად გააზრებამდე ვერ მიიღო. რეჟისორი პრაქტიკულად გამოცდას გვიწყობს, დავუჯერებთ თუ არა პაულინას, რომელიც საკუთარ მწამებელს ხმით იცნობს (რადგან წამება-გაუპატიურების დროს თვალები ახვეული ჰქონდა), საბოლოოდ კი ერთგვარად სინანულისა და სირცხვილის გრძნობაც კი გვიპყრობს, რადგან პაულინას სიმართლეში ეჭვი გვეპარებოდა.

კლასიფიკაციის მეორე რანგის *(ფილმები, რომლებიც აქტიური განსჯისკენ გვიბიძგებენ)* ავტორი მოიაზრებს იაპონელი რეჟისორის 1950 წელს გადაღებულ ფილმს „რაშომონი"[28]. ფილმი რაშომონის კარიბჭის მიმდებარედ, ტყეში მომხდარი მკვლელობის ამბავზეა. როგორც ავტორი წერს, ფილმი მაყურებელს პრაქტიკულად მოსამართლის პოზიციას სთავაზობს, სულ მცირე, მთელი ფილმი კრიმინალური შემთხვევის აქტიური განსჯისა და სავარაუდო დამნაშავის

გამოვლენისკენაა მიმართული, შემთხვევითი არ არის, რომ არსად ჩანს უშუალოდ მოსამართლე, მისი ადგილი და ხედი ჩვენ, მაყურებლებს გვაქვს დაკავებული. ავტორი დასძენს, რომ ყველაზე მთავარი ეპიზოდი განსჯისთვის ფილმის დასრულების შემდეგ იწყება - „რაშომონი" ცალსახად აფიქრებს მაყურებელს, თუ რა „განაჩენს" გამოუტანს ამბის თითოეულ მონაწილეს. ფილმი მორალის, სამართლისა და სამართლიანობის, სოციალური ურთიერთობების მარადიულ კითხვებს სვამს, სიუჟეტის განვითარება და პერსონაჟების ქცევა მაყურებლისთვის, როგორც მოსამართლისთვის, უამრავ მასალას შეიცავს „განაჩენის" გამოსატანად.

მესამე რანგის ფილმებში, სადაც ავტორის თქმით, ერთგვარად იურისპრუდენცია ფართო მასებისთვის პოპულარული თემა ხდება, კინემატოგრაფიული ხაზი გადის საზოგადოების წახალისებაზე, იფიქროს არა საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებით ან მანკიერი ზნეჩვეულებებით, არამედ გადააზრების პროცესში მოიხმოს სამართლებრივი მექანიზმები და საზოგადოებრივი კონსტრუქციები ააწყოს იურიდიული ცნებებითა და განსაზღვრებებით. ასეთი რანგის ფილმებად, ორით კამირი განიხილავს მარკო ბელოჩიოს 1991 წლის ნამუშევარს „მსჯავრის დადება"[29] და ნიდერლანდელი რეჟისორის, მარლენ გორისის 1982 ფილმს „სიჩუმის კითხვა"[30]. პირველში სასამართლო პროცესის მაყურებლები ვხვდებით, სადაც ქალი მასზე ფიზიკურად მოძალადე კაცის დასჯას ითხოვს. ბრალდებული კი მის ქცევას განიხილავს, როგორც „ბუნებრივ" ქმედებას, პასუხს ქალის ნებაზე, წინააღმდეგობა არ გაეწია გამაუპატიურებლისთვის, ამიტომ მისი ქცევა არ უნდა დაექვემდებაროს საზოგადოებრივ წესრიგისა და ადამიანური ლოგიკის ჩარჩოებს, რადგან მასკულინობა ინსტიქტია. მეორე ფილმში კი მოქმედება მაღაზიაში ხდება, სადაც სამი ქალი მოულოდნელად კლავს მაღაზიის მფლობელ მამაკაცს. სასამართლო პროცესზე აშკარაა, რომ არცერთ მათგანს მენტალური პრობლემა არ აქვს. ორით კამირი შენიშნავს, რომ მკვლელობა ქალთა ისტორიული ჩაგვრისა და პატრიარქალური წესრიგისადმი აჯანყების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა იქვე სვამს კითხვებს: შეიძლება ქალების დანაშაული მივიჩნიოთ სამოქალაქო ან რევოლუციურ დაუმორჩილებლობად? იყო ეს გამოწვეული საზოგადოებაში მოქმედი სამართლებრივი წესრიგის უმოქმედობით? შეიძლება ამგვარი ქმედება გამართლებული იყოს მორალურად მაშინ, როცა სახელმწიფოები სთავაზობენ ქალებს სოციალურ სტრუქტურებზე არაძალადობრივი გავლენის საშუალებებს?

ზემოღნიშნული კლასიფიკაციის მიმოხილვის ბოლოს კამირი წერს, რომ სამივე მიმართულებაზე სწორედ სწავლების დროს დაფიქრდა და რომ კინოსა და სამართლის ურთიერთქმედება იმაზე მეტია, ვიდრე დარგზე დაწერილი ყველა მონოგრაფია თუ სტატია. ფილმებს აქვთ უნიკალური თვისება, მიწვდნენ ადამიანთა გულებს და გამოახატინონ ემოცია ყურების, მოსმენის, გაგების, დისკუსიისა და ანალიზის დროს. ფილმების გაანალიზება ახლებული პერსპექტივიდან ამაღელვებელი, დამაინტრიგებელი და გამოწვევებით სავსე გამოცდილებაა სტუდენტებისთვის, რომლებსაც ეს (შეგრძნებები) შინ მიჰყვებათ და უზიარებენ მშობლებსა და მეგობრებს, შესაბამისად, ამგვარად აგრძელებენ საკითხზე მუშაობას. სამართლებრივი საკითხების ფილმების დახმარებით სწავლება მათ ნაკლებად აბსტრაქტულს, უფრო კონკრეტულს და ინტუიტიურს ხდის"[31].

სასარგებლო რესურსები

ამ თავში მიმოვიხილავთ უფასო საკითხავ რესურსებს კინოსა და სამართლის ინტერდისციპლუნურ დარგზე. ამ რესურსებს ათეული წლების განმავლობაში ქმნიდნენ ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები, იურისტები და კინოხელოვნებაში ჩართული ადამიანები.

1. Picturing Justice - Online Journal of Law and Popular culture (https://cap-press.com/sites/pj/) - „სამართლის დასურათება" - კალიფორნიის სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტია (ონლაინ ჟურნალი) - პროექტის ავტორები პროფესორი ჯონ დენვირია, რომელიც პრაქტიკულად პიონერია „კინოსა და სამართლის" ინტერდისციპლინური დარგის დაფუძნება-კვლევის მიმართულებით. დენვირი ათეული წლების განმავლობაში აშშ-ს საკონსტიტუციო სამართალს ასწავლიდა კალიფორნიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. მასთან ერთად პროექტს ხელმძღვანელობდა რობ ვერინგი. ვერინგი ათეულობით მიმოხილვისა და სტატიის ავტორია როგორც სამართლებრივ, ისევ სამართლისა და პოპულარული კულტურის ურთერთდამოკიდებულის საკითხებში. ონლაინ ჟურნალი 1997-2006 წლებში კინოსა და სამართლის, პოპ კულტურისა და სამართლის ურთიერთქმედებაზე მომზადებულ 300-ზე მეტ სტატიას მოიცავს:

   Ø სამართლისა და კინოს ურთიერთმიმართებაზე სტატიები იხილეთ ამ ბმულზე - https://cap-press.com/sites/pj/silver_screen.htm

   Ø სამართლისა და პოპ კულტურის, ასევე ინტერდისციპლინური დარგის სხვა ასპექტების ურთიერთმიმართებაზე მასალები წაიკითხეთ ამ ბმულზე - https://cap-press.com/sites/pj/newsnviews.htm

2. Law in Popular Culture Collection. Jamail Center for Legal Research, Tarlton Law Library, University of Texas School of Law - https://tarltonapps.law.utexas.edu/exhibits/lpop/index.html - ტექსასის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლებრივი კვლევის ცენტრი, ტარტლონის სამართლებრივი ბიბლიოთეკის ეს ვებ-რესურსი აერთიანებს ასეულობით ტექსტურ და ვიდეო მასალას კინოსა და სამართლის, სამართლისა და პოპულარული კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ;

3. Jump Cut: A Review of Contemporary Media - online film journal archive - https://www.ejumpcut.org/home.html - დამოუკიდებელ ავტორთა ონლაინ პლატროფმა, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ხელოვნებაზე, ტელემედიაზე მომზადებულ და გამოქვეყნებულ ათასობით ესეს, სტატიას. Jump Cut 1974 წლიდან 2001 წლამდე მცირე ტირაჟით (4000 ცალი) გამოიცემოდა და ვრცელდებოდა აკადემიურ წრეებში, რომლებიც ძირითადად ადამიანის უფლებების საკითხებს იკვლევდნენ. 2001 წლიდან კი გამოცემა ონლაინ აგრძელებს მუშაობას და პრაქტიკულად თანამედროვე სამყაროში არსებულ ყველა გამოწვევას ეხმიანება, რომელთა ანარეკლებსაც მხატვრული და დოკუმენტური კინოს, თანამედროვე ტელევიზიის ეკრანებიდან ვხედავთ.

ცალკეული წიგნები და კვლევები

1. „სამართალი ფილმში: რეზონანსი და რეპრეზენტაცია", - დევიდ ბლეკი, ილიონოისის უნივერსიტეტი, 199 წელი - https://www.press.uillinois.edu/books/catalog/66ssr5wh9780252024597.html
2. „სამოქალაქო კინო", სამართლის მიმოხილვა (ჟურნალი), მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეტროიტის სამართლის სკოლის გამომცემლობა
3. Legal Reelism: Movies as Legal Texts, ჯონ დენვირი, ილინოისის უნივერსიტეტი, 1996 - https://www.press.uillinois.edu/books/catalog/85drd8np9780252065354.html
4. „განსჯა ფილმით: „რაშომონის სოციალურ-სამართლებრივი ფუნქციები", ორით კამირი - იელის უნივერსიტეტის ჟურნალი სამართალსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, 2000 წელი - სრული სტატია ბმულზე - https://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1223&context=yjlh
5. „ფემინისტური სამართალი და ფილმი: პოპულარულ კულტურაში სამართლის სახე-ხატების ძიების შესახებ", ორით კამირი, ჩიკაგო-კენტის სამართლის მიმოხილვის გამოცემა, 2000 - სრული სტატია ბმულზე - http://www.oritkamir.org/wp-content/uploads/2016/10/High-Heels-Chicago-Kent.pdf
6. „სამართლის სახეცვლილება დანაშაულებრივ ისტორიებში ფილმსა და ტელევიზიაში", ტიმოტი ლენცი, პეტერ ლანგი, ნიუ-იორკი, 2003 - https://www.researchgate.net/publication/265280363_Changing_Images_of_Law_in_Film_Television_Crime_Stories
7. „სამართალი და კინო", მაჩურა და რობსონი, 2001, ოქსფორდი. https://www.wiley.com/en-us/Law+and+Film-p-9780631228165

კინოლექტორიუმი

მხატვრული ფილმებით განსახილველი თემატური სპექტრი

ჩვენ, უკვე დიდი ხანია, აუდიო-ვიზუალურ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ეკრანი და ციფრული ტექნოლოგიები, როგორც კომუნიკაციის წყარო და მექანიზმები, ქმნიან ახალ კომუნიკაციურ სისტემას, კულტურის ახალ პარადიგმას. კომუნიკაციური სისტემების ცვლილებაზე განათლების სისტემამ ადექვატური რეაგირება უნდა მოახდინოს. ინფორმაცია სწავლის პროცესში იმ ფორმატში და იმ სახით უნდა მიეწოდებოდეს, რომელსაც კულტურის ახალი პარადიგმა მოითხოვს და საჭიროებს. თანამედროვე ახალგაზრდების კომუნიკაციის სისტემა ხშირად არ არის კორელაციაში კომუნიკაციის იმ სისტემასთან, რომელიც მათ სკოლასა და უნივერსიტეტში ხვდება. საგანმანათლებლო სფეროს წინაშე დგას ამოცანა არსებული ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის ახალ ციფრულ კომუნიკაციურ რეალობასთან შეჯერებისა და მისი რესურსების სათანადოდ გამოყენებისა. უნივერსიტეტებში დღეს არსებული მასალის ლოგიკური, ანალიტიკური მიწოდების პარალელურად აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს ხატოვანი, ვიზუალური შემეცნებითი აქტივობის შესაძლებლობები. უნდა ითქვას, რომ წამყვან დასავლურ უნივერსიტეტებში ამ მხრივ უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები: კინო, კინოციტატები, აუდიოჩანაწერები და სხვა, აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სწორედ ამ პრაქტიკას მიეკუთვნება ე.წ. „იურიდიული კინოს“ ფენომენი, - შესაბამისი თემატიკის ფილმების გამოყენება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

იურიდიული თემატიკა, მართლმსაჯულებისა და სამართლის საკითხები საკმაოდ არის გაშუქებული კინემატოგრაფში, განსაკუთრებით ამერიკულ კინოში. ეს არ არის გასაკვირი, - ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა დრამის და კანონის კავშირს. სასამართლო პროცესი შეიძლება განხილული იყოს, როგორც სცენაზე გადატანილი დრამა. ამას ემატება ის გარემოება, რომ დასავლური, ანგლო-საქსონური კულტურა გამოირჩევა განსაკუთრებული ინტერესით სამართლისა და სამართლიანობის საკითხების მიმართ. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის თაოსნობით ნათარგმნია ბენიამინ რივაიასა და პაბლო დე სიმას წიგნი - „სამართალი და კინო 100 ფილმში“, სამართლის და კინოს ურთიერთობებზე. წიგნი მიმოიხილავს ე.წ. იურიდიული კინოს ფენომენს. წიგნში სამართლის თვალთახედვით განხილულია ცნობილი 100 ფილმი და მთი სიუჟეტები. საგანი „სამართალი და კინო“ იკითხება ესპანეთის რამდენიმე უნივერსიტეტში, ფილმების განხილვის მეშვეობით სამართლებრივ საკითებზე მსჯელობა და დისკუსია წარმატებით გამოიყენება ესპანეთის საჯარო მოხელეთა (მათ შორის, მოსამართლეთა) მოსამზადებლად შექმნილ სპეციალურ დაწესებულებებში.

ვფიქრობთ, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს საქართველოში კინოლექტორიუმის გამოყენება („იურიდიული ფილმების“ ყურება და განხილვა) ხელს შეუწყობს მათი მომავალი პროფესიის პრობლემატიკის ჩაწვდომაში. განსახილველი ფილმების სია, ისევე როგორც განსახილველი თემებისა და საკითხების ჩამონათვალი პირობით ხასიათს ატარებს.

თემა I. კრიმინალური სამყაროს გაშუქება ქართულ კინემატოგრაფში. კონოტაციების საკითხი

ქართულმა კინომ (თუმცა, ეს არა მხოლოდ ქართული კინოს ფენომენია), შეიძლება ითქვას, ხელი შეუწყო კრიმინალური სამყაროს ერთგვარ რომანტიზაციას, მითს, რომელიც აქტიურად მუშაობდა 80/90-იან წლებში და რომლის შედეგებს საზოგადოება გარკვეულად დღესაც იმკის. „კეთილშობილი ყაჩაღის" სტერეოტიპი მარტო ქართული კულტურისთვის არაა დამახასიათებელი“ - წერს ცნობილი პუბლიცისტი დავით ზურაბიშვილი - „მაგრამ ეს ვერაფერი შვებაა. ლეგენდებს „ინტელექტუალ ქურდებზე", „მაგარ მომპარავ ტიპებზე" თუ უბრალოდ „კაი ბიჭებზე" ქართულ-საბჭოურ მითოპოეტურ სამყაროში საპატიო ადგილი ეკავა“. „საპატიო ადგილი“ ეკავა ამ ლეგენდებს ქართულ კინოშიც:

1. **რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. „დათა თუთაშხია“ (საქართველო, 1978);**

2. **რეჟისორი თეიმურაზ ბაბლუანი „უძინართა მზე“ (საქართველო, 1992);**

3. **რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. „თეთრი ბაირაღები“ (საქართველო, 1990);**

4. **რეჟისორი ლევან თუთბერიძე „მოგზაურობა ყარაბახში“ (საქართველო, 2005);**

და მთელი სერია 90-იანებში გადაღებული ფილმებისა შავ სამყაროზე, სადაც კრიმინალური მენტალობის გმირი ხშირად აღიქმებოდა, როგორც „სიყალბით სავსე საბჭოური რეალობის ალტერნატივად“, ან მსხვერპლად. დავით ზურაბიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ სინამდვილეში ეს „ალტერნატივა კი არ იყო, არამედ ამ რეალობის ნაწილი“.

ერთი საინტერესო ფაქტი. შვედეთში თქვენ ადვილად შეიძენთ პეპი გრძელიწინდას თოჯინას, სუვენირს, პოსტერს და ასე შემდეგ, მაგრამ ვერსად ნახავთ გაყიდვაში იმავე პროდუქციას, არტეფაქტს კარლსონზე. საბჭოთა კავშირში გადაღებულმა შესანიშნავმა მულტფილმმა, ცელქი და პუტკუნა კარლსონი საყვარელ პერსონაჟად აქცია. მაგრამ შვედებისთვის კარლსონი, რომელიც სხვენებიდან მურაბებს და სხვა პროდუქტებს იპარავს, კრიმინალური მენტალობის მატარებელია და მავნე და მიუღებელ პერსონაჟად ითვლება...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა ფილმები, რომლებიც კრიმინალური სამყაროს „დერომანტიზაციას“ ახდენდა:

5. **რეჟისორი ალეკო ცაბაძე „ლაქა“ (საქართველო, 1985);**

6. **რეჟისორი ზაზა ხალვაში „სოლომონი“ (საქართველო, 2015);**

7. **რეჟისორი ლევან კოღუაშვილი „ქუჩის დღეები“ (საქართველო, 2010);**

8. **რეჟისორი ლევან თუთბერიძე „მოირა“ (საქართველო, 2015**).

ზოგიერთი ქართული ფილმი კი ორმაგი მესიჯის მატარებელია: 9. **რეჟისორი** ლევან ანჯაფარიძე „ორმაგი სახე“ (საქართველო, 1997); 10. **რეჟისორი** ლევან ზაქარეიშვილი „ისინი“ (საქართველო, 1992); 11. **რეჟისორი** სიკო და ქეთი დოლიძეები. „კუკარაჩა“ (საქართველო, 1982)

განსახილველი თემები და საკითხები:

1. „კეთილშობილი ყაჩაღის" სახე ქართულ კინოში;
2. რამ განაპირობა „კეთილშობილი ყაჩაღის“ სოციო-კულტურული სახის პოზიტიური კონოტაცია „ქართულ-საბჭოურ მითოპოეტურ სამყაროში“, ქართულ კინოში? რატომ არის ეს სახე მიმზიდველი?;
3. რა როლი ითამაშა აღნიშნულ „რომანტიზაციაში“ კლასიკად ქცეულმა ისეთმა ფილმებმა, როგორიცაა „ნათლიმამა“, „ერთხელ ამერიკაში“ და სხვა?;
4. კრიმინალური სამყაროს გმირი - საბჭოური სისტემის (რეალობის) ალტერნატივა, ნაწილი, მსხვერპლი;
5. „თეთრი ბაირაღები”. ლიმონას პერსონაჟის დახასიათება;
6. მურტალო - დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟი;
7. სოციალური გარემოს როლი და მისი გათვალისწინება სამართალში.
8. როგორაა ნაჩვენები ქართულ ფილმებში საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა?
9. კრიმინალური, ნახევრადკრიმინალური, უბნის, „ბირჟის“ და სხვა ტიპის ახალგაზრდული სუბკულტურები ქართულ კინემატოგრაფში.

ფილმების ანოტაციები:

1. გიგა ლორთქიფანიძე. „დათა თუთაშხია“ (საქართველო, 1978) - ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი, რეჟისორები - გიგა ლორთქიფანიძე და გიზო გაბესკირია. გადაღებულია ჭაბუა ამირეჯიბის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, რომელიც შეიქმნა 1973-1975 წლებში. ფილმის მოქმედება ვითარდება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მთავარი გმირი - დათა თუთაშხია, კანონგარეშე ცხოვრების გზას ირჩევს, აბრაგი ხდება და წლების მანძილზე ახერხებს მეფის ჟანდარმერიას დაემალოს. მისი ბიძაშვილი მუშნი ზარანდია სხვა არჩევანს აკეთებს — ის კანონის სამსახურს ამჯობინებს და ჟანდარმერიის ოფიცერი ხდება. ფილმის მოქმედება ამ ორი ადამიანის რთული ურთიერთობის გარშემო ვითარდება;

2. თეიმურაზ ბაბლუანი, „უძინართა მზე“ (საქართველო, 1992) - ფილმში მთავარი სიუჟეტის პარალელურად მთავარი გმირის შვილის, დათოს და მისი საძმოს ისტორია ვითარდება. მეგობრებს ბიზნესის განვითარებისთვის ფულის არც ისე პატიოსნად შოვნა უხდებათ. მათ ასევე ნამდვილ კრიმინალურ სამყაროსთან უწევთ დაპირისპირება. ფილმში ერთ-ერთ საკვანძო თემას შურისძიების საკითხი, მისი მართებულობა წარმოადგენს;

3. გიგა ლორთქიფანიძე. „თეთრი ბაირაღები“ (საქართველო, 1990) - ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი, ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაცია, 3 სერია. სტუდენტ ზაზა ნაკაშიძეს ჩხუბში მონაწილეობისთვის დააპატიმრებენ.

დაზარალებული სიკვდილს ებრძვის საავადმყოფოში. ზაზას უდანაშაულობის დამტკიცების იმედი არა აქვს. ციხის საკანში სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის დამნაშავეები შეყრილან - ქურდი, მკვლელი, სახელმწიფო ქონების გამფლანგველი ... რეჟისორი არ ამართლებს იმათ, ვინც ქურდული ცხოვრების წესით ცხოვრობს, მაგრამ პერსონაჟთა კალეიდოსკოპში ქურდული სამყაროს წარმომადგენლები სხვაზე ღირსეულად გამოიყურებიან ზნეობრივი თვალსაზრისით;

4. ლევან თუთბერიძე, „მოგზაურობა ყარაბახში“ (საქართველო, 2005) - 90-იანი წლები. თბილისი. ახალგაზრდები. ნარკოტიკები. უიმედობა, კრიმინალი, თაობათა კონფლიქტი. მთავარი გმირები, გიო (ლევან დობორჯგინიძე) და გოგლიკო (მიხეილ მესხი) მეგობრის თხოვნით მიემგზავრებიან აზერბაიჯანში, ნარკოტიკების ჩამოსატანად. გზად ყველაფერი აირევა და ისინი აღმოჩნდებიან სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ეპიცენტრში. დაჭრილი გოგლიკო რჩება აზერბაიჯანელებთან, ხოლო გიო სომხების მხარეს აღმოჩნდება;

5. ალეკო ცაბაძე, „ლაქა“ (საქართველო, 1985) - ფილმი 80-იანი წლების ახალგაზრდებზე და მათ პრობლემებზე გვიყვება. ფილმი იმდროინდელი საზოგადოების ზოგადი დიაგნოზია. ახალგაზრდა მუსიკოსი, ქიშო, ააგდებს მონეტას, წააგებს მილიონ სიგარას, რასაც ქუჩური დაპირისპირება მოჰყვება, რომელსაც საბოლოოდ ყველაზე დადებითი პერსონაჟი შეეწირება. ქიშო მის ირგვლივ მყოფი, უარყოფითი სოციუმიდან გამიჯნულია, თუმცა საბოლოოდ ის ექცევა ამ საზოგადოების გავლენის ქვეშ და ფილმის მეორე ნახევარში იწყება მისი პიროვნების რღვევის პროცესი. ფილმს ცენზურის მხრივ პრობლემები შეექმნა, რადგან მასში დაუფარავად იყო ნაჩვენები 80-იანების რეალური პრობლემები;

6. ზაზა ხალვაში, „სოლომონი“ (საქართველო, 2015) - ფილმი მოგვითხრობს ნიჭიერ მუსიკოსზე, რომელიც ცდილობს შემოქმედებით საქართველოს ერთ-ერთ პროვინციულ, შავიზღვისპირა ქალაქში ადგილის დამკვიდრებას. ხელოვანის კონფლიქტი სოციალურ გარემოსთან, მათ შორის კრიმინალურ სამყაროსთან, ტრაგიკულად მთავრდება;

7. ლევან კოღუაშვილი, „ქუჩის დღეები“ (საქართველო, 2010) - ფილმის მთავარი გმირი, 45 წლის თბილისელი ნარკომანი, თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგას. პოლიციელები მისგან მეგობრის შვილის, 16 წლის ბიჭის ჩაშვებას ითხოვენ. თუ იგი დათანხმდება, პოლიციელები მას წამლით და ფულით დაასაჩუქრებენ. თუ უარს ეტყვის, მას 10 წლით გაუშვებენ ციხეში და ამით მისი ცხოვრება პრაქტიკულად დასრულდება;

8. ლევან თუთბერიძე, „მოირა“ (საქართველო, 2015) - მოქმედება საქართველოს ერთ–ერთ ზღვისპირა ქალაქში ვითარდება და ჩვეულებრივ ოჯახზე მოგვითხრობს. დედა საბერძნეთში მომღერლად მუშაობს. მამა კი ეტლსაა მიჯაჭვული. ციხიდან გამოსული უფროსი ძმა, მამუკა ცდილობს ოჯახი სიღარიბისგან დაიხსნას. ის და მისი ძმა, შოთა სახლს ბანკში ჩადებენ და გამოტანილი ფულით თევზსაჭერი კატერის ყიდვას გადაწყვეტენ. თუმცა ფული დააკლდებათ. შოთას ახლობელი თენგო მათ შავ ფულს მიუტანს და ძმები საქმეს დაიწყებენ. თენგო შოთას ადგილობრივ მაფიასთან დააკავშირებს, რომელთაც სოხუმში ტყვეების გადაყვანა სჭირდებათ. პირველი გარიგების შემდეგ შოთა ფულს აიღებს და საქმე წინ წაიწევს. მეორე გადაყვანის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბიჭებმა საქმე მკვლელებთან დაიჭირეს. მამუკა სხვა გამოსავალს ვერ ნახავს და მაფიოზებს პოლიციაში დაასმენს;

9. ლევან ანჯაფარიძე, „ორმაგი სახე“ (საქართველო, 1997) - ნარკოტიკები, ფული, მკვლელობა, ციხე... ცოდვებით დამძიმებული, ნაადრევად დაბერებული გიოს წინაშე მოულოდნელად სულის გადარჩენისკენ მიმავალი გზა იხსნება, – თურმე როგორ სჭირდება მამობრივი სიყვარული და განკურნების რწმენა მის პატარაბიჭს, რომლის არსებობით არასდროს დაინტერესებულა. გიო შვილის ჯანმრთელობისთვის იწყებს ბრძოლას;

10. ლევან ზაქარეიშვილი, „ისინი“ (საქართველო, 1992) - ფილმი მოგვითხრობს, თბილისელი გია ბარბაქაძის ისტორიას, რომლისთვისაც, თავისი თანატოლების მსგავსად, თვითდამკვიდრების სარბიელს კრიმინალური სამყარო წარმოადგენს. ნარკოტიკების შოვნასა და რეალიზაციაში გაბმული, თავად ნარკომანი გია შუააზიის ნარკომაფიის ერთ-ერთ მამამთავრად იქცევა. გიას მეგობარი ნარკოტიკმა შეიწირა და ამის შემდეგ გიას ისედაც არეული ცხოვრება კიდევ უფრო აირია. გია ციხეში ხვდება, იქ კი მკვლეობას ჩაიდენს. ციხიდან დაბრუნებული უკვე 50 წელს მიტანებული გია ხვდება, რომ მას არაფერი აღარ დარჩენია ამ ქვეყანაზე. იგი სრულიად მარტოა, ცარიელი და გაუბედურებული;

11. სიკო და ქეთი დოლიძეები, „კუკარაჩა“ (საქართველო, 1982) - გადაღებულია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით. თბილისის ერთ-ერთი უბნის მილიციის რწმუნებული, მოზარდების რისხვა, მეტსახელად „კუკარაჩა", უბნის ბიჭების თითოეულ ნაბიჯს მკაცრად აკონტროლებს, მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ზნეობაზე ზრუნავს. იგი შავი სამყაროს ავტორიტეტის, რეციდივისტ მურტალოს საყვარელს, ინგას ურჩევს, ბანდიტს ჩამოშორდეს. ინგას ბინაში კუკარაჩა მურტალოს შეიპყრობს, მაგრამ ქალის თხოვნით გაათავისუფლებს. ინგას და კუკარაჩას ერთმანეთი შეუყვარდებათ. გაცოფებული მურტალო კუკარაჩას მოკლავს. სასამართლო პროცესზე ინგა ყოფილ საყვარელს შვიდ ტყვიას დაახლის, მაგრამ შვიდივეს ააცილებს.

თემა II. სიკვდილით დასჯა. უდანაშაულობის პრეზუმცია

სიკვდილის დასჯა არ არსებობს არც საქართველოში და არც ევროპულ ქვეყნებში (ბელორუსიის გამოკლებით). მაგრამ ის ჯერ კიდევ ათეულობით ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის აშშ-ში. თან აშშ-ში ეს საკითხი დინამიკურად ვითარდება, მისდამი დამოკიდებულება დროდადრო იცვლება და არაფრით შეიძლება ჩაითვალოს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად.

გარდა ამისა, ფილმები, რომლებიც ამ თემას ეხება, იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ სასამართლო სისტემის, სისტემების რაობაზე და მათი სრულყოფის გზებზე; სასჯელის რაობაზე და მის თანაზომადობაზე; ადვოკატის, პროკურორის, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიისა და პრეს-მედიას როლზე და გავლენაზე საგამოძიებო და სასამართლო პროცესებზე; რელიგიური, ზოგადად ზნეობრივი და სამართლებრივი საკითხების და მიდგომების დიალექტიკაზე. ასევე, მსგავსი ფილმები იძლევა კარგ საშუალებას სამართლებრივი სისტემების შედარებითი ანალიზისათვის.

„თითოეული ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უდანაშაულოდაა მიჩნეული მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება ღია

სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დაცვისათვის აუცილებელი კანონით გათვალისწინებული ყველა საპროცესო გარანტიის დაცვით“ (წყარო: ადამიანის უფლებათა ლექსიკონი) - რამდენად მუშაობს ეს, სამართლისა და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპი თანამედროვე სამყაროში? საქართველოში? როგორ არის ეს საკითხი ასახული მსოფლიო კინემატოგრაფში? ქართულ კინემატოგრაფში?

ფილმის ანოტაცია:

გერც ფრანკი, იური პოდნიეკსი. „უზენაესი სასამართლო“ (ლატვია, 1984) - 1984 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს სიკვდილმისჯილ ახალგაზრდაზე. ფილმი ფართო დისკუსიის საგანი გახდა საბჭოთა კავშირში და გააქტიურა პოლემიკა სიკვდილის დასჯის მიზანშეწონილობაზე.

ძარცვისას ახალგაზრდა კაცს ორი ადამიანი „შემოაკვდა“ - ჩადენილია ორმაგი მკვლელობა. ის იხდის უმაღლეს ფასს ჩადენილისთვის. ფილმის დასაწყისში სიკვდილმისჯილი (ფილმის მთავარი გმირი) თამაშობს კამერაზე, კეკლუცობს, მაგრამ თანდათანობით, ფილმი გაჯერებს, რომ ის ეზიარება სიყვარულის ქრისტიანულ ღირებულებებს. ჩვენ ვიჯერებთ მის მონანიებას, და ჩნდება კითხვა - რატომ უნდა მოვკლათ ადამიანი, რომელმაც მოინანია, რომელიც შეიცვალა და ადამიანად იქცა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. გჯერათ თუ არა მთავარი გმირის მონანიების?;
2. რა სასჯელს გამოუტანდით თქვენ?;
3. რამდენად მართებულია, რომ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლემ პირადი აღქმით იხელმძღვანელოს. მაგალითად, მაშინ, როდესაც ის რწმუნდება ბრალდებულის გულწრფელ მონანიებაში?;
4. როგორ შეიძლება მოცემული ფილმი გამოყენებული იყოს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ პოზიციის მხარდასაჭერად?;
5. რა როლი ითამაშა ამ ისტორიაში ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ? გამოხატავს თუ არა ნაფიც მსაჯულთა კოლეგია საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოების მეინსტრიმულ აზრს?;
6. რამდენად ექვემდებარება მონანიების ზნეობრივი ფენომენი სამართლებრივ ფორმალიზებას და ინსტიტუციონალიზაციას?;
7. აინტერესებდეს უნდა თუ არა საზოგადოებას, რა ადამიანად მიდის მსჯავრდებული ცხოვრებიდან - მკვლელად თუ ადამიანად, რომელმაც მოინანია და რომელშიც მოხდა ზნეობრივი ტრანსფორმაცია?.

ფილმ „უზენაესი სასამართლოს” მსგავსად, ფართო დისკუსია სიკვდილის დასჯის მიზანშეწონილობაზე საფრანგეთში ჰოსე ჯოვანის (ჟოზეფ დამიანი) 1973-ში გადაღებულმა ფილმმა „ორნი ქალაქში“ გამოიწვია, ალენ დელონის და ჟან გაბენის მონაწილეობით.

ფილმის ანოტაცია:

ხოსე ჯოვანი, ორნი ქალაქში (საფრანგეთი, 1973) – მთავარი გმირი კლავს მაღალჩინოსან პოლიციელს. მას სიკვდილით დასჯას მიუსჯიან. მაგრამ ჩვენი, მაყურებლის სიმპათიები მის მხარეზეა. ჩვენ მეტი ვიცით, ვიდრე გამოძიებამ, ვიდრე დოკუმენტებმა, ვიდრე ექსპერტიზამ, ვიდრე საზოგადოებრივმა აზრმა. ჩვენ გვიადვილდება დამნაშავის გაგება...

საინტერესოა, რომ სცენარის ავტორს და რეჟისორს 22 წლის ასაკში, 1945 წელს, სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი. პრეზიდენტის წყალობით სასჯელი შეუცვალეს 20 წლის პატიმრობით, რომლიდანაც მან 11 წელი მოიხადა. ფილმის გადაღების შემდეგ, 1986 წელს, 1945 წლის პროცესი განახლებული იქნა და რეჟისორი საბოლოოდ იქნა რეაბილიტირებული. ასე რომ, რეჟისორმა კარგად იცის თემა. ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ საფრანგეთში ჩატარდა ბოლო გილიოტინირება, რომელიც სიკვდილით დასჯის ბოლო პრეცენდენტი აღმოჩნდა დასავლეთ ევროპაში.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. რაში მდგომარეობს ალენ დელონის პერსონაჟის დანაშაული?;
2. ინანიებს თუ არა ალენ დელონის პერსონაჟი თავის დანაშაულს?;
3. როგორ იმუშავა მართლმსაჯულების სისტემამ; რაში გამოვლინდა მართლმსაჯულების სისტემის არასრულყოფილება?;
4. ალენ დელონის პერსონაჟის დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები?;
5. როგორ მუშაობს სტიგმატიზაცია მართლმსაჯულების სისტემაში, სამართალში?.

ამავე რიგში შეიძლება განიხილოს ლუკინო ვისკონტის ალბერ კამიუს რომანის ეკრანიზაცია - „უცხო“, მარჩელო მასტროიანით მთავარ როლში.

ფილმის ანოტაცია:

ლუკინო ვისკონტი, „უცხო“ (საფრანგეთი, იტალია, ალჟირი, 1967) – მერსოს ფორმალურად სჯის ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, მაგრამ ფაქტიურად მას სჯის საზოგადოება, თან სჯის არა ჩადენილი დანაშაულის გამო, არაბის მკვლელობისთვის, არამედ იმისათვის, რომ მერსო არ იზიარებს საზოგადოებაში არსებულ მეინსტრიმულ განწყობებს, არ ცხოვრობს არსებული თამაშის წესებით. საზოგადოება არ პატიებს მას დედის გასვენებაში არატრადიციულ ქცევას. მას დედის არსიყვარულის გამო სჯიან...

განსახილველი თემები და საკითხები:

1. რაში მდგომარეობს მერსოს დანაშაული?
2. ინანიებს თუ არა მერსო თავის დანაშაულს?
3. როგორ იმუშავა მართლმსაჯულების სისტემამ?
4. მერსოს დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები;
5. როგორ მუშაობს სტიგმატიზაცია მართლმსაჯულების სისტემაში და სამართალში?

ფილმის ანოტაცია:

სიდნი ლიუმეტი, „12 განრისხებული მამაკაცი“ (აშშ, 1958) – საუკეთესო ფილმი სასამართლოს თემაზე. სიდნი ლუმეტი ამ ჟანრის დამაარსებელი გახდა. 18 წლის ახალგაზრდას მამის მკვლელობაში ადანაშაულებენ. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი: „დამნაშავეა“და მაშინ მას სიკვდილით დასჯა ელის, ან „უდანაშაულოა“ და მაშინ მას პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან ათავისუფლებენ. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა ფილმში ამერიკული საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას წარმოადგენს, ის ამერიკის ერთგვარ მიკროსაზოგადოებას წარმოადგენს. ფილმი იძლევა საშუალებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შუქ-ჩრდილების გაანალიზებისა. ახალგაზრდას მაყურებელი ვერ ხედავს, ამიტომ მის საქმეზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა არგუმენტებსა და განწყობებზე დაყრდნობით. თორმეტიდან თითოეულს შეუძლია და ვალდებულია გადაწყვიტოს ადამიანის ბედი. თანდათანობით მაყურებელი ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მეცამეტე წევრი ხდება. ახლა მთავარია, ჩვენ არ გავხდეთ მკვლელები... ფილმი იმაზეა, თუ რა შეუძლია გააკეთოს თუნდაც ერთმა ადამიანმა, რომელიც გაბედავს და მეინსტრიმული გულგრილობის წინააღმდეგ წავა. ერთ ადამიანს გაუჩნდა ეჭვი, მხოლოდ ეჭვი, მაგრამ როდესაც ლაპარაკი სიკვდილის დასჯაზე მიდის, ეს ეჭვი ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია. ჩვენ არ ვიცით ამ 12 ადამიანის სახელები. საქმე იმაშია, რომ ისინი ჩვენ ვართ. შესაბამისად, თითოეული ჩვენთაგანი პასუხისმგებელია სამართლის აღსრულებაზე, ამისათვის ზოგჯერ მხოლოდ დაეჭვება არის საკმარისი!

განსახილველი თემები და საკითხები:

1. რამდენად მართებულია შეფასება, რომ ფილმი წარმოადგენს ამერიკული სასამართლო სისტემის ყველაზე თამამ კრიტიკას; „12 განრისხებული მამაკაცი” არის ნაფიც მსაჯულთა „ამერიკული სასამართლო სისტემის ყველაზე თამამი კრიტიკა”, თუ ამერიკული სისტემის უპირატესობის დემონსტრაცია?
2. მოიყვანეთ მაგალითები, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უმცირესობას - ერთ ხმასაც კი - რადიკალურად შეუცვლია უმრავლესობის წარმოდგენა სიმართლესა და სამართლიანობაზე;
3. შეიძლება თუ არა იყოს უზრუნველყოფილი ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ნეიტრალურობა და ობიექტურობა, როდესაც არავინაა იდეალური, ყველას ცხოვრების თავისი გამოცდილება აქვს, თავისი სტერეოტიპებით, თავისი აღქმებით და განწყობებით;
4. რა სპეციფიკა შეიძლება ახასიათებდეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საქართველოში?

ფილმის ანოტაცია:

ვერნერ ჰერცოგი, „უფსკრულში“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, 2011) – ფილმი იკვლევს სამმაგ მკვლელობას, რომელიც ტეხასის პატარა ქალაქ კონროში 2001 წელს მოხდა. მაიკლ პერიმ და ჯეისონ ბურკეტმა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედებით, მოკლეს საშუალო ასაკის დიასახლისი, რის შემდეგ მის შვილს და მის მეგობარს გაუსწორდნენ. ბევრი ფილმისგან განსხვავებით, რომლებიც დანაშაულებს ეხება, ფილმში არ იკვლევენ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ფილმი იკვლევს საკითხს, თუ რატომ კლავს ხალხი და რატომ კლავს სახელმწიფო.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. არის თუ არა სიკვდილით დასჯა საზოგადოების ევოლუციის ინდიკატორი?
2. პიროვნება და საზოგადოება. ვინ უნდა იყოს „უკეთესი“?
3. გაანალიზეთ ფრაზა: „კაენის დროებიდან არცერთ სასჯელს არ გაუუმჯობესებია სამყარო“. გააუმჯობესებს თუ არა მას არდასჯა?

ფილმის ანოტაცია:

ფრენკ დარაბონტი, „მწვანე მილი“ (აშშ, 1999) – საშინელ დანაშაულში ეჭვმიტანილი, ჯონ კოფი აღმოჩნდება სიკვდილმისჯილთა ბლოკში. ბლოკის უფროსი პოლ ეჯკომბი რწმუნდება მის უდანაშაულობაში. ის ცდილობს დაეხმაროს სიკვდილმისჯილს, რომელსაც უცნაური მაგიური ძალა გააჩნია და შეუძლია ადამიანების განკურნვა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო, თუ დამტკიცდება, რომ სიკვდილით დასჯილი აღმოჩნდება უდანაშაულო; რას წარმოადგენს მონანიება სახელმწიფოს მხრიდან?

ფილმის ანოტაცია:

ტიმ რობინსი, „მიცვალებული მოდის“ (აშშ, 1995) – ფილმი ეფუძნება რეალურ ისტორიას. ორი მთვრალი და ნარკოტიკებით გაბრუებული ნაძირალა მხეცურად დახოცავს შეყვარებულ წყვილს. ერთ მათგანს სამუდამო პატიმრობას, ხოლო მეორეს სიკვდილს მიუსჯიან, რამდენადაც ამ უკანასკნელს კარგი ადვოკატი არ ჰყავდა. ეს უკანასკნელი, მეთიუ, დახმარებისთვის მონაზონ ჰელენ პრეხანს მიმართავს. ის ამტკიცებს, რომ მკვლელობა არ ჩაუდენია. ჰელენი მას განაჩენის გასაჩივრებაში და შეწყალების თხოვნაში ეხმარება. მეთიუს განაჩენი არ იცვლება. ჰელენი ცდილობს, შეუმსუბუქოს მეთიუს უკანასკნელი დღეები და დაეხმაროს მას ჩადენილის მონანიებაში.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორია დამნაშავეების ბექგრაუნდი?
2. ინანიებს თუ არა მთავარი გმირი თავის დანაშაულს?
3. როგორ კომენტარს გაუკეთებთ მთავარი გმირის ფრაზას: „ადრე მე საერთოდ არ ვიცოდი, რა არის სიყვარული. არავინ მიყვარდა, საკუთარი დედაც კი. სასაცილოა, სწორედ მაშინ უნდა მოვკდე, როდესაც გავიგე, რა არის სიყვარული. მადლობა თქვენ სიყვარულისთვის“.

ფილმის ანოტაცია:

მარკო როკო, „პირველი ხარისხის მკვლელობა“ (აშშ, 1994) – ახალგაზრდა იურისტი სისტემის წინააღმდეგ. ფილმი ადამიანზე, რომელმაც ალკატრასის ციხის კარცერში, არაადამიანურ პირობებში 3 წელი და 2 თვე გაატარა. კარცერის შემდეგ ის კლავს პიროვნებას, რომელთან ერთად გეგმავდა ციხიდან გაქცევას და რომელმაც ის დააბეზღა. ამისათვის მას გაზის საკანი ან სამუდამო პატიმრობა ელის.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. შეუძლია თუ არა სახელმწიფოს უარი თქვას ძალადობაზე? როგორ შეუძლია მას ეფექტიანად დაიცვას სუსტი (მსხვერპლი) ძლიერისაგან (მკვლელისგან)?

ფილმის ანოტაცია:

ტონი გოლდუინი, „განაჩენი“ (აშშ, 2010) – სასამართლო შეცდომა. ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. ფილმის მთავარმა გმირმა ოცი წელი იბრძოლა ძმის დასაცავად. ამისათვის მან იურიდიული განათლებაც მიიღო, რამაც მისცა საშუალება ძმის ადვოკატი ყოფილიყო. მას სისტემასთან დაჯახება მოუწია. დიდი როლი წარმატებაში მისმა საოცარმა ნებამ, შემთხვევითობამ და მეცნიერების განვითარებამ განაპირობა.

განსახილველი თემები და შეკითხვები:

1. როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს სიკვდილით დასჯის ან სამუდამო პატიმრობის მიმართ, როდესაც არსებობს სასამართლო შეცდომის არაერთი პრეცენდენტი?

ფილმის ანოტაცია:

ალან პარკერი. „დევიდ გეილის ცხოვრება“ (დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, 2003) – დევიდ გეილი უნივერსიტეტის პროფესორი და აქტივისტია, ის ცდილობს სიკვდილით დასჯის აკრძალვას. ბედის ირონიით ის თავად აღმოჩნდება სიკვდილმისჯილთა საკანში, განაჩენის აღსრულებამდე რამდენიმე დღით ადრე გეილი ინტერვიუზე თანხმდება.

ფილმის ანოტაცია:

კშიშტოფ კისლევსკი, „მოკლე ფილმი მკვლელობაზე“ (პოლონეთი, 1987) – სოციალიზმის აგონიის დროების რუხ, უსიცოცხლო ქალაქში ჩადენილია არამოტივირებული და სასტიკი მკვლელობა. რეჟისორი სვამს კითხვებს. ამ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ ჩვენ, მაყურებლებმა. ფილმის ერთ-ერთი გმირი ახალგაზრდა ადვოკატია - ის ასულიერებს სისტემას, მაგრამ რამდენად შეუძლია მას რაიმეს შეცვლა. ფილმში ჩვენ ვხედავთ მკვლელობის ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და დამაჯერებელ სცენას კინემატოგრაფიის ისტორიაში.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორია სოციალური გარემოს და დანაშაულის კორელაცია?
2. სად ჩნდება სითბო და ღიმილი ფილმში?
3. ფილმის ნახვის შემდეგ თქვენ იგრძენით თავი - მკვლელად, მსხვერპლად თუ ადვოკატად; გააკეთეთ განმარტებები;
4. ვინ არის ამ ფილმში მსხვერპლი?
5. შეადარეთ ფილმის მთავარი გმირი დოსტოევსკის რასკოლნიკოვს. ხომ არ გვაქვს საქმე „იდეურ დანაშაულთან“?

ფილმის ანოტაცია:

ნაგისა ოსამი, „ჩამოხრჩობის გზით სიკვდილი“ (იაპონია, 1968) – ფილმი 1958 წელს იაპონიაში რეალურად განვითარებულ მოვლენებს ეყრდნობა. ფილმი მოგვითხრობს ახალგაზრდა კორეელის შესახებ, რომელსაც გაუპატიურებისა და მკვლელობის ბრალდებით სიკვდილით დასჯას მიუსჯიან. რეჟისორმა ფილმში ასახა იაპონელთა რასობრივი დისკრიმინაცია ეთნიკური უმცირესობის, კერძოდ კორეელების მიმართ.

ფილმის ანოტაცია:

კლინტ ისტვუდი, „ნამდვილი დანაშაული“ (აშშ, 1999) – სტივ ევერეტი ჟურნალისტია, ის სიკვდილმისჯილი მკვლელის ფრენკ ბიჩუმის საქმეზე მუშაობს. სტივი ეჭვობს, რომ ფრენკი არაა დამნაშავე.

ფილმის ანოტაცია:

ფრიც ლანგი, „საფუძვლიანი ეჭვის მიღმა“ (აშშ, 1956); რიმეიკი - პიტერ ჰაიამსი, „საფუძვლიანი ეჭვის მიღმა“ (აშშ, 2009) – გაზეთების გამომცემელმა, ოსტინ სპენსერმა და მისმა მომავალმა სიძემ, ტომ გარეტმა შეიმუშავეს გენიალური გეგმა იმ სისტემის გამოსავლენად, რომელიც დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე ელექტრო სკამზე აგზავნის ადამიანს მკვლელობის ბრალდებით. ისინი შეიტყობენ ღამის კლუბის მოცეკვავის მკვლელობის შესახებ და ტოვებენ მტკიცებულებებს, რომლებიც ტომის დანაშაულზე მიანიშნებს, ყველაფერი დეტალურადაა დაფიქსირებული და გადაღებული ისე, რომ როდესაც ტომი დამნაშავედ გამოცხადდება, სასამართლოს წარედგინოს მისი უდანაშაულობის უდავო მტკიცებულებები. ტომს სიკვდილით დასჯას მიუსჯიან. მაგრამ ოსტინი ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა, და მასთან ერთად გაქრება ის ფოტოები, რომლებიც ტომის უდანაშაულობას ამტკიცებს. სასჯელის აღსრულებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება...

თემა III. რელიგიის, რელიგიური მორალისა და კანონის, სამართლის ურთიერთობა

რა როლს თამაშობს სამართალში რელიგია, საზოგადოებაში არსებული რელიგიური და რელიგიაზე დამყარებული ზნეობრივი ღირებულებები? რამდენად ექვემდებარებიან ისინი ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ფორმალიზებას? რამდენად გასათვალისწინებელია სამართალში რელიგიური შეხედულებები?

ფილმის ანოტაცია:

ქრისტიანუ მენჯიუ, „გორაკებს მიღმა“ (რუმინეთი, 2012) – ეგზორცისი (სატანის განდევნის რიტუალი), რომელზეც კრისტიანუ მუნჯიუს ფილმი მოგვითხრობს, რუმინეთის ერთ-ერთ მართლმადიდებლურ მონასტერში 2005-ში ჩატარდა. ეგზორცისის რიტუალი ახალგაზრდა გოგონას სიკვდილით დასრულდა. ფილმი მოგვითხრობს ორი მეგობრის, ბავშვთა სახლში გაზრდილი ობოლი გოგონების ისტორიას. გერმანიაში სამუშაოდ გადახვეწილი,

გაუწონასწორებლი, ეჭვიანი, ავტორიტარული, არაშემწყნარებელი ალინა ცდილობს დაიბრუნოს ვოიკიცას მეგობრობა და სიყვარული, რომელმაც სამონასტრო ცხოვრების გზა აირჩია. ალინას ნერვული შეტევა ემართება. საავადმყოფოში მას მკურნალობენ ფიზიკურად, მაგრამ ვერ მკურნალობენ მის სულს. მშვილებლების სახლში, საიდანაც ის თავის დროზე გაიქცა, სხვა გოგონა ცხოვრობს. ალინას მონასტერი შეიფარებს, მაგრამ შეტევა მეორდება...

რეალურ მამა დანიელს 14 წელი მიუსაჯეს. სასჯელი გამოუტანეს ასევე 4 მონაზონს, 5-ან 8 წლამდე.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. რა არის ფილმის მთავარი გზავნილი?
2. როგორ უნდა მოქცეულიყო მონასტრის წინამძღოლი?
3. რა როლს თამაშობს ფილმში სახელმწიფო?
4. რა როლს თამაშობს ფილმში პოლიცია?
5. რა განაჩენს გამოიტანდით თქვენ?

ფილმის ანოტაცია:

სკორ დერიქსონი, „ემილი როუზის 6 დემონი“ (აშშ, 1976) – ეგზორცისის შედეგად დაიღუპა ემილი როუზი. მღვდელს მკვლელობის ბრალდება წარუდგინეს. სასამართლო პროცესზე ის ცდილობს დაამტკიცოს ზებუნებრივი ძალების არსებობა და მათი ჩარევა ადამიანთა ცხოვრებაში. ფილმი ეფუძნება ანთროპოლოგ ფ. გუდმანის წიგნს, რომელიც რეალურ მოვლენებს აღწერს. მთავარი გმირის პროტოტიპი 1952 წელს დაიბადა ბავარიის პატარა ქალაში, მიიღო ტრადიციული კათოლიკური განათლება. საავადმყოფოში ის უცნაური სიმპტომებით მოხდა. მედიცინა უძლური აღმოჩნდა და მშობლებმა ეკლესიას მიმართეს. ეკლესიის აკრძალვის მიუხედავად, 1975 წელს ერთ-ერთი მღვდელი დათანხმდება ჩაატაროს სატანის განდევნის რომანული ტრადიციის რიტუალი.

განსახილველი თემები და შეკითხვები:

1. რამდენად მართებულია რელიგიური, ირაციონალური თემებისა და არგუმენტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში? თუ ადამიანს სჯერა ღმერთის, მაშინ რატომ არ უნდა სჯეროდეს მას სატანის?
2. ის რომ ჩვენ არ გვჯერა რაღაცის, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს რაღაცა არ არსებობს?
3. რა შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, დამადასტურებელ არგუმენტად, როდესაც საქმე მეტაფიზიკურ, რელიგიურ საკითხებს ეხება?

თემა IV. მასმედია, საზოგადოებრივი აზრი და მართლმსაჯულება

რა როლს თამაშობს მართლმსაჯულების განხორციელებაში მასმედია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე? ამ გავლენის პლიუსები და მინუსები. ამ გავლენის სპეციფიკა საქართველოში.

ფილმის ანოტაცია:

კლინტ ისტვუდი, „რიჩარდ ჯოუელის საქმე“ (აშშ, 2019) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ ისტორიაზე. 1996 წელი. ოლიმპიური თამაშების დროს ატლანტაში ხდება აფეთქება. მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა დაცვის წევრის, რიჩარდ ჯუელის პროფესიონალიზმი და ოპერატიული ქმედებები. ის გმირი ხდება. მაგრამ გამოძიების ფედერალური ბიუროსა და შემდგომ მედიას გაუჩნდება ვერსია, რომ თავად მან მოაწყო აფეთქება დიდების მოსაპოვებლად. მისი გარეგნობა და ბიოგრაფია ხელს უწყობს ამ ვერსიის არსებობას. მის ცხოვრებაში ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყება. მედიას აინტერესებს სენსაცია და სკანდალი, გამოძიებას- საქმის დროული დამთავრება. ჯუელის დანაშაული არ მტკიცდება, მაგრამ მისი რეპუტაცია სამუდამოდ განადგურდა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. მასმედიის როლი;
2. რა როლს თამაშობს სტერეოტიპული აზროვნება დანაშაულის აღქმაში?
3. ბულინგის ფენომენი ცივილიზებულ სამყაროში, ბულინგის მეთოდები, გამოვლინებები.

ფილმის ანოტაცია:

ტერენს მალიკი, „სიცარიელეები“ (აშშ, 1973) – ფილმის სიუჟეტს საფუძვლად უდევს 1958 წელს მომხდარი რეალური მოვლენები. 20 წლის ჩარლი სტარკვეზერი კლავს თავისი მეგობარი გოგონას მშობლებს. წყვილი გარბის და იწყებს სისხლიან მოგზაურობას. სულ მალე ისინი ნამდვილი გმირები და ვარსკლავები ხდებიან. გაქცევა მათთვის უკვე თვითმიზანს წარმოადგენს. წყვილი ცდილობს ბონი და კლაიდს დაემსგავსოს, ისინი ირგებენ მედიის მიერ შექმნილ მეამბოხეების, თავგადასავლების მოყვარული ავანტიურისტების როლს. საზოგადოება მათგან ხატებებს ქმნის და ისინი ამ ამპლუას ირგებენ.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. მედიის როლი სამართლის სისტემაში. მედიის გმირები და მედიისს ფანტომები.

ფილმის ანოტაცია

ართურ პენი, „ბონი და კლაიდი“ (აშშ, 1967) – ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული ისტორიაა, სადაც წყვილი ბონი და კლაიდი ძარცვავენ ბანკებს ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში. საზოგადოებრივი აზრი მათ ერთგვარ გმირებად აქცევს.

ფილმის ანოტაცია:

ოლივერ სტოუნი, „მკვლელებად დაბადებულნი“ (აშშ, 1994) – შეყვარებულმა წყვილმა 3 კვირის განმავლობაში მოკლა 48 ადამიანი. ოლივერ სტოუნი იღებს ფილმს - სილის გაწვნას მასმედიაზე. ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე ტელევიზია, როდესაც ეკრანზე ძალადობა ნორმად იქცევა. სტოუნისთვის „მკვლელებად დაბადებულის“ გმირები საზოგადოების ქმნილებებია, საზოგადოების, სადაც ხდება აგრესიის

ესთეტიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით. სტოუნი ვერ ხედავს დიდ განსხვავებას ორ მანიაკსა და იმათ შორის, ვინც მათ ებრძვის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფილმის გმირების ქმედებები კანონგარეშეა, ხოლო მათი გარემოცვის დევიაციები - ლეგალიზებული. ამავე დროს, ერიკ ჰარისი და დილან კლიბოლდი, რომლებმაც 1999 წელს კოლუმბაინის საშუალო სკოლაში მასობრივი მკვლელობა ჩაიდინეს, სწორედ სტოუნის ამ ფილმს ასახელებდნენ საყვარელ ფილმებს შორის!

ფილმის ანოტაცია:

ჯოელ შუმახერი, „ვარდნა“ (აშშ, 1993) – ფილმის მთავარი გმირი ჯიუტად და მიზანმიმართულად მიდის „სახლში“, ამისათვის მას უწევს 90-იანი წლების ამერიკის პრობლემებთან შეჯახება - საზოგადოების გულგრილობასთან, რასიზმთან, ქუჩის ბანდებთან, სოციალურ პარაზიტებთან, არაინტეგრირებულ იმიგრანტებთან, მასკულტურასთან, სოციალურ უსამართლობასთან და სხვა.

ფილმის ანოტაცია:

სიდნი ლუმეტი, „ძაღლური შუადღე“ (აშშ, 1975) – ორი მოყვარული ძარცვავს ბანკს. რეალური ისტორია, რომელიც ნიუ-ორკში 1972 წელს მოხდა. მძარცველებს უწევთ ბანკის 11 მოსამსახურის მძევლად აყვანა. ბანკთან უამრავი პოლიციელი, ჟურნალისტი და მოქალაქე იყრის თავს. თანდათანობით ისტორია ტრაგიკომიკურ გროტესკად იქცევა. ფილმი მოგვითხრობს გარემოებაზე, როდესაც მასმედიას ნებისმიერი ტრაგედიის, ნებისმიერი დრამატული მოვლენის შოუსთვის მასალად გადაქცევა შეუძლია. ფილმის მთავარი გმირი, ლუზერი სანი ცოტა ხნით გმირი ხდება, - პოლიცია ყველაფერს პირდება, მძევლები მის მხარეზე არიან, სენსაციის მოყვარულ ჟურნალისტებს სურთ მასთან ინტერვიუ, ბანკთან შეკრებილი ბრბო მას მიესალმება. საზოგადოება ფილმში გადმოცემულია როგორც ხაფანგი, ხაფანგის მექანიზმებად კი გვევლინებიან პოლიცია და მასმედია.

ფილმის ანოტაცია:

ატომ ეგოიანი, „ეშმაკის კვანძი“ (აშშ, 2013) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. ჟურნალისტ არ სჯერა სამი თინეიჯერის დანაშაულის, რომლებიც, მიუხედავად საქმეში უამრავი თეთრი ლაქებისა, მსჯავრდებულნი არიან სამი პატარა ბიჭუნას მკვლელობისთვის. ბავშვების მკვლელობების გამოიძება დამატებითი სირთულეებით ხასიათდება. აქ დიდ როლს „საზოგადოებრივი აზრი“, „საზოგადოებრივი შეკვეთა“ თამაშობს. მითუმეტეს, როდესაც ეჭვმიტანილები არ არიან იდეალური ამერიკელები... ისინი სატანისტური სექტის წევრები არიან. როგორც ალბერ კამიუს მერსოს შემთხვევაში, სამი თინეიჯერის პიროვნებებისა და, შესაბამისად, დანაშაულის აღქმა საზოგადოების (ნაფიც მსაჯულთა) მიერ ბევრი არაპირდაპირი არგუმენტის საფუძველზე ხდება, მაგალითად, ოკულტიზმით გატაცება, მძიმე როკის და შესაბამისი ატრიბუტიკის სიყვარული...

ფილმის ანოტაცია:

მიკ ჯექსონი, „საბრალდებო დასკვნა - მაკმარტინების სასამართლო" (აშშ, 1995) – ფილმის სიუჟეტი რეალურ მოვლენებს ემყარება და მოგვითხრობს აშშ-ს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და ძვირადღირებულ სასამართლო პროცესზე. 1980-იანი წლების დასაწყისში კალიფორნიაში, კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მფლობელებს, მაკმარტინების ოჯახს ბავშვების შეურაცხყოფასა და სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდნენ. საზოგადოებრივი აზრი და მასმედია მათ წინააღმდეგაა. ბრალდებულების ადვოკატს უწევს გამკლავება დიდ ზეწოლასთან მასმედიის მხრიდან. პროკურატურის საქმე დაიშალა სუსტი მტკიცებულებების ბაზისა და ძირითადი მოწმეების წინააღმდეგობრივი ჩვენებების გამო. ბოლო წვეთი იყო გამჟღავნება სკანდალური კავშირისა პროკურატურის წარმომადგენელ მაკფარლეინსა და ჟურნალისტ ვეინ სატს შორის, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა შესაბამისი მასალა და განაპირობა გამოძიების დაწყება. ამ საქმის გამოძიებამ და სასამართლო განხილვებმა დაახლოებით შვიდი წელი გასტანა. შედეგად, 1990 წელს, მაკმარტინების ოჯახს ყველა ბრალდება მოუხსნეს.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ იქნა დაცული მაკმარტინების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი?
2. რა გავლენა იქონია გამოძიებაზე და სასამართლო პროცესზე მასმედიამ?
3. რა შეცდომები იქნა დაშვებული გამოძიების პროცესში?

თემა V. მართლმსაჯულება და სამართალი ტერორიზმის ეპოქაში. პოლიტიკური მართლმსაჯულება. მართლმსაჯულება ომის პირობებში

როგორ აისახა მართლმსაჯულების კუთხით თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი დილემა - თავისუფლება versus უსაფრთხოება? როგორ მუშაობს მართლმსაჯულება ომის პირობებში, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლის პირობებში? როგორ მუშაობს კანონის უზენაესობა ტერორიზმის პირობებში, 11 სექტემბრისა და შარლ ედოს შემდეგ? რა პრაქტიკასთან და რა დინამიკასთან გვაქვს საქმე ამ მიმართულებით? რას წარმოადგენს „პოლიტიკური მართლმსაჯულება"?

ფილმის ანოტაცია:

კევინ მაკდონალდი, „მავრიტანელი" (დიდი ბრიტანეთი, აშშ, 2020) – ფილმი „მავრიტანელი" მოგვითხრობს ზემოდ აღნიშნული დილემის ერთ-ერთ გამოვლინებაზე - ხანგრძლივ დაკავებაზე ციხის პირობებში სასამართლო განაჩენის გარეშე. მავრიტანელი ულდ-სლახი 1990-იან წლებში რამდენიმე თვეს ატარებს მოჯაჰედებთან ავღანეთში, რაც მისი დაკავების მიზეზი ხდება. 32 წლის ულდ-სლახი ამერიკელებმა 2001 წელს დააპატიმრეს მავრიტანიაში. საბოლოოდ ის გუანტანამოს ციხეში აღმოჩნდება. ეს ციხე სამხედრო ბაზაზე გუანტანამოს ბუხტაში დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომდა აშშ-ს სამხედრო დაზვერვამ 2002 წელს დააარსეს მათთვის, ვინც იყო ეჭვმიტანილი „ალ-ქაიდასთან" კავშირში („ალ-ქაიდამ" თავის თავზე აიღო 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი). გუანტანამოში ასობით ადამიანი იყო მოთავსებული. ციხეში გამოიყენებოდა წამება, რომელიც იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის

მიერ იყო არაფორმალურად სანქცირებული. იზოლაცია, ტემპერატურის მკვეთრი ცვლა, სექსუალური დამცირება, ცემა, მუქარა ნათესავების მიმართ, სიკვდილის დასჯის ინსცენირება. ეს ყველაფერი მოგვიანებით ულდ-სლახიმ აღწერა თავის წიგნში „გუანტანამოს დღიური“, რომელიც მისი ციხეში ყოფნისას გამოვიდა. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულა ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტის შოკიდან, ულდ-სლახის 11 სექტემბრის აქტის ერთ-ერთ ორგანიზატორად თვლის. თან მას წამების ქვეშ აღიარებითი ჩვენებები მიაცემინეს. სლახიმ, ოფიციალური ბრალდების წარდგენის გარეშე ციხეში წლები გაატარა. მისმა ისტორიამ მისცა იმპულსი საზოგადოებრივ კამპანიას გუანტანამოს ციხის დახურვის მოთხოვნით. პრობლემა, რომელზეც ამახვილებს ყურადღებას ფილმი, არის აშშ-ს ძალოვანი სტრუქტურების ქმედებები, რომლებიც კანონიდან გადახვევას ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობით ამართლებენ. ბუნებრივია, ეს არ არის მხოლოდ აშშ-ს პრობლემა, პრაქტიკულად ამ პრობლემის წინაშე მთელი სამყარო დგას, თითოეული ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

განსახილველი თემები და საკითხები:

1.მოიყვანეთ მაგალითები საქართველოში ბოლო წლებში მომხდარი მოვლენებისა, სადაც თავი იჩინა დილემამ - თავისუფლება და ადამიანის ძირითადი უფლებები versus უსაფრთხოება;

2. რამდენად აღქმადია (რეფლექსირებულია) დილემა თავისუფლება versus ეფექტურობა მართლმსაჯულებაში?

3. როგორი პერსპექტივა, დინამიკა გააჩნია ამ დილემას?

ფილმის ანოტაცია:

ჯიმ შერიდანი, „მამის სახელით“ (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, 1993 წლის) – ილფორდის ოთხეულის რეალური ისტორია - ირლანდიელთა ჯგუფს ბრალი დასდეს ტერორისტული აქტის ჩადენაში. უდანაშაულო ადამიანებმა ციხეში, რთულ პირობებში, 20-მდე წელი გაატარა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ იმუშავა მართლმსაჯულების სისტემამ ამ შემთხვევაში.?

ფილმის ანოტაცია:

რობერტ რედფორდი, „კონსპირატორი“ (აშშ, 2010) – ფილმის მთავარი გმირი არის ადვოკატი, რომელსაც აიძულეს „ხალხის მტრის“ დაცვა და რომელიც რწმუნდება, რომ მერი სარეტი, მისი კლიენტი, რომელსაც პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობას აბრალებენ, უდანაშაულოა. ის უბრალოდ არასასურველ დროს არასასურველ ადგილას აღმოჩნდა. აბრაამ ლინკოლნის მკვლელობა ამერიკისთვის ჭეშმარიტ ტრაგედიად იქცა. საზოგადოებისთვის მერი სარეტი საყვარელი პრეზიდენტის მკვლელია. გამოძიება და სასამართლო პროცესი შეიძლება

განხილული იქნას როგორც სამარცხვინო ფურცელი ამერიკისთვის ზოგადად და, კერძოდ, ამერიკული მართლმსაჯულების სისტემისთვის. პოლიტიკურმა მომენტმა და კონიუნქტურამ უკან დაახევინა სამართლიანობას, კონსტიტუციას, ადამიანის უფლებებს. ადვოკატს მიაჩნია, რომ დაცვის უფლება აქვს ნებისმიერს და რომ ეროვნული ტრაგედია არ არის საბაბი შურისძიებისთვის.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. „წინასწარ გამოტანილი განაჩენების“ ფენომენი;

2. გააკეთეთ კომენტარი ფრაზისა: „შენ ორივე შემთხვევაში წააგებ. თუ წააგებ პროცესს,ესე იგი, ცუდი ადვოკატი ხარ, თუ მოიგებ,ესე იგი, დაეხმარე ქვეყნის მტრებს“.

ფილმის ანოტაცია:

ბრიუს ბერესფორდი, „კანონდამრღვევი მორანტი“ (ავსტრალია, 1980) – 1901 წელი. სამხრეთ აფრიკა, ტრანსვაალი. ინგლისელების მიერ დაპყრობილია უფრო ადრინდელი კოლონიზატორების, ბურების მიერ დასახლებული ტერიტორია. ე.წ. ბურების ომში, ინგლისელები ებრძვიან პარტიზანებს. სამი ავსტრალიელი (ავსტრალია ინგლისის მხარეს იბრძოდა) დახვრეტს სამ პარტიზანს და გერმანელ მღვდელს. დატყვევებული პარტიზანების მიმართებით ომის პირობებში მუშაობს დაუწერელი კანონი „ტყვეების არაყვანის“ თაობაზე. ავსტრალიელი სამხედროების საქმეს ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალი იხილავს. ბრიტანეთის მთავრობა გადაწყვეტს ამ ამბიდან სამაგალითო პროცესი მოაწყოს. ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე და იძიებს საკითხის მორალურ მხარეს.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ კორელაციაშია მართლმსაჯულება და მორალი ომის პირობებში?
2. როგორ კორელაციაშია სამხედრო წესდება და სამართალი?
3. როგორ კორელაციაშია სამართალი და პოლიტიკური კონიუნქტურა?

ფილმის ანოტაცია:

უილიამ ფრიდკინი, „ბრძოლის წესები“ (აშშ, 2000) – ნამდვილი ამერიკელი გმირის, პოლკოვნიკი ტერი ჩილდერსის საქმეს სამხედრო ტრიბუნალი იხილავს. მას ბრალდება იემენში 80-მდე მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობა, მათ შორის ქალების, ბავშვებისა და მოხუცების. ამერიკის საელჩოს იემენში შეარაღებული და აგრესიული ბრბო უტევს. პოლკოვნიკის რაზმს დაევალა საელჩოს შენობიდან ამერიკის ელჩის და მისი ოჯახის ევაკუაცია. რაზმს ესვრიან, არის მსხვერპლი. პოლკოვნიკი გასცემს ბრძანებას ცეცხლის გახსნაზე... ძალის გამოყენების დასაბუთებულობაზე და თანაზომადობაზე ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ და კინომაყურებელმა უნდა გამოიტანოს დასკვნები. სახელმწიფო და სამხედრო ჩინოვნიკები ცდილობენ ჩაახშონ სკანდალი და პოლკოვნიკი განტევების ვაცად აქციონ. ისინი არც ფაქტების ფალსიფიკაციას ერიდებიან. ფილმი გადაღებულია 2000 წელს. 11 სექტემბრამდე წელიწადი რჩება...

განსახილველი თემები და საკითხები:

1. ტერორიზმთან ბრძოლა და მისი ასახვა კინემატოგრაფში;
2. სამხედრო წესდების მიხედვით, „სამოქალაქო პირი, რომელიც ისვრის, უკვე არ არის სამოქალაქო პირი“. სამხედრო წესდების კორელაცია კანონმდებლობასთან;
3. „ქვის ომი“ - მშვიდობიანი მოსახლეობა ფანჯრებიდან და სახურავებიდან ესვრის სამხედროებს ქვებს, აგურებს, რამაც შეიძლება სამხედროებს სერიოზული ზიანი მიაყენოს, მაგრამ ქვების მსროლელების მიმართ სროლის გახსნა იკრძალება. თქვენი აზრი;
4. როგორ მოიქცეოდით პოლკოვნიკის ადგილას?
5. კომბატანტების და არაკომბატანტების პრობლემა ასიმეტრიული ომის პირობებში. რეგულარული არმია, რომელიც საბრძოლო მოქმედებებისას მოქმედებს თანამედროვე წესდებების ჩარჩოებში versus პარტიზანები, ტერორისტები, შეიარაღებული და „მსროლელი“ მშვიდობიანი მოსახლეობა და ა.შ.

ფილმის ანოტაცია:

აორონ სორკინი, „ჩიკაგოს შვიდეულის სასამართლო პროცესი“ (აშშ, 2020) – პოლიტიკური მართლმსაჯულების ჟანრი. 1968 წელს ჩიკაგოში ჩატარდა დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელიც ხმაურიანი მანიფესტაციების ფონზე მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე დააპატიმრეს 7 ახალგაზრდა, რომლებსაც ხელისუფლების დამხობის მცდელობაშიდაადანაშაულებენ. ჩატარებულ სასამართლო პროცესს შეიძლება პოლიტიკური ვუწოდოთ. სორკინი მოერიდა ამბოხებული ახალგაზრდების ცალმხრივ მხარდაჭერას. მან, უბრალოდ, გვითხრა ის, რასაც მისი საყვარელი რეჟისორი, სიდნეი ლიუმეტი, თითქმის ყველა ფილმში იმეორებდა: განსხვავებული აზრი ყოველთვის ძალაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა განსხვავებული აზრი თანამოაზრეთა შორის იბადება. ეს აზრი თანამოაზრეთა ბანაკს მხოლოდ და მხოლოდ აძლიერებს. განსხვავებული აზრი აძლიერებს ქვეყანასაც. ფილმი, რომელიც არსებითად ბაიდენის მხარდასაჭერად გადაიღეს, კაპიტოლიუმის შტურმის შემდეგ სრულიად განსხვავებულად შეიძლება აღიქვან... და, სხვათა შორის, პირველ რიგში, ტრამპის მომხრეებმა - თუკი მათი ლიდერი, იმხანად ჯერ კიდევ შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, რატომ უნდა დაუშვან გაყალბების დაკანონება და არ მიმართონ ძალას? ამ მხრივ, „ჩიკაგოს შვიდეულის სასამართლო პროცესი”, გარკვეული თვალსაზრისით, პარადოქსია ამერიკული კინოს ისტორიაში. აარონ სორკინის ფილმს 6 იანვრის ამბებმა ნამდვილად გაუფუჭეს საქმე. სურათი, რომელიც ამერიკული „ოსკარის” ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა, ახლა შეიძლება სხვანაირად გაიგონ, რადგან „ჩიკაგოს შვიდეულის სასამართლო პროცესმა”, შესაძლებელია, ლიბერალური ჰოლივუდისთვის არცთუ ისე სასიამოვნო ასოციაციები აღძრას.

თემა VI. ადვოკატი, პროკურორი და მართლმსაჯულების სისტემა

რა როლს თამაშობენ მართლმსაჯულების სისტემაში და მის ეფექტიან და სამართლიან განხორციელებაში ადვოკატისა და პროკურორის ფიგურები. აღნიშნული პროფესიის სირთულეები, სპეციფიკა, შუქ-ჩრდილები, მორალური დილემები, პროფესიონალიზმის და პატიოსნების დიქოტომია?

ფილმის ანოტაცია:

ნორმან ჯუისონი, „მართლმსაჯულება ყველასთვის“ (აშშ, 1979) – ადვოკატი-იდეალისტი დარწმუნებულია რომ აბსოლუტურად ნებისმიერი მოქალაქე იმსახურებს სამართლებრივ მოპყრობას და შესაბამის დაცვას. ფილმი მოგვითხრობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი მართლმსაჯულების სისტემის შუქ-ჩრდილებზე, მის არასრულყოფილებაზე. ცენტრალური თემა - პროფესიონალიზმის და პატიოსნების დიქოტომია.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. პროფესიონალიზმი ადვოკატისგან ცალსახად მოითხოვს საქმის მოგებას. თუ მართლმსაჯულების დამცველისგან მთავარია იმის გარკვევა, ვინ არის დამნაშავე და ვინ უდანაშაულო;
2. რამდენად გამართლებულია ადვოკატის ფიცის დარღვევა და უარის თქმა პიროვნების დაცვაზე, რომლის დანაშაულში დარწმუნებული ხარ?
3. რამდენად გამართლებულია, როდესაც ადვოკატი თვითონ ააშკარავებს თავის კლიენტს?

ფილმის ანოტაცია:

გრეგორი ხობლიტი, „გარდატეხა“ (აშშ, 2007) – ფილმი არის ერთგვარი „რეაბილიტაცია“ პროკურორის პროფესიისა, რომელსაც აშკარად ჩრდილავენ პერსონაჟი-ადვოკატები. ამ მხრივ, ფილმი არღვევს სტერეოტიპებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონი უძლურია. ბევრი რამ დამოკიდებულია შემთხვევაზე, გარდატეხაზე სასამართლო პროცესზე, რომელიც შეიძლება არ შედგეს. ეს გარდატეხა დამოკიდებულია პიროვნების შესაძლებლობაზე, რომელსაც შეუძლია გაბატონებული წარმოდგენების წინააღმდეგ წასვლა.

ფილმის ანოტაცია:

ფრედ ფურმანი, „ლინკოლნი ადვოკატისთვის“ (აშშ, 2011) – ტიპური ადვოკატი, სისტემის პროდუქტი, რომლისთვის სულერთია ვის დაიცავს, მთავარია, რომ კარგად იხდიდნენ. ამავე დროს, ის პროფესიონალია. მას უწევს ცნობილი პლეიბოის დაცვა, რომელსაც ახალგაზრდა გოგონაზე თავდასხმასა და გაუპატიურებაში ადანაშაულებენ. ადვოკატი ხვდება, რომ მისი კლიენტი დამნაშავეა...

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც დარწმუნდება კლიენტის დანაშაულში?
2. ადვოკატის მიზანია არ დაუშვას უდანაშაულოს დასჯა; შეამსუბუქოს სასჯელი; სასჯელი ადექვატური გახადოს; დაიცვას კლიენტი ნებისმიერ ფასად, თუნდაც, როდესაც ის დამნაშავეა; რამდენად მორალურია, როდესაც კარგი ადვოკატი ახერხებს დამნაშავის გამართლებას?

ფილმის ანოტაცია:

სიდნი ლუმეტი, „ვერდიქტი“ (აშშ, 1982) – ისევ ერთი ცალკეული პიროვნების, პროფესიონალის ბრძოლა სამართლიანობისთვის. ადვოკატი მსხვილი სამედიცინო კორპორაციის წინააღმდეგ, რომელიც მის და მისი კლიენტის მოსყიდვას ცდილობს.

ფილმის ანოტაცია:

გერი ფლედერი, „ვერდიქტი ფულის სანაცვლოდ“ (აშშ, 2003) – სელესტა ვუდს შეაქვს სარჩელი იარაღის მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ. სწორედ ამ კომპანიის წარმოებული იარაღიდან ცხოვრებაზე გაბრაზებულმა ყოფილმა ბროკერმა ნიუ-ორლეანში დაცხრილა 11 ადამიანი და მძიმედ დაჭრა კიდევ ხუთი. სელესტა ვუდი ერთ-ერთი დაღუპულის ქვრივია. მის ინტერესებს იცავს ცნობილი ადვოკატი, რომელიც ეწინააღმდეგება იარაღის თავისუფალ გაყიდვას. კომპანია ქირაობს ნაფიც მსაჯულებზე ზეწოლის სპეციალისტს.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. რამდენად შესაძლებელია ნაფიც მსაჯულების მანიპულირება?

თემა VII. ლინჩის სასამართლო. შურისძიება და კანონი

როდესაც კანონი დუმს, როდესაც კანონი უძლურია, როდესაც ადამიანი ვერ პოულობს სამართალს, - რამდენად ზნეობრივად მისაღები და გამართლებულია ამ დროს პიროვნების მიერ კანონიერების დაცვის საკუთარ ხელში აღება? ვის მხარეზეა მსგავს შემთხვევებში საზოგადოებრივი აზრი? ვის მხარეზე „უნდა იყოს“ მსგავს შემთხვევებში საზოგადოებრივი აზრი? რამდენად ითვალისწინებს სამართალი „სამართლიანი შურისძიების“ ფენომენს?

ფილმის ანოტაცია:

ჯოელ შუმახერი, „მკვლელობის დრო“ (აშშ, 1996) – აფროამერიკელიმამაკაცი შურს იძიებს ორ ნაძირალა-რასისტზე, რომლებმაც მისი 10 წლის ქალიშვილი გაუპატიურა, სცემა და ჩამოხრჩობა სცადა. ის ცხრილავს მათ სასამართლოს შენობაში. მძიმედ დაჭრილია პოლიციელიც. მას სიკვდილით დასჯა ემუქრება. მას ახალგაზრდა პერსპექტიული ადვოკატი იცავს. ეს ამბავი სამხრეთის შტატში მოხდება, რაც სასამართლო პროცესს კიდევ უფრო ართულებს.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. გამართლებულია თუ არა პირადი შურისძიება განსაკუთრებულ შემთხვევებში?
2. ამართლებს თუ არა რეჟისორი მამის პერსონაჟის საქციელს?
3. ერთ მხარეს - გაუპატიურება და მკვლელობის მცდელობა, მეორე მხარეს - ორმაგი მკვლელობა - ვის მხარეზე ვართ ჩვენ?

ფილმის ანოტაცია:

სტანისლავ გოვორუხინი, „ვოროშილოვის მსროლელი (რუსეთი, 1999) – მოკრძალებული პენსიონერის შვილიშვილს, კატიას გააუპატიურებს ე.წ. „ოქროს ახალგაზრდობის“

წარმომადგენელი სამი ახალგაზრდა. მათ აპატიმრებენ, მაგრამ ერთ-ერთის მამა მაღალჩინოსანი პოლიციელია და ისინი თავისუფლდებიან. პენსიონერი გადაწყვეტს თავისი ძალებით აღადგინოს სამართლიანობა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. შეიძლება თუ არა მკვლელი იყოს კარგი ადამიანი?
2. გამართლებულია თუ არა ბოროტების დასჯა მოქალაქის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო უძლური ან უმოქმედოა?

ფილმის ანოტაცია:

ვალერი გურიანოვი, „Средь бела дня» (სსრკ, 1982) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე და იხილავს შურისძიების და ლინჩის წესის პრობლემატიკას, მის მართებულობას უმოქმედო სამართლებრივი სისტემის პირობებში.

პიკნიკზე კამპანიას, რომელშიც ქალები და ბავშვებიც არიან, თავს ესხმის ხულიგანთა ჯგუფი. თავდაცვის მიზნით, კამპანიის ერთერთი წევრი ჯოხს ჩაარტყამს თავდამსხმელს, დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდება.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. აქვს თუ არა პატიოსან მოქალაქეს უფლება დაიცვას თავისი და თავისი ოჯახის ღირსება და უსაფრთხოება?
2. სად გადის ზღვარი საკუთარი თავის და ოჯახის დაცვისა და გადაჭარბებული თავდაცვის ზომებს შორის?
3. ვინ არის რეალური დამნაშავე ფილმში აღწერილ მოვლენებში - ოჯახის უფროსი, რომელიც ოჯახს იცავს? არასრულწლოვანი ხულიგნები? მათი მშობლები? მშიშარა მეგობრები, რომლებიც გაურბიან პასუხისმგებლობას? მოსამართლე, რომელიც ემოციების ტყვეობაში?

თემა VIII. იშვიათი და საინტერესო, სადისკუსიო კეისები

დონორობის, ტრანსპლანტაციის თემა. ბავშვის უფლებების სპეციფიკა. ევთანაზია. არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები. მოწყვლადი ჯგუფები და სამართალი. რასობრივი და სოციალური დაძაბულობა, როგორც კრიმინალის ნოყიერი ნიადაგი. კანონი და კულტურების შეჯახების თემა. ბულინგის პრობლემატიკა.

ფილმის ანოტაცია:

ნიკ კასავეტესი, „ჩემი მფარველი ანგელოზი“ (აშშ, 2009) – 11 წლის ბავშვს საჩივარი შეაქვს მშობლებზე, როდესაც გაიგებს, რომ ის ხელოვნური ჩასახვით გააჩინეს იმისათვის, რომ თავის ორგანოების გადანერგვით დაეხმაროს ლეიკემიით დაავადებულ დას. დონორობის,

ტრანსპლანტაციის თემა - თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო თემაა. ის აერთიანებს იურიდიულ, ეთიკურ, ბიოლოგიურ, ესთეტიკურ და სხვა პრობლემებს

განსახილველი თემები და საკითხები:

1. როგორ ამართლებს მიზნის მიღწევას ის საშუალება, რომელსაც მიმართავენ ავადმყოფი ბავშვის მშობლები?
2. აქვს თუ არა ბავშვს უფლება განაგოს თავისი ცხოვრება?
3. რამდენად გამართლებულია ევთანაზია?
4. ევთანაზიის სამართლებრივი მხარე. რამდენად კანონიერია ამგვარი პრაქტიკა?
5. რუსეთის კანონმდებლობაში არსებობს გარდაცვლილის ნათესავების პრეზუმფცია ორგანოების გადანერგვაზე. თუ ავადმყოფის ნათესავები თავის დროზე არ განაცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან ტრანსპლანტაციაზე გარდაცვალების შემთხვევაში, მაშინ ითვლება, რომ ისინი თანახმა არიან ორგანოთა დონორობაზე. გააკეთეთ კომენტარი.

ფილმის ანოტაცია:

ალეხანდრო ამენაბარი, „შინაგანი ზღვა“ (ესპანეთი, 1972) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. 28 წლის განმავლობაში სრულიად პარალიზებულ ადამიანს სურს ნებაყოფლობით წავიდეს ცხოვრებიდან, ამისათვის მას უწევს სისტემასთან ბრძოლა. ევთანაზიის მომხრეები თავის დროზე იყვნენ პლატონი, სენეკა, ფრენსის ბეკონი, მონტენი. თომას მორმა აღწერა ევთანაზიის მექანიზმი „უტოპიაში“. ევთანაზიით დაასრულა ცხოვრება ზიგმუნდ ფროიდმა (ონკოლოგია). ევთანაზია დაშვებულია ჰოლანდიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში. დისკუსია ამ თემაზე აქტიურად მიმდინარეობს სხვა ქვეყნებშიც. ფილმის პრემიერიდან 7 წლის შემდეგ ესპანეთში ჩატარდა პირველი ოფიციალური ევთანაზია.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. სიკვდილი არის უფლება თუ მოვალეობა?
2. ევთანაზიის საკითხი, როდესაც ადამიანს არ აქვს ფიზიკური საშუალება მოიკლას თავი.

ფილმის ანოტაცია:

ბარი ლევინსონი, „შენ არ იცნობ ჯეკს“ (აშშ, 2010) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. ის მოგვითხრობს ისტორიას ექიმზე, რომელიც მხარს უჭერს ევთანაზიის იდეას და თავის განუკურნავ პაციენტებს ეხმარება სიკვდილში. მას ჩამოათვეს საექიმო ლიცენზია და 8 წელი მიუსაჯეს.

ფილმის ანოტაცია:

პიტერ ჯექსონი, „ზეციური ქმნილებანი“ (ახალი ზელანდია, გერმანია, 1994) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. 1954 წელს ახალ ზელანდიაში 15 წლის გოგონამ თავისი მეგობრის დახმარებით მოკლა საკუთარი დედა. ასაკის გამო ისინი გადაურჩნენ სიკვდილით

დასჯას, მოიხადეს სასჯელი და იყვნენ ამნისტირებულნი. რეჟისორი ცდილობს ჩაწვდეს ამ დანაშაულის მოტივებში, მიზეზებში.

ფილმის ანოტაცია:

ჯონატან დემე, ფილადელფია (აშშ, 1993) – ფილმი დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე. წარმატებული იურისტი გაანთავისუფლეს სამსახურიდან. მიზეზი - არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია და შიდსით დაავადება. მას შეაქვს სარჩელი ფირმის წინააღმდეგ.

ფილმის ანოტაცია:

მატიე კასოვიტსი, „სიძულვილი“ (საფრანგეთი, 1995) – ფილმი, რომელიც 1995-შია გადაღებული, დღეს საოცრად აქტუალურია. ე.წ. მე-13 კვარტალი. ერთი დღე სამი სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდის ცხოვრებიდან - რასობრივი და სოციალური დაძაბულობის ფონზე. ფილმის მთავარი თემა - სიძულვილი წარმოშობს სიძულვილს.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. ვინ არის დამნაშავე მომხდარ ტრაგედიაში?
2. როგორ არის გადმოცემული ძალოვანი უწყებების მუშაობა?
3. როგორ არის გადმოცემული მასმედიის მუშაობა?
4. ფილმის ფინალური ეპიზოდის განმარტება.

ფილმის ანოტაცია:

თეიმურაზ ბაბლუანი, „მემკვიდრეობა“ (საქართველო, საქართველო, საფრანგეთი, 2006) – ფილმი მოგვითხრობს ფრანგი ახალგაზრდების თვალებით დანახულ სისხლის აღების წესზე საქართველოში. რა არის მემკვიდრეობა? ნახევრადდანგრეული სახლი საქართველოში? აღზრდა? ადათ-წესი? რა შედეგი შეუძლება გამოიწვიოს უბრალო ცნობისმოყვარეობამ, თუნდაც თანადგომამ, როდესაც სახეზეა განსხვავებული ღირებულებითი სისტემები, განსხვავებული ტრადიციები და მათი არ ცოდნა.

განსახილველი თემები და საკითხები:

1. ადათ-წესის და კანონის ურთიერთობა;
2. რამ გამოიწვია ფილმში გადმოცემული ისტორიის ტრაგიკული ფინალი პირველ რიგში? მეორე რიგში?
3. გაანალიზეთ ადგილობრივი პოლიციის ქმედებები.

ფილმის ანოტაცია:

კახა კიკაბიძე, „ტბა“ (საქართველო, 1998) – მას შემდეგ, რაც მთავარი გმირის, ზურას მამას კლავენ, დედა და შვილი სოფლიდან ქალაქში მიდიან. მამის ძალადობრივი სიკვდილი ზურას ფსიქიკას სამუდამოდ შეარყევს. საკუთარი თავის განმტკიცების მიზნით, ახალ თანაკლასელებს იგი თავის ნებაზე ატარებს და სკოლის ლიდერი ხდება. მაგრამ საკუთარ თავთან დარჩენილი,

ეული და მარტოსულია. ზურა სხვებთან ნიღბის ტარებას დიდხანს ვერ შეძლებს და საბოლოოდ, თანაკლასელები მას ზურგს აქცევენ. ის თავად ხდება ბულინგის მსხვერპლი.

დანართი

ფილმების ჩამონათვალი „კინოსა და სამართლის" ინტერდისციპლინური დარგის სწავლებისთვის

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ეყრდნობა აშშ-ს ადოკატთა ასოციაციის შეფასებას. ჩამონათვალისა და აღწერილობების მომზადებისას დავეყრდენით, როგორც ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას[32], ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომ სანდო წყაროებს:

1. **„ნუ მოკლავ ჯაფარას" (1962)**[33] - ჰარპერ ლის ნაწარმოების ეკრანიზაცია, რომელშიც მოთხრობილია დიდი დეპრესიის დროს ალაბამას შტატის პატარა ქალაქში უსამართლოდ დაპატიმრებული შავკანიანი მოქალაქის ადგილობრივი იურისტის, ატიკუს ფინჩის მიერ დაცვის ისტორია.

2. **„12 განრისხებული მამაკაცი" (1957)**[34] - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფილმი, რომელსაც საფუძვლად რეჯინალდ როუსის პიესა დაედო საფუძვლად.

3. **„ჩემი ბიძაშვილი ბილი" (1992)**[35] - ამერიკელ ადვოკატთა ასოციაციის შეფასებით, ფილმში საუკეთესოდ არის წარმოჩენილი სისხლის სამართლებრივი პროცედურები, შესაბამისად იკავებს განსაკუთრებულ ადგილს კინოში სამართალწარმოების სიღრმისეულად ჩვენების გამო.

4. **„მკვლელობის ანატომია" (1959)**[36] - როგორც ასოციაცია წერს, ფილმს საფუძვლად დაედო ნამდვილი სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ამბავი, რომელიც მიჩიგანის უზეაესი სასამართლოს მოსამართლემ მოთხრობად აქცია.

5. **„მემკვიდრეობითი ქარი" (1960)**[37] - სტენლი კრამერის 1955 წლის ფილმი ჯერემი ლოურენსის და რობერტ ე. ლის პიესის მიხედვით არის გადაღებული. თავად პიესას კი ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასამართლო პროცესი დაედო საფუძვლად, სადაც განიხილებოდა პატარა ქალაქ ჰილსბოროს სკოლაში დარვინიზმის სწავლების მიზანშეწონილობა. ასოციაციის შეფასებაში აღნიშნულია, რომ ფილმის სცენარის დიდი ნაწილი პრაქტიკულად სასამართლო სხდომების ჩანაწერებს იმეორებს.

6. **„ბრალდების მოწმე" (1957)**[38] - ბილი უალიდერის დრამა აგატა კრისტის რომანს ეფუძნება.

7. Breaker Morant (1980)[39] - ავსტრალიური საომარი დრამაა, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის უდანაშაულო მოქალაქეების ხოცვაში დადანაშაულებული ოფიცრების სასამართლო პროცესს ეხება.

8. „ფილადელფია" (1993)[40] - რეჟისორ ჯონათან დემის სამართლებრივი დრამაა, რომელმაც ჰოლივუდში ერთ-ერთმა პირველმა ღიად წარმოაჩინა ჰომოფობიასთან, აივ/შიდსთან, სტიგმასთან დაკავშირებული საკითხები.

9. „ერინ ბროკოვიჩი" (2000)[41] - სტივერ სოდერბერგის ამერიკული სამართლებრივი ბიოგრაფიული დრამაა, რომელიც ეფუძნება მარტოხელა დედის ერინ ბროკოვიჩის მსხვილი კორპორაციის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას.

10. „ვერდიქტი" (1982)[42] - სიდნი ლუმეტის სამართლებრივი კინოდრამა ბარი რიდის ამავე სახელწოდების ნაწარმოებს ეფუძნება. ფილმი ალკოჰოლიზმით შეპყრობილი ადვოკატის მცდელობაზეა, კარიერა სასურველი მიმართულებით წარმართოს.

11. „უდანაშაულობის პრეზუმფცია" (1990)[43] - რეჟისორი ალან პაკულას ამერიკული სამართლებრივი თრილერია, სადაც საოლქო პროკურორი, რასტი სებიჩი კოლეგის გაუპატიურებასა და მკვლელობას იძიებს.

12. „ნიურბერგის პროცესი" (1961)[44] - სტენლი კრამერის ისტორიული დრამაა, რომელიც გერმანიის ნაცისტური რეჟიმის სამსახურში ჩამდგარი მოსამართლეებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირების გასამართლების პროცესს ეხება.

13. „ყველა დროის ადამიანი" (1966)[45] - რეჟისორ ფრედ ცინემანის ბიოგრაფიული დრამა ჰენრი VIII-სა და ტიუდორების ხანის მოსამართლის სერ თომას მორის დაძაბულ ურთიერთობას ეხება.

14. „რამდენიმე კარგი ბიჭი" (1992)[46] - რეჟისორ რობ რეინერის ამერიკული სამართლებრივი დრამა ამერიკელი სამხედრო ქვეითის რიტუალური მკვლელობის საქმეს ეხება, დანაშაულში მხილებულები არიან მოკლულის თანამებრძოლები.

15. „ჩიკაგო" (2002)[47] - ამერიკული ფილმი შავი იუმორითა და კრიმინალური ისტორიებით ჯაზის ოქროს ხანის დროინდელი ჩიკაგოს სკანდალებზე, დანაშაულებსა და კორუფციაზე. ფილმს საფუძვლად უდევს 1975 წლის ამავე სახელმწოდების თეატრალური მიუზიკლი.

16. „კრამერი კრამერის წინააღმდეგ" (1979)[48] - რობერტ ბენტონის სცენარითა და რეჟისურით გადაღებული სამართლებრივი დრამაა, რომელიც ეხება სოციალურად მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: გენდერული როლები, განქორწინება, მარტოხელა მშობლობა, ბალანსი სამსახურსა და პირად დროს შორის, ქალთა უფლებები, მამობის უფლება.

17. The Paper Chase (1973)[49] - ამერიკული კომედიური დრამაა. ამბავი ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პირველკურსელს ეხება, რომელიც ცდილობს საქმიანი

ურთიერთობა ააწყოს ლექტორთან, პარალელურად კი მის ქალიშვილთან რომანტიკულ ურთიერთობას იწყებს.

18. „ბედის შემობრუნება" (1990)[50] - რეჟისორ ბარბე შროდერის სამართლებრივი დრამა სამართლის პროფესორის, ალან დერშოვიცის წიგნს ეფუძნება. დერშოვიცი იცავდა ევროპელი მაღალი წრის მამაკაცს, რომელსაც ბრალი დასდეს მეუღლისთვის დიდი დოზით ინსულინის მიცემასა და შესაბამისად, მკვლელობის მცდელობაში.

19. „იძულება" (1959)[51] - რიჩარდ ფრეიშერის კრიმინალური დრამა ბიჭის მკვლელობის საქმეს ეხება, რომელიც ეჭვმიტანილების ადვოკატის წყალობით, მათი სიკვდილის დასჯით არ სრულდება.

20. „სამართალი ყველასთვის" (1979)[52] - რეჟისორ ნორმან ჯუისონი დრამაა, რომელშიც ბალტიმორელი ადვოკატი, პირადი არაკეთილგანწყობის მიუხედავად, იძულებულია დაიცვას სასამართლოში პროცესში განსასჯელის სკამზე მჯდარი ადამიანი.

21. „სახელითა მამისათა" (1993)[53] - ჯიმ შერიდანის ბიოგრაფიული დრამა ირლანდიელ მამა-შვილზეა, რომელთაც შეცდომით დასდეს ბრალი ლონდონში ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ მოწყობილი ტერაქტის ორგანიზებაში. რამდენიმეწლიანი პატიმრობის შემდეგ ახალგაზრდა ადვოკატი იწყებს მათი საქმის შესწავლას და სამართაწარმოებაში ჩართული ინსტიტუტების არაერთ შეცდომას და მიკერძოებულ გამოძიებას გამოავლენს.

22. „სამოქალაქო აქტი" (1998)[54] - რეჟისორ სტივენ ზაილიანის ფილმი მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ვუბორნში ეკოლოგიური კატასტროფის გამომწვევი მსხვილი კორპორაციების წინააღმდეგ წარმოებულ სამართლებრივ დავაზეა. დავაში ჩართულ ადვოკატს საკუთარი ქონების, რეპუტაციისა და კარიერის გარისკვა უწევს შემლებულ მოპასუხე მხარესთან დაპირისპირების დროს.

23. „ახალგაზრდა მისტერ ლინკოლნი"[55] - 1939 წელს ჯონ ფორდის მიერ გადაღებული ბიოგრაფიული დრამაა ამერიკის ამერიკის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის ცხოვრების ადრეულ წლებზე, როცა მომავალი პრეზიდენტი საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა.

24. „ამისტადი" (1997)[56] - სტივენ სპილბერგის ისტორიული დრამა ეხება აფრიკაში დატყვევებული მონების მიერ მონათმოვაჭრეთა გემის შეპყრობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს - მათ აშშ-ში გამგზავრებას, დაპატიმრებას მკვლელობის ბრალდებით.

25. „სასწაული 34-ე ქუჩაზე" (1947)[57] - ჰოლოვიდური საშობაო კომედიური დრამაა, რომელიც მოგვითხრობს მადლიერების დღიდან შობამდე განვითარებულ მოვლენებს ნიუ-იორკის ერთ-ერთ მაღაზიაში.

თანამედროვე აქტუალური თემატიკა და სოციალური გამოწვევების კონტექსტი

ფილმები ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე

1. **On the Basis of Sex - „გენდერული თანასწორობა"**[58] - მიმი ლედერის 2018 წლის ბიოგრაფიული ფილმი ეძღვნება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, რუთ გინზბურგის კარიერის ადრეულ პერიოდს. ფილმი მოგვითხრობს რუთისა და მისი მეუღლის, მარტის გახმაურებულ დავას ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ დავამ გადატრიალება მოახდინა აშშ-ში გენდერული უთანასწორობის შესაცვლელად, რუთ გინსბურგი კი ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ აქცია;

2. **Suffragette - „სუფრაჟისტები"**[59] - რეჟისორ სარა გავრონის ისტორიულ მოვლენებზე დაფუძნებული 2015 წლის ფილმია. ფილმში მოთხრობილია 1912 წელს ქალი აქტივისტების მიერ დაწყებული ბრძოლა შრომის უფლებების გაუმჯობესების მოთხოვნით, რომელიც მოგვიანებით სხვა სოციალურ და პოლიტიკურ უფლებების მოთხოვნებში გადაიზარდა. სუფრაჟისტები დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, როგორც დამსაქმებლის, ისე ხელისუფლების მხრიდან: ბევრ მათგანს ფიზიკურად და მორალურად შეურაცხყოფდნენ, ზოგიერთი კი ამ ბრძოლამ შეიწირა.

3. **Hidden Figures - „დამალული ფიგურები"**[60] - ტედ მელფის ბიოგრაფიული ფილმი NASA-ში გასული საუკუნის 60-იან წლებში მომუშავე აფროამერიკელი მეცნიერი ქალების ღვაწლს ააშკარავებს. მათემატიკოს ქალებს, მიუხედავად NASA-ში მუშაობისა, გენდერული სტერეოტიპებთან და სეგრეგაციასთან ბრძოლა ერთდოულად უხდებოდათ. მათმა გამოთვლებმა ამერიკული კოსმოსური სააგენტოს პროექტის წარმატება მოიტანა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ამერიკის ბრძოლაში საბჭოთა კავშირთან, კოსმოსის ათვისებაში მეტად წარმატებული ყოფილიყო.

4. **Made in Dagenham - „დამზადებულია დაგენჰამში"**[61] - ნაიჯელ კოულისა და BBC-ის ერთობლივი 2010 წლის ნამუშევარი 1968 წელს ფორდის ქარხანაში დასაქმებული ქალი მუშების გაფიცვას ასახავს, რომელმაც საფუძველი დაუდო 1970 წელს თანაბარი ანაზღაურების შესახებ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

5. **Battle of the Sexes - „სქესთა ომი"**[62] - 2017 წელს გადაღებული ბიოგრაფიული დრამა სპორტში, კერძოდ, ჩოგბურთში სქესთა შორის უთანასწორობის დაძლევას ეძღვნება. 1973 წელს, უიმბლდონის ჩემპიონ, ბობი რიქსისა და 29 წლის ჩოგბურთელის ბილი ჯინ კინგის დაპირისპირებამ ათეულობით მილიონი მაყურებლის ყურადღება მიიპყრო. ბილის შეუპოვრობამ გააქარწყლა პატრიარქალური სტერეოტიპი სპორტში ქალთა წარუმატებლობის შესახებ.

6. **Iron Jawed Angels - „ანგელოზები რკინის კბილებით"**[63] - რეჟისორ კატია ფონ გარნეს ისტორიული დრამა ამერიკაში ქალთათვის საარჩევნო ხმის უფლების მოთხოვნის ბრძოლას ეხება. ამერიკელმა სუფრაჟისტებმა თეთრი სახლის წინ გამოფინეს პლაკატი "ბატონო პრეზიდენტო, რამდენ ხანი უნდა ელოდონ ქალები თავისუფლებას?", რის შემდეგაც იწყება მათი

შერისხვის, დაძაბული ბრძოლის ქრონიკა. საბოლოოდ, აშშ-მ ფედერალურ დონეზე ქალთა საარჩევნო ხმის უფლების აუცილებლობა 1920 წელს აღიარა.

7. **The Glorias - „გლორია"**[64] - ჯული ტეიმორის ბიოგრაფიული დრამა ამერიკელი ფემინისტის, მწერლისა და აქტივისტის გლორია სტეიმენის ცხოვრებას ეძღვნება. ფილმში უხვად არის გამოყენებული ეპიზოდები გლორიას მოგონებები ავტობიოგრაფიული წიგნიდან "ჩემი ცხოვრება და გზა". ფილმში, ასევე, აღწერილია 1977 წელს ჰიუსტონში ქალთა ნაციონალური კონფერენციისა და ფემინისტური ჟურნალი Ms.-ს გამოცემის ქრონიკები.

8. **Selma - „სელმა"** - ავა დიუვერნეის 2014 წლის ისტორიული დრამა მარტინ ლუთერ კინგის სამოქალაქო მოძრაობაში ქალთა ღვაწლსა და შრომას წარმოაჩენს. ფილმი ერთგვარად თავს უყრის იმ აფროამერიკელი სამოქალაქო აქტივისტების ისტორიას, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოუტანეს ქვეყანას[65].

9. **North Country - „ჩრდილოეთის ქვეყანა"**[66] - ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული ფილმი მოგვითხრობს მაღაროში მომუშავე ქალის, ლოის ჯენსონის ბრძოლაზე. ჯენსონი სამუშაო ადგილზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, 1984 წელს ლოისი პირველი ქალი გახდა ამერიკაში, რომელმაც სასამართლოში სექსუალური დისკრიმინაციის საქმე მოიგო და ბიძგი მისცა ქვეყანაში ქალთა მხარდამჭერი საკანონმდებლო ინიციატივების რეალიზებას.

10. **The Divine Order - „ღვთაებრივი წესრიგი"**[67] - პეტრა ბიონდინა ვოლპეს 2017 წლის ფილმია, რომელიც შვეიცარიაში 1971 წელს ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მიღებას ეხება. სამოქალაქო პროტესტს პატარა სოფელში მცხოვრები დიასახლისი იწყებს.

მშვიდობა და კონფლიქტები

1. **Shooting Dogs - ძაღლების განადგურება**[68] - მაიკლ კეტონ-ჯონსის ისტორიული დრამაა, რომელიც რუანდის გენოციდის დროს BBC-ის პროდიუსერის დევიდ ბელტონის თავს გადამხდარ ამბებს ეფუძნება. ფილმი კიგალში განვითარებულ მოვლენებს ეძღვნება და გადაღებებიც იქ გაიმართა. ფილმის სახელწოდება გაეროს ჯარისკაცების მიერ მიუსაფარი ძაღლების განადგურების პრაქტიკიდან მოდის, ძაღლები მოკლული რუანდელების ცხედრებს ჯიჯგნიდნენ კიგალიში.

2. **Shake Hands with the Devil - სალამი ეშმაკს**[69] - რუანდის 1994 წლის გენოციდის თვითმხილველი კანადელი სამხედროს, რომეო დალაიერის წიგნზე დაფუძნებული ფილმია. რუანდის გენოციდმა 800,000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ყოფილი სამხედრო წიგნში წერს, თუ როგორ აფრთხილებდა გაეროს სამშვიდობო მისიის მოსალოდნელ წარუმატებლობაში რესურსების სიმწირის გამო. დალაიერის განგაშის ზარები და მოწოდებები, სამწუხაროდ, უპასუხოდ დარჩა.

3. **„კაპერნაუმი"**[70] - ლიბანელი რეჟისორის, ნადინ ლაბაკის დრამაა 12 წლის ბიჭზე, ზაინზე, რომელიც საკუთარ მშობლებს უჩივის "გაჩენისთვის". ფილმი დრამატულად აღწერს

კონფლიქტებითა და ეკონომიკური სიდუხჭირით სავსე ლიბანში მოზარდის უნუგეშო მდგომარეობას და მცდელობას, როგორღაც გადარჩეს.

4. **No Man's Land - „არავის მიწა"**[71] - ბოსნიელი რეჟისორის დანის ტანოვიჩის 2001 წლის ოსკაროსანი საომარი დრამაა ბოსნიის ომზე. ფილმი ორი დაპირისპირებული მხარის ჯარისკაცების ტრაგიკომიკურ თავგადასავალზეა, რომელიც კარგად ავლენს საზღვრების პირობითობას.

5. **Where do we go now? - „საით ჩვენ ახლა?"**[72] - ლიბანელი რეჟისორის ნადინ ლაბაკის დრამატული სურათია ლიბანის ერთი სოფელზე, სადაც ერთი ნახევარი მუსლიმია, მეორე კი - ქრისტიანი. ფილმი აჩვენებს რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის გაჩენის თავისებურებებს, ქალთა სამშვიდობო ინიციტივებსა და მშვიდობისთვის საერთო ძალისხმევის აუცილებლობას.

6. **The Insult - „შეურაცხყოფა"**[73] - ლიბანის თანამედროვეობაზე 2017 წელს გადაღებული კიდევ ერთი ფილმია. რეჟისორი ზიად დოუეირი გადაგვიშლის ქვეყნის საზოგადოებაში არსებულ პოსტტრავმულ მდგომარეობას, პალესტინელი ლტოლვილების მიმართ არსებულ დამოკიდებულებას, თანაგანცდისა და ემპათიის მნიშვნელობას, კონფლიქტის მხარეების მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეულ მოსაზრებებსა და წინასწარგანწყობებს.

7. **„ლევიათანი" (2014)**[74] - რუსი რეჟისორის, ანდრეი ზვიაგინცევის დრამა კორუმპირებული სისტემის წინაშე მარტო დარჩენილ მოქალაქეზე, რომელიც ყველა ხერხით ცდილობს გადაარჩინოს საკუთარი ოჯახი, სახლი.

8. **Full Metal Jacket - „რკინის საფარი"**[75] - სტენლი კუბრიკის 1987 წელს გადაღებული საომარი დრამა ვიეტნამის ომის პერიოდში ამერიკელი სამხედროების საწვრთნელ ბაზაზე განვითარებულ მოვლენებზე სამხრეთ კაროლინაში. ფილმი გვიყვება სამხედრო ბანაკში ადამიანთა დეჰუმანიზაციასა და სისასტიკეზე.

9. **„კოლონია" (2015)**[76] - პინოჩეტის დიქტატურის პირობებში ჩილეში ორი გერმანელი ახალგაზრდის რელიგიური სექტის ბანაკში გამომწყვდევის, წამებისა და შეურაცხყოფის ისტორიაა.

10. **Cuba and the Cameraman** - „კუბა და ოპერატორი"[77] - ემის გამარჯვებული რეჟისორის ჯონ ალპერტის 2017 დოკუმენტური ფილმია კუბაში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთაც ალპერტი 40 წლის განმავლობაში რამდენჯერმე ესტუმრა. ალპერტი შესანიშნავად აღწერს კუბას რევოლუციის შემდეგ, საბჭოეთთან ურთიერთობას, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კუბაზე არსებულ ვითარებას და იმ გავლენას, რასაც პოლიტიკური მოვლენები მისი მასპინძელი ოჯახების ყოველდღიურობაზე ახდენდა.

LGBT უფლებები

1. **God's Own Country - „ღმერთის მიწა"**[78] - ფრენსის ლის 2017 წლის დრამა იორკშირელი ფერმერისა და მისი დაქირავებული რუმინელი მიგრანტის სიყვარულზე.

2. **Pain and Glory - „ტკივილი და დიდება"**[79] - პედრო ალმოდოვარის 2019 წლის ნახევრად ავტობიოგრაფიული ნამუშევარია, სადაც მთავარი გმირის, საშუალო ასაკის რეჟისორის სიყვარულის, იმედგაცრუებების, ურთიერთობების ისტორიაა მოთხრობილი.

3. **Pariah - „გარიყული"**[80] - ამერიკელი მწერლისა და რეჟისორის დი რიზის 2011 წლის ნამუშევარი გვაცნობს ბრუკლინის აფროამერიკელთა კლუბს, სადაც "აგრესიული ლესბოსელები" იყრიან თავს, რომლებიც თავად აფროამერიკელთა თემშიც კი გარიყულებილები არიან. სიუჟეტი მიყვება 17 წლის ალიკის ისტორიას, რომელსაც საკუთარი სექსუალური იდენტობის საჯაროდ აღიარება რელიგიური წესების მიმდევარი, უმცირესობებისადმი არატოლერანტული დედის არაკეთილგანწყობის ფონზე უწევს.

4. **The Times of Harvey Milk - „ჰარვი მილკის დრო"**[81] - კალიფორნიის ისტორიაში პირველი ღია გეი პოლიტიკოსის, ჰარვი მილკის ამბავი, რომელიც არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოში. რობ ეპშტეინის დოკუმენტური ფილმი.

5. **Yossi and Jagger - „იოსი და იგერი"**[82] - ეიტან ფოქსის 2002 წლის ნამუშევარია, რომელიც საგუშაგოზე მყოფი სამხედროების სიყვარულს აღწერს. იოსისა და იგერს საკუთარ ინტერნალიზებულ ჰომოფობიასა და ურთიერთლტოლვას შორის უწევთ ბრძოლა. ფილმი მაჩოიზმით გაჟღენთილი სისტემისთვის შოკი აღმოჩნდა, თუმცა ამჟამად ფილმს ისრაელის სამხედრო ბანაკებში უჩვენებენ, როგორც ერთგვარ სოლიდარობის აქტს ისრაელის გეი სამხედროებისადმი.

6. **Angels in America - „ანგელოზები ამერიკაში"**[83] - HBO-ს გაუხმაურებელი მინისერიალი რეიგანის ხანის ამერიკაში აივ/შიდსის აფეთქების დროს მცხოვრებ ადამიანებზე. სერიალი გვაბრუნებს იმ პერიოდში, როცა აივ/შიდსი "გეების შავ ჭირად" ითვლებოდა.

7. **A Fantastic Woman - „ფანტასტიკური ქალი"**[84] - ტრანსგენდერ მარინას შეყვარებულის ორლანდოს გარდაცვალების შემდეგ უწევს ჩილეს არც ისე ტოლერანტულ საზოგადოებასთან, ორლანდოს ოჯახთან დაპირისპირება შეყვარებულის სათანადოდ გამოსატირებლად. მარინა, რომელიც საღამომდე მიმტანად, ღამე კი კლუბის მომღერლად მუშაობს, თავდასხმებისა და შეურაცხყოფის ატანა უწევს, ზოგი მას არსებობის ღირსადაც კი არ თვლის.

8. **How to survive a Plague - „როგორ გადავრჩე ეპიდემიის დროს"**[85] - 2012 წლის დოკუმენტური ფილმი ეძღვნება ACT UP-სა და TAG-ის გაერთიანების ისტორიას, რამაც შესაძლებელი გახადა საზოგადოებრივი ძალისხმევის კონსოლიდაცია და აივის მკურნალობას დაქვემდებარებულ დაავადებად ქცევას.

9. **My Own Private Idaho - „ჩემი პირადი შტატი აიდაჰო"**[86] - 1991 წლის დრამა პროსტიტუციაში ჩაბმულ ბიჭსა და მის მდიდარ მეგობარზე, რომლებიც გზას დაადგებიან საკუთარი თავის შესამეცნებლად და ერთმანეთის აღმოსაჩენად.

10. **Pose - „პოზა"**[87] - ნიუ-იორკში 80-იან წლებში მცხოვრები ტრანსგენდერების ოცნებებზე, წუხილებსა და პრობლემებზე გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული

სერიალია, რომელიც კარგად ასახავს ტრანსგენდერებთან დაკავშირებულ სტიგმებს, ლგბტქ თემში არსებულ შიშებსა და აივ/შიდსის ეპიდემიის გავლენას თემზე.

შშმ პირები

1. **Inside I'm Dancing - „შინაგანად მე ვცეკვავ"**[88] - 2004 წლის კომედია ორ ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდაზე, მაიკლსა და რორიზეა, რომლებიც გაიქცევიან დღის ცენტრიდან და ცდილობენ, დატკბნენ ცენტრის გარეთ ცხოვრებით, გამოსცადონ ახალი შეგრძნებები.

2. **The Sessions - „სუროგატი"**[89] - 2012 წლის ეროტიკული კომედიური დრამაა, რომელიც რეჟისორმა ბენ ლუინმა მარკ ო'ბრაიენის, პარალიზებული პოეტის მიერ 1990 წლის სტატიის "პაემანი სექსის სუროგატთან" მიხედვით გადაიღო.

3. **The Theory of Everything - „ყველაფრის თეორია"**[90] - ფილმი გამოჩენილი მეცნიერის, სტივენ ჰოკინგის მეუღლის ჯეინ უაილდის წიგნის "ჩემი ცხოვრება სტივენ ჰოკინგთან" მიხედვით არის გადაღებული. ფილმი მოგვითხრობს გამოჩენილი მეცნიერის მიერ საქვეყნოდ ცნობილი თეორიების შექმნის ისტორიას, ასევე მის ბრძოლას მოტო-ნეირონულ დაავადებასთან, რომელიც სწრაფად პროგრესირებდა.

4. **My Left Foot - „ჩემი მარცხენა ფეხი"**[91] - ჯიმ შერიდანის 1989 წლის სურათი ცერემბრალური დამბლის მქონე ბრაუნზეა, რომელიც ფეხით ხატვასა და წერას ისწავლის. დენიელ დეი-ლიუსი მთავარი როლის შესრულებისთვის ოსკარით დაჯილდოვდა. ფილმში დრამატულად არის გადმოცემული, თუ რა შინაგანი და გარე ბრძოლების გადატანა უხდება დაავადებულ ადამიანს.

5. **The Diving Bell and the Butterfly - „სკაფანდრი და პეპელა"**[92] - 2007 წელს გადაღებული ჯულიან შნაბელის ბიოგრაფიული დრამა "ელ ფრანსის" რედაქტორის ჟან დომინიკ ბობის პოსტინსულტურ ცხოვრებაზეა. ჟან დომინიკს ინსულტის გადატანის შემდეგ მხოლოდ მარცხენა თვალის მოძრაობა შეეძლო, ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ შეძლო ასეთი ფიზიკური დაბრკოლებების ფონზე ბობიმ საკუთარი იდეების რეალიზაცია.

6. **The Fundamentals of Caring - „სიკეთის მთავარი პრინციპები"**[93] - 2016 წლის ფილმი თინეიჯერ ტრევორზეა, რომელსაც კუნთების ატროფია აქვს, დღეებს შინ ტელევიზორის ყურებაში ატარებს. ახალი მომვლელი კი მას აშშ-ს სხვადასხვა შტატში მოგზაურობას შესთავაზებს, რაც მათი მხიარული და შემეცნებითი ისტორიების დასაწყისი გახდება.

7. **Breathe - „ისუნთქე"**[94] - ენდი სერკისის 2017 წლის დრამა რეალურ ამბავს ეფუძნება - 1958 წელს, 28 წლის ასაკში რობინ კავენდიში პარალიზებული გახდა. ამ დროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ვერ ახერხებდნენ რეალიზებას და სოციალურ გააქტიურებას, თუმცა კავენდიშმა მეუღლისა და მეგობრების დახმარებით, საპირისპირო დაამტკიცა, მოგვიანებით კი შშმ პირების უფლებების ადვოკატირების კამპანიას ჩაუდგა სათავეში.

8. **Walk. Ride. Rodeo - „სეირნობა. ჯირითი. როდეო"**[95] - 2019 წლის ეს ფილმიც ნამდვილად ამბავზე, 19 წლის მხედარზე, ემბერლი სნაიდერზეა, რომელიც მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევას გადაურჩა, ოჯახისა და მეგობრების, ინტენსიური თერაპიის დახმარებით ცდილობს დაუბრუნდეს სპორტს და ჩვეულ ცხოვრებას

9. **Margarita with a Straw - „მარგარიტა ჩალით"**[96] - ინდური წარმოების 2014 წლის ფილმია, რომელიც ლაილაზეა, გოგოზე, რომელსაც ცერემბრალური დამბლა აქვს და მიემგზავრება ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სასწავლებლად. ახალ ქვეყანასთან ერთად, ლაილა მეგაპოლისში საკუთარ თავსაც აღმოაჩენს.

10. **Rain man - „წვიმის კაცი"**[97] - ბარი ლევინსონის 1988 წლის დრამა ორ განსხვავებული ხასიათის ძმების გაცნობა-ურთიერთობაზე; ერთი წარმატებული ავტოდილერია, მეორე კი აუტისტურის სპექტრის აშლილობის მქონე პაციენტი. მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა ძმებს შეახვედრებს და იწყება სრულიად ახალი ცხოვრება.

---

[1] Shepherd, S. (Ed.) *The History of Legal Education in the US : Commentaries and Primary Sources*. (199) Vol 1 Salem Press, Inc. California, USA, pp42-45.

[2] Denoncourt, J., 'Using Film to Enhance Intellectual Property Law Education: Getting the Message Across', European Journal of Law and Technology, Vol. 4, No. 1, 2013.

[3] კინოქეისი - შინააარსობრივი ან სხვა მახასიათებლების გამო, სამართლებრივი მეთოდების, აქტივობების და ფორმატის მეშვეობით, სწავლების მიზნით შერჩეული და აუდიტორიაში სტუდენტებტან განხილვადი კინოფილმი ან მისი ნაწილი.

[4] იხ. ლინკი: https://www2.bfi.org.uk/sites/bfi.org.uk/files/downloads/film-21st-century-literacy-advocacy-report.pdf

[5] ბენიამინ რივაია, პაბლო დე სიმა. სამართალი და კინო (100 ფილმი). საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2007 წ. გვ. 79.

[6] იხ. იქვე გვ. 79.

[7] ჰაიფას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ბერკლში კალიფორნიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული პროფესორი.

[8] Amnon Reichman. The Production of law (and Cinema): Preliminary Comments on an Emerging Doscourse. Soithern California Interdisciplinary Law Journal. Vol. 17:457, 2008, p. 459.

[9] Shulamit Almog & Ely Aharonson, Law as Film—Representing Justice in the Age of Moving

[10] იხ. იქვე: Amnon Reichman. The Production of law (and Cinema): Preliminary Comments on an Emerging Doscourse. გვ. 459.

[11] იხ. იქვე: Amnon Reichman. The Production of law (and Cinema): Preliminary Comments on an Emerging Doscourse. გვ. 459.

[12] Stefan Machura. An analysis Scheme for law films. University of Baltimore Law Reveiew. Vlume 36, Issue 3, Article 4, spring, 2007.

[13] იხ.: ბენიამინ რივაია, პაბლო დე სიმა. სამართალი და კინო. გვ. 80.

[14] ამნონ რაიხმანი ბერკლის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული პროფესორი და ჰაიფას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. დოკუმენტში გამოყენებულია მასალები მისი სტატიიდან "სამართლის (და კინოს წარმოება): წინასწარი კომენტარები ახალგამოვლენილი დისკურსისთვის" (ინტერდისციპლინური სამართლის ჟურნალი, 2008).

[15] ორით კამირი იერუსალიმის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორია. სპეციალიზდება სამართლის ინტერდისციპლინურ ანალიზსა და ფემინიზმის თეორიებში. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. დოკუმენტში გამოყენებული მასალები ეფუძნება მის სტატიას "რატომ სამართალი და კინო" და სინამდვილეში რას ნიშნავს ეს? ხედვა" (მედიისა და კულტურის სწავლებების ჟურნალი, 2005).

[16] მაიკლ აზიმოვი სტენფორდის სამართლის სკოლის მიწვეული პროფესორი და კალიფორნიის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორია. დოკუმენტში გამოყენებულია მასალები მისი სტატიიდან "სარკე და სანათი: სემინარი სამართალსა და პოპულარულ კულტურაზე" (ამერიკის სამართლის სკოლების ასოციაციის გამოცემა "სამართლებრივი განათლების ჟურნალი", 2018).

[17] "რატომ სამართალი და კინო" და სინამდვილეში რას ნიშნავს ეს? ხედვა" (მედიისა და კულტურის სწავლებების ჟურნალი, 2005).

[18] "სამართლის (და კინოს წარმოება): წინასწარი კომენტარები ახალგამოვლენილი დისკურსისთვის" (ინტერდისციპლინური სამართლის ჟურნალი, 2008)

[19] პიტერ რობსონი და ჯესიკა სილბი, "სამართალი და სამართლიანობა პატარა ეკრანებზე", 2012

[20] https://www.imdb.com/title/tt0120255/ - ფილმი მოგვითხრობს პატარა ქალაქში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე, რომელსაც ავტოსაგზაოს შემთხვევას სასკოლო ავტობუსში მყოფი მოსწავლეები შეეწირებიან. შვილებდაღუპულ მშობლებთან ჩადის ადვოკატი, რომელიც ცდილობს მათ დაყოლიებას, იდავონ ავტობუსის მწარმოებელი კომპანიისა და ქალაქის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. შემთხვევას მხოლოდ მძღოლი და ერთი მოსწავლე გოგონა გადაურჩნენ. მძღოლისთვის სადაზღვევო კომპანიის მიერ მიღებული თანხა ჭირისუფალ ოჯახებზე თანაბრად გადანაწილდა, შესაბამისად მშობლების ნაწილი საჭიროდ არ მიიჩნევს დავის წამოწყებას. ფილმი ერთგვარ დაპირისპირებას გვთავაზობს სამართლებრივ და საზოგადოებრივ წესებს შორის - ადვოკატი ცდილობს, გარკვეული სარგებელი მიიღოს

ჭირისუფალი მშობლების რისხვისთვის სამართლებრივი დინების (სარჩელის) მიცემით მაშინ, როცა მშობლების გარკვეულ ნაწილს არ უნდა შვილით დაკარგული ტკივილის კიდევ უფრო მეტად გამძაფრება.

[21] "წარმოსახვითი თემები: რეფლექსია ნაციონალიზმის წარმოშობასა და გავრცელებაზე", ბენედიქტ ანდერსონი, 1983.

[22] "სამართალი და პოპულარული კულტურა", მაიკლ აზიმოვი, შენონ მეიდერი, 2004. მოგვიანებით, 2013 წელს იმავე ავტორებმა გამოსცეს სახელმძღვანელო

[23] Legal Reelism: Movies as Legal Texts, ილინოისის უნივერსიტეტი, 1996

[24] https://www.imdb.com/title/tt0038650/?ref_=nv_sr_srsg_0

[25] Changing the Images of Law in Film and Television Crime Stories, ტიმოტი ო. ლენცი, 2003

[26] "სარკე და ნათურა: სემინარი სამართალსა და პოპულარულ კულტურაზე" (ამერიკის სამართლის სკოლების ასოციაციის გამოცემა "სამართლებრივი განათლების ჟურნალი", 2018).

[27] https://www.imdb.com/title/tt0109579/

[28] https://www.imdb.com/video/vi240959001?ref_=nv_sr_srsg_1

[29] https://www.imdb.com/title/tt0099296/?ref_=nm_flmg_wr_31

[30] https://www.imdb.com/title/tt0086369/?ref_=nv_sr_srsg_0

[31] "რატომ სამართალი და კინო" და სინამდვილეში რას ნიშნავს ეს? ხედვა" (მედიისა და კულტურის სწავლებების ჟურნალი, 2005).

[32] https://www.abajournal.com/magazine/article/the_25_greatest_legal_movies/

[33] https://www.imdb.com/title/tt0056592/

[34] https://www.imdb.com/title/tt0050083/?ref_=nv_sr_srsg_0

[35] https://www.imdb.com/title/tt0104952/?ref_=nv_sr_srsg_0

[36] https://www.imdb.com/title/tt0052561/?ref_=nv_sr_srsg_0

[37] https://www.imdb.com/title/tt0053946/?ref_=nv_sr_srsg_0

[38] https://www.imdb.com/title/tt0051201/?ref_=nv_sr_srsg_0

[39] https://www.imdb.com/title/tt0080310/?ref_=nv_sr_srsg_0

[40] https://www.imdb.com/title/tt0472954/?ref_=nv_sr_srsg_0

[41] https://www.imdb.com/title/tt0195685/?ref_=nv_sr_srsg_0

[42] https://www.imdb.com/title/tt0084855/?ref_=nv_sr_srsg_0

[43] https://www.imdb.com/title/tt0100404/?ref_=nv_sr_srsg_0

[44] https://www.imdb.com/title/tt0055031/?ref_=nv_sr_srsg_0

[45] https://www.imdb.com/title/tt0060665/?ref_=nv_sr_srsg_0

[46] https://www.imdb.com/title/tt0104257/?ref_=nv_sr_srsg_0

[47] https://www.imdb.com/title/tt0299658/?ref_=nv_sr_srsg_0

[48] https://www.imdb.com/title/tt0079417/?ref_=nv_sr_srsg_0

[49] https://www.imdb.com/title/tt0070509/?ref_=nv_sr_srsg_0

[50] https://www.imdb.com/title/tt0100486/?ref_=nv_sr_srsg_0

[51] https://www.imdb.com/title/tt0052700/?ref_=nv_sr_srsg_0

[52] https://www.imdb.com/title/tt0078718/?ref_=nv_sr_srsg_0

[53] https://www.imdb.com/title/tt0107207/?ref_=nv_sr_srsg_0

[54] https://www.imdb.com/title/tt0120633/?ref_=nv_sr_srsg_0

[55] https://www.imdb.com/title/tt0032155/?ref_=nv_sr_srsg_0

[56] https://www.imdb.com/title/tt0118607/?ref_=nv_sr_srsg_0

[57] https://www.imdb.com/title/tt0039628/?ref_=nv_sr_srsg_0

[58] https://www.imovies.cc/ka/movies/450303760/On-the-Basis-of-Sex/GEO/HIGH

[59] https://www.imovies.cc/ka/movies/450144640/Suffragette/GEO/HIGH

[60] https://www.imovies.cc/ka/movies/450313073/Hidden-Figures/GEO/HIGH

[61] https://www.imovies.cc/ka/movies/14655/Made-in-Dagenham/GEO/HIGH

[62] https://www.imovies.cc/ka/movies/450277815/Iron-Jawed-Angels

[63] https://www.imovies.cc/ka/movies/450277815/Iron-Jawed-Angels

[64] https://www.imovies.cc/ka/movies/878484766/The-Glorias/RUS/HIGH

[65] https://www.imovies.cc/ka/movies/450142284/Selma/GEO/HIGH

[66] https://www.imovies.cc/ka/movies/5778/North-Country/GEO/HIGH

[67] https://www.imovies.cc/ka/movies/878362187/The-Divine-Order/RUS/HIGH

[68] https://www.imovies.cc/ka/movies/8562/Shooting-Dogs/RUS/HIGH

[69] https://www.imovies.cc/ka/movies/2002/Shake-Hands-with-the-Devil/RUS/HIGH

[70] https://www.imovies.cc/ka/movies/878369844/Capernaum/GEO/HIGH

[71] https://www.imovies.cc/ka/movies/3895/No-Man's-Land/ENG/MEDIUM

[72] https://www.imovies.cc/ka/movies/21549/Where-Do-We-Go-Now/GEO/MEDIUM

[73] https://www.imovies.cc/ka/movies/878361781/The-Insult/RUS/MEDIUM

[74] https://www.imovies.cc/ka/movies/399191/Leviathan/RUS/MEDIUM

[75] https://www.imovies.cc/ka/movies/12043/Full-Metal-Jacket/GEO/MEDIUM

[76] https://www.imdb.com/title/tt4005402/reviews

[77] https://www.netflix.com/ge/title/80126449

[78] https://www.imovies.cc/ka/movies/878365423/God's-Own-Country/RUS/MEDIUM

[79] https://www.imovies.cc/ka/movies/878403337/Pain-and-Glory/RUS/MEDIUM

[80] https://www.imovies.cc/ka/movies/21132/Pariah

[81] https://www.imovies.cc/ka/movies/12495/The-Times-of-Harvey-Milk/RUS/MEDIUM

[82] https://www.imovies.cc/ka/movies/1446/Yossi-Jagger/RUS/MEDIUM

[83] https://www.imovies.cc/ka/movies/12235/Angels-in-America/S01/E01/RUS/MEDIUM

[84] https://www.imovies.cc/ka/movies/878360042/A-Fantastic-Woman/RUS/MEDIUM

[85] https://www.imovies.cc/ka/movies/36068/How-to-Survive-a-Plague/ENG/MEDIUM

[86] https://www.imovies.cc/ka/movies/775/My-Own-Private-Idaho/ENG/MEDIUM

[87] https://www.imovies.cc/ka/movies/878365392/Pose/S01/E01/RUS/MEDIUM

[88] https://www.imovies.cc/ka/movies/5130/Rory-O'Shea-Was-Here/RUS/MEDIUM

[89] https://www.imovies.cc/ka/movies/25314/The-Sessions/RUS/MEDIUM

[90] https://www.imovies.cc/ka/movies/450141401/The-Theory-of-Everything/RUS/MEDIUM

[91] https://www.imovies.cc/ka/movies/3010/My-Left-Foot/RUS/MEDIUM

[92] https://www.imovies.cc/ka/movies/436/The-Diving-Bell-and-the-Butterfly/RUS/MEDIUM

[93] https://www.imovies.cc/ka/movies/450151698/The-Fundamentals-of-Caring/RUS/MEDIUM

[94] https://www.imovies.cc/ka/movies/450303456/Breathe/RUS/MEDIUM

[95] https://www.imovies.cc/ka/movies/878370475/Walk-Ride-Rodeo/RUS/MEDIUM

[96] https://www.imovies.cc/ka/movies/450142095/Margarita-with-a-Straw/RUS/MEDIUM

[97] https://www.imovies.cc/ka/movies/4344/Rain-Man/RUS/MEDIUM